

178 / 3
1991

ISSN 0868-4537



ქართული
ბიბლიოთეკა

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • პუბლიცისტიკა

178

1991 9-10

US

მთავარი რედაქტორი
თევდოზი ნინია

სარედაქციო კოლეგია:

- ვაჟა აბაქელია,
- ანზო არსენაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
- გელა გერსინაშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
- ოთარ გამყრელიძე,
- როსტომ გილიაშვილი,
- ავთანდილ დემეტრაშვილი,
- მინდორი ქაქელია,
- ფიქსი ლეჟინაშვილი,
- ალექსანდრე ტალიაშვილი,
- რუსუდან პიტაძე,
- ჯონი ჯალაღანი.

ტექნიკური რედაქტორი
გულნარა გონიკაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანდრე გაბიაძე, ევგენი ბენდელიანი, გივი ინჟინიკაშვილი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნაღარკიაშვილი, ნოდარ ნობიერიძე, ვახტანგ რაჭაძე, ზურაბ რატიანი, გიორგი ტყეშელაშვილი, მინდორი უგრაძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, დილარ ხაბუ-
ლიანი, ჯონი ხატურიაძე, სოფო ჯორაგანაძე.



საგარეო

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

№ 9-10 1991

სამეცნიერო, სამართლებრივი

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

თეორიის საკითხები

იროდიონ სურგულაძე — სახელმწიფო

2 +

კანონის კომენტარი

გრიგოლ ერემოვი — დებუტატის გაწვევის წესი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოებიდან

36

ქართული სამართლის ისტორიიდან

ვიქტორ შარაშენიძე — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა მოქალაქეობისა და ეროვნული პრობლემების შესახებ

44

პირველი ნახიჯები მეცნიერებაში

არჩილ ლორია — სამართალდარღვევის ცნება

58 +

როინ მიგრაიული — წამქეზებლობის ნორმის მიზანშეწონილობისათვის

65

ალექსანდრე ჭავჭავაძე — თაღლითობა და გამოძალა

67

წერილი რედაქციას

ვაჟა ჭავჭავაძე — სასამართლო ორგანოები თუ სასამართლო ხელისუფლება?

75 +



იროდიონ სურგულაძე


სახელმწიფო*

საკანონმდებლო ფუნქცია

უმთავრესი ყურადღება იმ პერიოდში, რომელსაც ახლა ვეხებით, საკანონმდებლო ფუნქციის განმარტებისაკენ იყო მიქცეული, მაგრამ ის ფორმალური ცნება კანონისა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, უკვე გულისხმობდა აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების ასეთივე ფორმალურ განმარტებას. ამ უკანასკნელის მიხედვით, აღმასრულებელი ფუნქცია, ფორმალური თვალსაზრისით, აღნიშნავს ყველა იმ აქტს, რომლებიც აღმასრულებელი ორგანოების მიერ სრულდება, საიურისდიქციო ფუნქცია კი — ყველა იმ აქტებს, რომელთაც სასამართლო ორგანოების მოქმედებაში ვხვდებით. ასეთია ფორმალური მომენტები, რომელთა მიხედვითაც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ფუნქციები. მაგრამ ამ მთავარი მომენტების გარდა სახელმწიფოს ფუნქციების ფორმალურ თეორიაში ჩვენ ვხვდებით კიდევ სხვა განმასხვავებელ თვისებებსაც. ამ უკანასკნელთა გასაგებად კი საჭიროა მოვიგონოთ შემდეგი: როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფოს ორგანოების ერთიმეორისაგან გამოყოფას სარჩულად ედო აზრი, რომ ეს ორგანოები სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობაში სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელი არიან. აქედან თავისთავად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ ამ ორგანოების აქტებსაც ერთნაირი იურიდიული მნიშვნელობა ვერ მიეწერებოდა. ამ მხრივ, მთავარი ყურადღება მიქცეული იყო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების შედარებითი ღირებულებისაკენ და ის განსხვავება, რომელიც აქ პოულობს თავის გამოხატულებას ამ ორი ფუნქციის ღირებულების საკითხში, სახალხო სუვერენიტეტის ცნების ლოგიკური და აუცილებელი შედეგია.

სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი თავისი შინაარსით უშუალოდ გულისხმობს, რომ უზენაესი ძალაუფლება სახელმწიფოში თვითონ ხალხს ეკუთვნის და ამიტომ, კანონი, რომელიც ხალხის ან მის მიერ არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს ნებას გამოხატავს, აღმასრულებელი ორგანოების აქტებთან შედარებით, უმაღლესი ავტორიტეტის და მნიშვნელობის მატარებელია, უკანასკნელს ე. ი. ადმინისტრაციულ განკარგულებას მხოლოდ იმდენად აქვს სავალდებულო ხასიათი, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგება საკანონმდებლო წესით გამოცემულ ნორმას. ამაში გამოიხატება ის მომენტი, რომელიც კანონის ფორმალური განმარტების დროს მის ცნებაში იგულისხმება და რომელსაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ, როგორც კანონის უპირატესობითი მნიშვნელობის პრინციპს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „სამართალი“ 1991 წ., № 7-8.



ეს პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული იმ აზრით, თითქოს კანონი ქვე-
შევრდომისათვის უფრო სავალდებულო იყოს ვინემ ხელისუფლების სხვა ფუნ-
ქციები: სახელმწიფო ხელისუფლების ყოველი გამოაშკარავება კანონიერ ფორ-
მებში ჩამოყალიბებული, ერთგვარად და სახელდობრ, აუცილებლად სავალდე-
ბულოა მოქალაქეთათვის. სახელმწიფო ერთგვარად უზრუნველყოფს თავისი
აქტების სავალდებულო ძალას, რომელ ორგანოსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ეს
აქტები. არა სახელმწიფოს და მის ქვეშევრდომთა ურთიერთობაში, არამედ სა-
კანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებაში
აშკარავდება კანონის უპირატესი მნიშვნელობა. კანონი მხოლოდ კანონითვე
შეიძლება შეიცვალოს, შეჩერდეს ანდა აუთენტურად განიმარტოს, არც ერთ
სხვა დანარჩენ სახელმწიფო ორგანოს არ შეუძლია რაიმე შესწორება შეიტა-
ნოს კანონის შინაარსში ან შეაჩეროს მისი მოქმედება. აი, ის მთავარი მომენტე-
ნი, რომლებიც დასახელებულ მომენტთან ერთად კანონის მთლიან ფორმა-
ლურ ცნებას ქმნიან. თუ დაუკვირდებით ამ მომენტებს, დავინახავთ, რომ მათ
შეფარდებითი ხასიათი აქვთ, ე. ი. ეს ის მომენტებია, რომლითაც ფორმალური
კანონი ხელისუფლების სხვა აქტებისაგან განსხვავდება. აქედან ცხადია, რომ
ამ მომენტების უკუქცევით მათი შებრუნებული მნიშვნელობა გამოყენებულ
უნდა იქნეს ამ სხვა ფუნქციების ფორმალური დახასიათების დროს: თუ ფორმა-
ლური კანონის არსებით მომენტს მისი უპირატესობითი მნიშვნელობა წარმო-
ადგენს, ცხადია, რომ სხვა ხელისუფლების დამახასიათებელ მომენტად მათი
კანონისადმი დამორჩილებული კანონქვემდებარე თვისება უნდა იქნეს ცნო-
ბილი.

10096

ასეთია თავის მთავარ მომენტებში სახელმწიფო ხელისუფლების დანაწი-
ლების ფორმალური თეორია. ასეთი წმინდა ფორმალური კონსტრუქცია საკმა-
რისი რომ არ არის, ამას ადვილად დავინახავთ, თუ ყურადღებას მივაქცევთ
შემდეგ გარემოებას: ყველა ის აქტები, რომლებიც ერთი და იგივე ორგანოს
კომპეტენციაში შედიან, ერთფეროვან სახეს როდი ატარებენ; პირიქით, შინა-
განი იურიდიული ბუნების მხრივ ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთი-
საგან. უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ მოვლენის მთავარ მიზეზად სწორედ ის გარე-
მოება მიიჩნევა, რომ ამა თუ იმ ხელისუფლების აქტის განმსაზღვრელი ორგა-
ნოს კომპეტენციაში შეტანა თანამედროვე სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში ნა-
კარნახევია არა ამ აქტების ობიექტური, იურიდიული ბუნების შემეცნებით,
არამედ განსაზღვრული, პოლიტიკური მოტივები თამაშობდნენ ამ შემთხვევაში
გადამწყვეტ როლს. მაგრამ წმინდა თეორიული ანალიზისათვის პოლიტიკური
მოტივები მოკლებული არიან მნიშვნელობას და ამ შემთხვევაში მან გვერდი
უნდა აუხვიოს პოლიტიკური მოტივებით ნაკარნახევ მოსაზრებებს. თავისთა-
ვად ცხადია, რომ წმინდა იურიდიული შემეცნებისათვის, რომელიც მიზნად
ისახავს ამ სხვადასხვაობის საფუძველი შესაბამისი აქტების შინაგან იურიდიულ
ბუნებაში გამოჩანოს, საკითხის ამგვარად დასმით ჩვენ თავისთავად გადავდი-
ვართ ხელისუფლების ფუნქციების მატერიალურ სხვადასხვაობაზე.

მოსაზრება, რომ აუცილებელია ხელისუფლების ფუნქციების ფორმალური
და მატერიალური ცნების ერთი მეორისაგან განსხვავება, შეიძლება ჩაითვა-
ლოს — *communis opinio doctorum*. ლაბანდი, ანშუტცი, მეიერი და ელი-
ნეკი გერმანიაში; დიუგი, ესმენი, პლანიოლი, არტური, ორიუ — საფრანგეთში,
ელინეკი — გერმანიაში. ამ განსხვავებას საფუძველად უდებენ თავის კონსტრუქ-
ციებს. თუკი ეს განსხვავება ამგვარად თითქმის საყოველთაოდ მიღებულად უნ-

საქართველოს
სტატისტიკის
სამსახური

და ჩაითვალოს, სამაგიეროდ ის საკითხი, თუ რას წარმოადგენს ხელისუფლების აქტები მატერიალური თვალსაზრისით და რა ხასიათის იურიდიული მოქმედებები უნდა იქნენ გამოყენებული მათი დახასიათების დროს, ერთგვარ გადაჭრას როდი პოულობს თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა, ამ აზრთა სხვადასხვაობაში შესაძლებელია საერთო მომენტების აღმოჩენაც და მათზე არსებითად ქვემოთ შევჩერდებით სახელმწიფოს ფუნქციების მატერიალური დახასიათების დროს.

ჯერ განვიხილავთ კანონს ანუ საკანონმდებლო ფუნქციას.

კანონი

ფორმალური თვალსაზრისისაგან განსხვავებით, კანონის მატერიალური ცნება კანონის შინაგანი, იმანენტური ბუნების ანალიზიდან გამომდის და ამ მხრივ იგი კანონის ძირითად თვისებას იმაში ხედავს, რომ უკანასკნელი ყოველთვის ობიექტური სამართლის ნორმას გამოხატავს.

კანონი თავის შინაგან ბუნებაში იმეორებს ყველა იმ მომენტს, რაც დამახასიათებელია ობიექტური სამართლის ნორმისათვის. ორი მთავარი თვისება ახასიათებს სამართლის ნორმას: ერთი მხრივ, ზოგადი, საერთო და მეორე მხრივ იმპერატიული ხასიათი. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ კანონის მატერიალური ცნება აუცილებლად შეიცავს ამ ორ თვისებას: მატერიალური თვალსაზრისით კანონი აბსტრაქტული ნორმაა, რომელიც იმპერატიული თვისებითაა აღჭურვილი. ეს ორი მომენტი ცალ-ცალკე განხილვას მოითხოვს, ვინაიდან, თითოეული მათგანი დაკავშირებულია რიგ სპეციალურ საკითხებთან.

ჯერ შევჩერდებით კანონის ზოგად ხასიათზე. ამ თვისების მიხედვით, კანონი ისეთ ბრძანებას შეიცავს, რომლის მნიშვნელობა არ ისაზღვრება რომელიმე კერძო, ინდივიდუალური მოვლენით, არამედ თავის იურიდიულ ძალას ინარჩუნებს ყველა სხვა ანალოგიური შემთხვევებისათვისაც. კანონი ზოგად ხასიათს ინარჩუნებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი შეფარდება, მისი აქტიური ამოქმედება მხოლოდ ერთხელ მომხდარა. ამ მხრივ იგი არსებითად განსხვავდება ინდივიდუალური განკარგულებისაგან, რომელსაც ყოველთვის კონკრეტული საგანი ან მოვლენა აქვს მხედველობაში და მასთან შეფარდების შემდეგ ძალას ჰკარგავს, ვინაიდან უკვე მიღწეულია ის მიზანი, რომლისთვისაც იგი გამოიცა. კანონის ზოგადი თვისებიდან, მეორე მხრივ, თავისთავად გამომდინარეობს მისი აბსტრაქტული ხასიათი; შინაარსის მხრივ იგი არ არის დაკავშირებული განსაზღვრულ ინდივიდუალურ საგანთან ან მოვლენასთან.

მოსაზრება, რომ კანონის დამახასიათებელი თვისება მისი ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათია, თანამედროვე მეცნიერების სპეციალურ მიღწევას როდი შეადგენს: ძველი საბერძნეთის ფილოსოფიაში, კერძოდ, პლატონის და არისტოტელეს სისტემებში ნათლად შეგვიძლია ვავარჩიოთ კანონის ასეთი გაგება; ამავე აზრს შუა საუკუნეებში იმეორებენ პოლიტიკური მწერლები, რომლებიც მეფის ინდივიდუალურ უფლებას ხალხის სუვერენობის პრინციპს უპირისპირებენ. დიდი რევოლუციის განთიადზე რუსომ განსაკუთრებით მკაფიოდ აღნიშნა კანონის ეს თვისება. „როდესაც ვამბობ — წერს იგი — რომ კანონის ობიექტი ყოველთვის ზოგად ხასიათს ატარებს, ამით მინდა აღვნიშნო, რომ კანონი მოქალაქეს მხედველობაში იღებს, როგორც საზოგადოების აბსტრაქტულ ელემენტს და არასოდეს არ არის დაინტერესებული ადამიანით, როგორც ინ-



დივიდუალური პიროვნებით ან მისი მოქმედების ინდივიდუალური თვისებებით თანამედროვე იურიდიული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები — მენი, დიუგი, ორიუ, მოლი, გერბერი, მეიერი და სხვანი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ზოგადი შინაარსი მატერიალური კანონის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

თუ დავუკვირდებით სამართლის ნორმებს, რომელთაც კანონის ფორმა აქვთ, მათ შორის ადვილად შევამჩნევთ ისეთ კანონებს, რომლებიც თუშკა ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ ამასთანავე გამოცემულია განსაზღვრული ვადით და მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში გააჩნიათ სავალდებულო ხასიათი. ასეთია ყველა ე. წ. დროებითი კანონები. სხვა მატერიალურ კანონებთან ერთად დროებით კანონებსაც მათი შინაარსის ზოგადი თვისება ახასიათებს, ერთადერთი განსხვავება მათ შორის იმაში გამოიხატება, რომ ჩვეულებრივი კანონის მოქმედება იმთავითვე განსაზღვრული არ არის და სავალდებულო ხასიათს ინარჩუნებს მანამ, სანამ ახალი კანონით არ იქნება შეცვლილი, დროებითი კანონის მოქმედების ვადა კი მის გამოცემისთანავეა აღნიშნული. ამ განსხვავების მიხედვით ზოგიერთი ავტორი დროებით კანონებს არ მიიჩნევს მატერიალურ კანონებად და ცდილობს დროებითი კანონები საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ განკარგულებას დაუახლოვოს. ამ ავტორების აზრით, მატერიალური კანონის მთლიანი დახასიათებისათვის საკმარისი როდია მათი ზოგადი შინაარსი. მატერიალურ კანონს ამასთანავე ახასიათებს მისი მოქმედების დროის განუსაზღვრელობაც. მაგალითად, ესმენი შემდეგნაირად მსჯელობს ამ საკითხის შესახებ: კანონი — ამბობს იგი — შეიძლება განვმარტოთ, როგორც ისეთი წესი, რომელიც დადგენილია მომავალი დროისათვის ვადის განუსაზღვრელად. ეჭვგარეშეა, რომ ყოველ სახელმწიფოში არსებობს ისეთი კანონებიც, რომლებიც გამოცემულია განსაზღვრული ვადით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში აქ ჩვენ საქმე გვაქვს საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოქვეყნებულ ადმინისტრაციულ აქტებთან; ასეთი დასკვნა აუცილებელია, ესმენის აზრით, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კანონი, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანი უფლებრივი ნორმაა, ძნელი წარმოსადგენია თუ რატომ უნდა მოუვიდეთ აზრად კანონის ავტორებს ამ ნორმით მოქმედების განსაზღვრა ამა თუ იმ ვადით. ასეთია ესმენის აზრი, რომელსაც იზიარებენ აგრეთვე ბუვიე და გასტონეში.

ჩვენი აზრით ასეთი შეხედულება მოკლებულია საფუძველს. სინამდვილეში არცერთი კანონი არ არის გამოცემული განუსაზღვრელი დროით. პოლიტიკურ ურთიერთობათა მუდმივი ცვალებადობა თავისთავად გულისხმობს, რომ ყოველი კანონი თავის არსებაში მჭიდროდაა დაკავშირებული შესაფერ სოციალურ ურთიერთობასთან და მაშასადამე, განსაზღვრულია თავის მოქმედებაში. რეალურად, ამგვარად, არცერთი კანონი არ არის მარადიული არსებობის მატარებელი: თუკი ზოგიერთ შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანო იმთავითვე საზღვრავს ამა თუ იმ კანონის მოქმედების ვადას, ეს გარემოება სრულებით არ აიხსნება ამ კანონის იურიდიული ბუნების სპეციფიკური თვისებებით, არამედ იგი დამოკიდებულია იმ სოციალური ურთიერთობის განსაკუთრებულ შინაარსზე, რომელიც კანონის საგანს შეადგენს, ან კიდევ ნაკარნახევია რაიმე პოლიტიკური მოტივით. მაგალითისათვის შეგვიძლია შევჩერდეთ საბიუჯეტო კანონზე.

ჩვეულებრივ, საბიუჯეტო კანონი ერთი წლის ვადით ქვეყნდება და ამ აზ-

რით იგი, ექვემდებარება, დროებით კანონს წარმოადგენს. თავისი შინაარსის მიხედვით საბიუჯეტო კანონი ზოგად და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან მას მხედველობაში აქვს არა ესა თუ ის ინდივიდუალური საგანი, არამედ სახელმწიფო ცხოვრების ფინანსური მხარე. ამიტომ იგი, შინაგანი იურიდიული ბუნების მხრივ არაფრით არ განსხვავდება მატერიალური კანონისაგან. რაც შეეხება იმას, რომ ფინანსური კანონი ჩვეულებრივ ერთი წლის ვადით ქვეყნდება, ეს გაერმოება ერთი მოვლენით აიხსნება, რომელიც ამ კანონის იურიდიული ბუნებისათვის სრულებით არ არის დამახასიათებელი და მისი იურიდიული შემეცნების დროს მხედველობაში ვერ იქნება მიღებული. საბიუჯეტო კანონის ერთი წლის ვადა უმთავრესად ორი მოტივითაა გამოწვეული: ერთი მხრივ, სახელმწიფოს ფინანსური ცხოვრება იმდენად ცვალებადია, რომ შეუძლებელია უფრო მეტი ხნით შემოსავალ-გასაცლის ნაგარაუდები ბალანსის წინასწარი გაკეთება; მეორე მხრივ, საბიუჯეტო კანონის მოკლე ვადას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საკანონმდებლო ორგანოს იგი საშუალებას აძლევს მუდამ კონტროლის ქვეშ იყოლიოს აღმასრულებელი ხელისუფლება. როგორც პირველი ისე მეორე მოტივი მოკლებულია ყოველგვარ მნიშვნელობას საბიუჯეტო კანონის იურიდიული ბუნების შემეცნების დროს.

ეს აზრი კიდევ სხვანაირად შეიძლება დამტკიცდეს, როგორც ცნობილია, საბიუჯეტო კანონში არსებობენ ე. წ. მუდმივი ნაწილები, როგორცაა მაგალითად, სახელმწიფო ვალის პროცენტები, მუდმივი გადასახადები და სხვა, რომლებიც ყოველწლიურ საკანონმდებლო განხილვას საჭიროებენ. ესმენის მსჯელობას რომ მივყვეთ, საბიუჯეტო კანონს ორგვარი იურიდიული კვალიფიკაცია უნდა გავუკეთოთ: სახელდობრ, ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ვადით არ არის განსაზღვრული, მატერიალურ კანონად უნდა ვცნოთ, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ყოველწლიურ საკანონმდებლო განხილვას მოითხოვს — ადმინისტრაციულ განკარგულებად. ამგვარად, ერთი და იგივე კანონი, ერთ და იმავე დროს მატერიალური კანონიცაა და ადმინისტრაციული განკარგულებაც. ძნელია ადამიანი დაეთანხმოს იმგვარ კონსტრუქციას, რომელიც ასეთ შედეგებს იძლევა.

თუკი, მაშასადამე, კანონის მოქმედების ამა თუ იმ ვადით განსაზღვრა ან განუსაზღვრელობა არავითარ გავლენას არ ახდენს კანონის იურიდიულ ბუნებაზე, ცხადია, რომ ერთადერთი თვისება, რომელიც კანონის მატერიალური ცნებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, კანონის ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათია.

ამ დებულების წინააღმდეგ ხშირად აყენებენ შემდეგ მოსაზრებას: მართალია კანონს ზოგადი და აბსტრაქტული თვისება ახასიათებს, მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული რეგლამენტი ან განკარგულება ასეთსავე ზოგად და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს; აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ზოგადი შინაარსი ვერ ჩაითვლება კანონის სპეციფიკურ თვისებად.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საკითხის გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს რეგლამენტის ან განკარგულების იურიდიული ბუნების წინასწარ დაზუსტებას. რეგლამენტის ფორმალური განსაზღვრა მეცნიერებაში არ იწვევს აზრთა სხვადასხვაობას; რეგლამენტს თითქმის ყველა ერთხმად ახასიათებს, როგორც ისეთი ზოგადი ხასიათის განკარგულებას, რომელიც გამოცემულია სახელმწიფოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ, ვარდა პარლამენტისა, ანუ ისეთ განკარგულებას, რომელიც გამოქვეყნებულია არასაკანონმდებლო წესით. ადვილი გასაგებია

რომ ავტორები, რომელთაც მიღებული აქვთ კანონის მხოლოდ ფორმალური კონსტრუქცია, როგორც მაგალითად ოტტო მაიერი, უარყოფს ყოველგვარ თესაობას, კანონსა და რეგლამენტს შორის. მაგრამ ზოგიერთი ავტორი, რომელსაც შეგნებული აქვს ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისის სხვადასხვაობა კანონის იურიდიული ბუნების კონსტრუქციის დროს, პრინციპულ განსხვავებას პოულობს კანონსა და რეგლამენტს შორის. ამ ავტორების აზრით, ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათი საკმარისი არ არის მატერიალური კანონის კონსტრუქციისათვის, საჭიროა კიდევ სხვა სპეციფიკური მომენტები, რომლებიც კანონის მატერიალურ ცნებაში შედიან და მატერიალურ კანონს პრინციპულად ასხვავებენ საერთო ხასიათის ადმინისტრაციული განკარგულების ან რეგლამენტისაგან. მაგალითად, არტური შემდეგნაირად მსჯელობს ამ საკითხის შესახებ: კანონი — ამბობს — იგი საერთო ნორმაა, რომელიც აღმასრულებელი ორგანოს რეგლამენტისაგან განსხვავებით, შეზღუდული არ არის უკვე არსებული სამართლის ნორმებით. როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ ნორმას იღებს, იგი ამას სჩადის განუსაზღვრელი თავისუფლებით, იგი ამ შემთხვევაში, საჩვენებლობს მთლიანი და რადიკალური სუვერენიტეტით, რეგლამენტი კი, არტურის აზრით, ბუმცა საერთო ხასიათს ატარებს, მაგრამ აღჭურვილი არ არის რადიკალური სუვერენიტეტით და ამიტომ მას კანონს ვერ გუწოდებთ. ასეთი წუნედულება გამოწვეულია ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისის ერთმანეთში არევიტ.

კანონის იმ განმარტებიდან, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, სხვათა შორის, ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ საკანონმდებლო ფუნქციის საშუალებით სახელმწიფო ობიექტური სამართლის ნორმას ჰქმნის.

ადმინისტრაციული ფუნქცია


მეორე ფუნქცია სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელზედაც ახლა უნდა წევჩერდეთ და რომელსაც ხშირად ადმინისტრაციული ფუნქციის სახელით აღნიშნავენ, საწინააღმდეგო იურიდიული მომენტებით ხასიათდება და ეს საწინააღმდეგო ხასიათი უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ამ ფუნქციის საშუალებით სახელმწიფო არა ობიექტური სამართლის, არამედ სუბიექტურ უფლებათა სფეროში შედის. „როდესაც სახელმწიფო ქმნის კანონს — ამბობს დიუგი — იგი აბსტრაქტულ ნორმას აწესებს, რომელიც თავისი შინაარსით დამოუკიდებელია ამა თუ იმ კერძო გარემოებათაგან და კერძო პირებისაგან. ამის საპირისპიროდ, მაშინ, როდესაც სახელმწიფო ადმინისტრაციულ აქტს ასრულებს, მას მხედველობაში აქვს რაიმე კონკრეტული მდგომარეობა და ამიტომ, ურთიერთობაში შედის განსაზღვრულ პიროვნებასთან. აქედან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ საკანონმდებლო ფუნქციის საწინააღმდეგოდ, რომელიც ყოველთვის საერთო ხასიათს ატარებს, ადმინისტრაციული აქტი ინდივიდუალური აქტია, რომელიც კარგავს თავის მნიშვნელობას მას შემდეგ, რაც მიღწეულია მიზანი, რომლისათვისაც იგი გამოცემული იყო. ამ მხრივ იგი იურიდიულ აქტს წარმოადგენს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომელსაც სახელმწიფო ასრულებს. რას წარმოადგენს იურიდიული აქტი? იურიდიული აქტი *stricto sensu* არის ნების გამოაშკარავება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ობიექტურ სამართალს და ჰქმნის სუბიექტური სამართლის რაიმე მდგომარეობას. აქედან ადმინისტრაციული ფუნქცია შეიძლება განიშარტოს შემდეგნაირად: ეს ის ფუნქციაა, რომლის საშუალებით სახელმწიფო იურიდიულ აქტებს ასრულებს. ე. ი. თავის ნებას ააშკარავებს იმისათვის, რომ ამით შექმ-

ნას სუბიექტური სამართლის მდგომარეობა“. ამ განმარტებაში ოთხი ელემენტი იგულისხმება, რომელიც დამახასიათებელია იურიდიული აქტისათვის და აქედან ადმინისტრაციული ფუნქციისთვისაც. ესაა: ა) ნების გამოაშკარავება, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტი მხოლოდ მაშინ იღებს იურიდიულ ძალას, როდესაც ისეთ ფორმაშია ჩამოყალიბებული, რაც შესაძლებელად ხდის მისი არსებობის გაგებას მოქალაქეებისათვის; ბ) კომპეტენცია, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ აქტს აქვს მნიშვნელობა და იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ, თუ შესრულებულია ამა თუ იმ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში; გ) ყანონიერი მიზანი, ე. ი. ადმინისტრაციული აქტის იურიდიული მნიშვნელობისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ იგი შესრულებული იყოს სწორედ იმ მიზნით, რომელიც ამა თუ იმ დარგში კანონითაა გათვალისწინებული; დ) სუბიექტური იურიდიული მდგომარეობა, რაც ნიშნავს, რომ ამ აქტის საშუალებით ერთგვარი ცვლილება ხდება სახელმწიფოს შემადგენელი ამა თუ იმ ინდივიდის უფლებათა სფეროში. აი, მთავარი მომენტები, რომლითაც ადმინისტრაციული ფუნქცია ხასიათდება საკანონმდებლო ფუნქციისაგან განსხვავებით. უფრო დეტალური ანალიზი ამ ფუნქციისა ადმინისტრაციულ სამართალს ეკუთვნის და ამიტომ დეტალებზე არ შევჩერდებით.

ნათელია, რომ მთავარი თვისება, რომლითაც ეს ფუნქცია ხასიათდება, მის ინდივიდუალურ შინაარსში გამოიხატება. აქვე საჭიროა ითქვას შემდეგი: ხშირად ადმინისტრაციულ ფუნქციას აღმასრულებელ ფუნქციას უწოდებენ და ამით თითქმის იმის აღნიშვნა სურთ, რომ ადმინისტრაციული ფუნქციის მთავარი მოვალეობა ისაა, რომ სისრულეში მოიყვანოს კონკრეტულ შემთხვევაში ყველა ის მიზანი, რაც ამა თუ იმ საკანონმდებლო ნორმითაა გათვალისწინებული. ასეთი შეხედულება აუცილებლად უარყოფილი უნდა იქნეს. ადმინისტრაციული ფუნქციის დანიშნულება სრულებით არ გამოიხატება მარტო იმაში, რომ მან არსებული კანონის ნორმები სისრულეში მოიყვანოს; ადმინისტრაციული აქტი, მართალია ყოველთვის არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში უნდა მოქმედებდეს, მაგრამ ამ ფარგლებში ამა თუ იმ მიზნის დასმა, მისი განხორციელება სრულებით ავტონომიურად ხდება.

საიურისდიქციო ფუნქცია

გადავდივართ სახელმწიფო ხელისუფლების მესამე — სასამართლო ან უკეთ რომ ვთქვათ, საიურისდიქციო ფუნქციაზე. რაში მდგომარეობს ამ ფუნქციის სპეციფიკურობა? ამ კითხვაზე რომ მკაფიო პასუხი გამოვწახოთ, საჭიროა წინასწარ აღინიშნოს შემდეგი გარემოება; სახელმწიფოს ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ისაა, რომ იგი განსაზღვრავს ერთი მხრივ, სახელმწიფოს შემადგენელი ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულებას და მეორე მხრივ — თვით სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას და მის დამოკიდებულებას ქვეშევრდომებისადმი. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი საკანონმდებლო ფუნქციის საშუალებით სახელმწიფოს უფლებრივ, იურიდიულ ბუნებას ჰქმნის და მისი შემადგენელი ინდივიდების ურთიერთობას სამართლის ნორმებს უმორჩილებს. ადვილი გასაგებია, რომ ყველა მოთხოვნა, რაც ამ ნორმებითაა გათვალისწინებული, ყოველთვის და გამონაკლისის გარეშე როდი სრულდება პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილეში. პირიქით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის პიროვნება ან ხელისუფლების რომელიმე აგენტი ამ მოთხოვნების წინააღმდეგ მოქმედებს; ასეთ შემთხვევაში თვით პოლიტი-



კური ორგანიზაციის ძირითადი ინტერესები მოითხოვენ ისეთი ორგანოების
სებობას, რომლებიც წყვეტენ საკითხს, თუ რას მოითხოვს, რას გულისხმობს
სამართლის ესა თუ ის ნორმა, არის თუ არა იგი დარღვეული ამა თუ იმ კონკ-
რეტულ შემთხვევაში და თუ დარღვეულია, რა შესაფერ ზომებს იღებენ დარღვე-
ული ნორმის ავტორიტეტის და მნიშვნელობის აღსადგენად. სწორედ ეს თავი-
სებური ფუნქცია, ეს ორგანოები რომ აწარმოებენ და არსებითად რომ გან-
სხვავდება როგორც საკანონმდებლო, ისე აქტებისაგან, საიურისდიქციო ფუნ-
ქციის ცნებით აღინიშნება. უკანასკნელი თავის მთავარ მომენტში და მამასადამჭ
ამა თუ იმ სამართლის ნორმის წამდელი შინაარსის და მისი დარღვევის თუ
არდარღვევის დადასტურებაში გამოიხატება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთ-
ხვევაში.

საიურისდიქციო ფუნქცია ორ მთავარ ფორმაში პოულობს გამოხატულე-
ზას, რაც თავის მხრივ, იმ ძირითად სხვადასხვაობებზეა დამოკიდებული, რო-
მელსაც ვხვდებით სამართლის სფეროში.

როგორც ვიცით, სამართალი ორი ძირითადი სახით გვხვდება: არსებობს
ერთი მხრივ, სუბიექტური სამართალი, რომელიც ინდივიდის იურიდიულ სტა-
ტუსს გამოხატავს, რაც იმ უფლებებს აღნიშნავს, რომლის სუბიექტად არსე-
ბული კანონმდებლობით ცნობილია ესა თუ ის ინდივიდი და მეორე მხრივ,
ობიექტური სამართალი, რაც მოქმედების იმ წესს გამოხატავს, რომელიც სა-
ვალდებულოა საზოგადოების შემადგენელი ინდივიდებისათვის. ცხადია, რომ
პიროვნების მოქმედებით შესაძლებელია დაირღვეს როგორც ის უფლებები,
რომლებიც საზოგადოების ამა თუ იმ წევრს ეკუთვნის, ისე ობიექტური სამ-
ართლის ნორმა, რომლის დაცვით უშუალოდ დაინტერესებულია პოლიტიკური
ორგანიზაცია. აქედან, თავად საიურისდიქციო ფუნქციის მოქმედება ორ განს-
ხვავებულ სახეს იღებს. სახელდობრ, ერთი მხრივ არსებობს სუბიექტური იუ-
რისდიქცია, რომელიც ამა თუ იმ პიროვნების უფლებების დადასტურებაში გა-
მოიხატება მათი ვინმესაგან დარღვევის შემთხვევაში და მეორე მხრივ, არსებობს
ობიექტური იურისდიქცია, რომლის მთავარ ამოცანას იმის გამორკვევა შეად-
გენს, დარღვეულია თუ არა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტური
სამართლის ესა თუ ის ნორმა. პირველი იურისდიქციის მავალითებს ჩვენ უმ-
თავრესად სამოქალაქო, ადმინისტრაციული სასამართლოების მოქმედებაში ვხვ-
დებით. მეორე იურისდიქციის უმთავრეს სფეროს სისხლის სამართლის დარგი
წარმოადგენს. ამით შეგვიძლია დავამთავროთ იმ საკითხების განხილვა, რაც
ხელისუფლების დანაწილების პრინციპთანაა დაკავშირებული.

სახელმწიფოს ორგანოები

იმ სინამდვილის შემეცნებისათვის, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფო-
თა პოლიტიკურ სტრუქტურაში ვხვდებით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ურ-
თიერთდამოკიდებულების ანალიზს, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოების
ორგანოებს ახასიათებს; ხოლო ასეთი შემეცნება თავისთავად და წინასწარ იმ
საკითხის გაშუქებას გულისხმობს, თუ რას წარმოადგენს თავისი იურიდიული
ბუნებით ორგანო, რა ძირითადი მომენტები ახასიათებს მას.

სახელმწიფო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო ხელისუფლების არსებო-
ბით ხასიათდება, საჯარო ხელისუფლება თავისი მთავარი მომენტების თვალ-
საზრისით, ჩვენ დავახასიათეთ, როგორც ბრძანებლობითი ხელისუფლება ანუ
ისეთი ხელისუფლება, რომელიც იმპერატიული ხასიათის ნორმებს აქვეყნებს,

აქედან თავისთავად ცხადია, რომ ეს ხელისუფლება თავისი აქტიური მინიჭებული სით ხასიათდება, მისი არსებობა განსაზღვრული აქტების შესრულებაში გამოიხატება. მაგრამ მეორე მხრივ, ისიც უდავთა, რომ ასეთი აქტების რეალური შესრულება მხოლოდ ფიზიკურ ინდივიდუუმებს შეუძლიათ, ვინაიდან თვით ხელისუფლება, როგორც იურიდიული კატეგორია, მოკლებულია რეალური მოქმედების საშუალებას. ეს ფიზიკური ინდივიდები, რომლებიც საჯარო ხელისუფლების ამა თუ იმ აქტს რეალურ პოლიტიკურ სინამდვილეში ახორციელებენ, სახელმწიფოს ორგანოს ცნებით აღინიშნებიან. სახელმწიფოს ორგანოების ძირითადი დამახასიათებელი მომენტები, მაშასადამე, იმაში გამოიხატება, რომ ისინი ერთი მხრივ, ფიზიკურ ინდივიდებს წარმოადგენენ, მეორე მხრივ კი, თავის მოქმედებაში ეს ფიზიკური ინდივიდები ახორციელებენ არა საკუთარ, არამედ პოლიტიკური ორგანიზაციის ნებას. თავისთავად ასეთი ორგანოების რიცხვს, ანუ საკითხს, თუ რამდენადაა დიფერენცირებული ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში ხელისუფლების ორგანოები, არა აქვს მნიშვნელობა სახელმწიფოს შემეცნებისათვის in abstracto; ლოგიკურად ადვილი წარმოსადგენია და პოლიტიკური ცხოვრების განვლილმა საფეხურმა იცის მაგალითები, როდესაც ხელისუფლების ყველა ფუნქცია ერთადერთი ორგანოს, სახელდობრ, აბსოლუტური მონარქის ხელშია მომწყვდეული. მაგრამ პოლიტიკური განვითარების მძლავრი ტენდენციები, როგორც წარსულში, ისე განსაკუთრებით თანამედროვე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების პერიოდში, სწორედ ამგვარი დიფერენციაციისაკენ მიილტვოდა და სწორედ ამიტომ, იმდენად, რამდენადაც თანამედროვე სახელმწიფოთა პოლიტიკური წყობილების ანალიზი გვაქვს მიზნად დასახული, ამ ანალიზის დროს აუცილებელია გამოვიდეთ ერთი მხრივ, ამ სხვადასხვაობიდან, და მეორე მხრივ, აუცილებელია იმ ურთიერთდამოკიდებულების იურიდიული ანალიზი, რომელშიც ეს ორგანოები იმყოფებიან, როგორც სახელმწიფოს ხელისუფლების, ისე ერთიმეორისადმი.

ჩვენ უკვე მივუთითეთ იმ გარემოებას, რომ განსაზღვრული პოლიტიკური შოტივების ზეგავლენით, უკვე საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, ჩამოყალიბდა სამი შედარებით დამოუკიდებელი ორგანოს ცნება; სახელდობრ, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებისა. აქ ამას უნდა დაემატოს ის მოსაზრება, რომ ერთი მხრივ, თითოეული ამ ორგანოთაგანი თავის მხრივ ერთგვარ დანაწილებას განიცდის იერარქიულად ერთიმეორისაგან დამოკიდებულ ორგანოებად, ხოლო მეორე მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს ძირითადი ორგანოების მნიშვნელობა სახელმწიფოს იურიდიულ არსებობაში არსებითად განსხვავებულია; აი, ამ ორი თვისების მიხედვით შესაძლებელია ერთგვარი კლასიფიკაცია სახელმწიფოს ორგანოებისა, რომელსაც ახლა შევუდგებით:

ყოველ სახელმწიფოში აუცილებლად არსებობენ, უპირველეს ყოვლისა, გარეთწოდებული უშუალო ორგანოები, რომლითაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია განისაზღვრა თავის ძირითად ფორმებში და, რომელთა მოსაზრება ან სრულ დეზორგანიზაციას შეიტანდა სახელმწიფოში ან ძირიანად გადასხვავებებდა მას. მათი არსებობა უშუალოდ კონსტიტუციით იგულისხმება და უშუალოდ ეყრდნობა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას. ასე რომ უკანასკნელს მხოლოდ ასეთი ორგანოების საშუალებით შეუძლია თავისი ნების გამოაშქარავება. ასეთი ორგანოების მაგალითს წარმოადგენენ როგორც აბსოლუტური მონარქი, ისე ფიზიკური ინდივიდების კოლეგია, როგორცაა წარმომადგენ-

ლობითი პალატები. ზოგიერთი ამ ორგანოს წარმოშობა დაკავშირებულია განსაზღვრულ იურიდიულ ფაქტთან; მაგალითად, მონარქის უფლება ტახტზე გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ ის განსაზღვრულ გვარს ეკუთვნოდა. ზოგ შემთხვევაში, კი ასეთი უშუალო ორგანოს წარმოშობისათვის საჭიროა განსაკუთრებული, სახელდობრ, ამ ორგანოს შექმნისაკენ მიმართული იურიდიული აქტი; ასეთი ორგანოები, რომელთა მაგალითს ყველა ის ორგანოები წარმოადგენენ, რომლებიც არჩევნების ან დანიშვნის საშუალებით წარმოიქმნებიან, დანიშნული ორგანოების ცნებით აღინიშნებიან. თვით უშუალო ორგანოების ფარგლებში არსებობს განსხვავება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყოველ სახელმწიფოში აუცილებლად არსებობს ერთი უმაღლესი ორგანო, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სახელმწიფოს მთლიანი მექანიზმი, რომელსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ, არსებითად განსხვავდება სხვა დანარჩენი ორგანოებისაგან. დემოკრატიებში ასეთ ორგანოს როლს ხალხი ან მის მიერ არჩეული წარმომადგენლობა ასრულებს, მონარქიაში — მონარქი.

სახელმწიფოს ორგანოების მეორე კატეგორიას ეგრეთ წოდებული არაუშუალო ორგანოები წარმოადგენენ, რომელთა დამახასიათებელი თვისება, განსხვავებით უშუალო ორგანოებისაგან, იმაში გამოიხატება, რომ ისინი თავის არსებობაში ეყრდნობიან არა უშუალოდ კონსტიტუციას, არამედ იმ დავალებას, რომელიც ამ ორგანოს შექმნისაკენაა მიმართული და ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს. ისინი ყოველთვის დამოკიდებული არიან ამა თუ იმ უშუალო ორგანოსაგან და პასუხისმგებელნი მის წინაშე. ასეთია მოკლედ ის მთავარი მომენტები, რომლითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სახელმწიფოს ორგანოები. თავისთავად ასეთი კლასიფიკაცია დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. საკმარისია გამოინახოს ესა თუ ის თვისება, რომლის მიხედვითაც შემდეგ უკვე ადვილია სახელმწიფოს ორგანოების განსაზღვრულ ჯგუფებად, განსაზღვრულ კატეგორიებად დანაწილება. სახელმწიფოს ორგანოების შესახებ მოძღვრების მთავარი სიძნელე აქ კი არ არის, არამედ იმ იურიდიულ მომენტებშია, რომლითაც ხასიათდება სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოების დამოკიდებულება სახელმწიფოს ხელისუფლების სუბიექტისაგან. ორი მთავარი საკითხი იწვევს აქ სხვადასხვაობას: პირველი, თუ ვინ უნდა იქნეს ცნობილი საჯარო ხელისუფლების სუბიექტად და მეორე — თუ როგორი იურიდიული ტიტულით ხასიათდება ის დამოკიდებულება, რომელიც ხელისუფლების სუბიექტსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის არსებობს. ორივე საკითხი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ერთი მათგანის გადაჭრა უკვე განსაზღვრავს იმ პასუხს, რომელიც მეორე კითხვაზე უნდა გავცეს. თუ დავუკვირდებით სახელმწიფო სამართლის მეცნიერების თანამედროვე ლიტერატურას, დავინახავთ, რომ ამ საკითხების შესახებ ორი მთავარი შეხედულებაა შემუშავებული. პირველი შეხედულება, რომელსაც ჩვეულებრივ წარმომადგენლობითი მანდატის თეორიას უწოდებენ, უმთავრესად საფრანგეთის პოლიტიკურ ლიტერატურაში ერთის მხრივ და მეორე მხრივ — საფრანგეთის კონსტიტუციებშია გატარებული. ამ შეხედულების ამოსავალ წერტილს ის აზრი შეადგენს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთ პირველდაწყებით სუბიექტს ერი, ხალხი წარმოადგენს, მხოლოდ ამ უკანასკნელს ეკუთვნის სუვერენიტეტი; ამიტომ სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ხელისუფლების ამა თუ იმ ფუნქციას ასრულებენ, სინამდვილეში ახორციელებენ არა თავის საკუთარ უფლებას, არამედ იმ უფლებას, რომელიც მხოლოდ ხალხს ეკუთვნის; აქედან სახელმწიფო ხელისუფ-

ლება ან სუვერენიტეტი ხალხის ნებას წარმოადგენს; ამ ნების გამოაშკარავება ხალხს შეუძლია მხოლოდ განსაზღვრულ ფორმებში ე. ი. რამდენადაც ხალხს ერთგვარი ორგანიზაციული ჩამოყალიბება აქვს მიღებული და ამ ფორმაში იგი ჩვეულებრივ ამომრჩეველთა კორპუსის სახელით აღინიშნება, ვინაიდან, თანამედროვე წყობილებაში ამ ფორმით ჩამოყალიბებული ხალხის ჩვეულებრივ ფუნქციას წარმომადგენლების არჩევნები შეადგენს. ამ ფორმაში ჩამოყალიბებულ ხალხს უშუალოდ შეუძლია სუვერენიტეტის ე. ი. ხელისუფლების განხორციელება და აქ საქმე გვექნება პოლიტიკურ რეჟიმთან, რომელსაც პირდაპირი მმართველობა ეწოდება; ამ უკანასკნელის ფარგლებში არ არსებობენ სახელმწიფო ორგანოები, არამედ არსებობენ უბრალო აგენტები, რომლებიც თვითონ კი არ გამოხატავენ ხალხის ნებას, არამედ ასრულებენ უკვე ჩამოყალიბებულ და გამოაშკარავებულ ხალხის ნებას. ასეთია უშუალო მმართველობის იურიდიული ბუნება. მაგრამ უმრავლეს შემთხვევებში და განსაკუთრებით თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებში სუვერენული ერი ამომრჩეველთა კორპუსის სახით უშუალოდ როდი ააშკარავებს თავის ნებას, არამედ ამ მიზნით განსაზღვრულ ორგანოებს ჰქმნის; არსებობს ორი სახე ამ ორგანოებისა: ერთი მხრივ, წარმომადგენლები და მეორე მხრივ, აგენტები, თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე შევჩერდებით.

წარმომადგენლების ან წარმომადგენლობითი ორგანოს ქვეშ ამ თეორიით იგულისხმება ორგანო, რომელიც ხალხის მაგივრად ააშკარავებს მის, ე. ი. ხალხის ნებას, რომელსაც, სიიესის სიტყვები რომ ვიხმართ, თავად ხალხი ავალებს მის ნაცვლად მისი ნების გამოთქმას. თავისთავად ცხადია, რომ ხალხის ნაცვლად ხალხის სუვერენული უფლებების განხორციელება წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ აუცილებლად გულისხმობს ერთგვარ იურიდიულ დამოკიდებულებას, რომელიც ხალხსა და ამ ორგანოს შორის არსებობს და რომელიც ამ უკანასკნელს ხალხის მაგივრად მოქმედების იურიდიულ საფუძველს აძლევს. ეს დამოკიდებულება ჩვეულებრივ აღინიშნება საჯარო უფლებრივი მანდატის ცნებით და ამით იმის თქმა უნდათ, რომ „ხალხს, რომელიც ერთადერთი მატარებელია სუვერენული ხელისუფლებისა, დელეგაციის საშუალებით გადააქვს თავისი უფლებები წარმომადგენლობაზე, მას ანდობს თავისი ნების, თავისი ხელისუფლების განხორციელებას. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ყოველი აქტი, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანო ასრულებს, უნდა ისე გავიგოთ, თითქოს იგი თვით ხალხის მიერ იყოს შესრულებული და რომ ამიტომ, წარმომადგენლებს, როგორც ასეთებს, არა აქვთ საკუთარი ნება, რომელიც ხალხის ნებისაგან განსხვავებული იქნება. მათი ყოველი ბრძანება ხალხის ბრძანებაა“, (დეივი). სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს იურიდიულ არსებობაში ეს ორგანოები უმაღლესი ხელისუფლების გამომხატველია.

წარმომადგენლობითი ორგანოებისაგან განსხვავებით ე. წ. აგენტები სრულებით არ გამოხატავენ ხალხის ნებას, და სწორედ ამიტომ, ისინი არც შეიძლება ხალხის წარმომადგენლებად იქნენ ცნობილი. მათი მოქმედება მხოლოდ იმდენად ატარებს იურიდიულ მნიშვნელობას, რამდენადაც ეს მოქმედება წარმომადგენლობითი ორგანოებისაგან განსაზღვრულ ფარგლებში ხდება. მათი მოქმედება ამიტომ წარმომადგენლობითი ორგანოების კონტროლის ქვეშ იმყოფება.

ასეთია მოკლედ სახელმწიფოს ორგანოების ის დოქტრინა, რომელიც უმთავრესად საფრანგეთში გავრცელებული. ამ დოქტრინის ძირითადი მომენტები მოკლედ შემდეგ დებულებაში გამოიხატება: სუვერენული ხელისუფლება სა-

ხელმწიფოში თვითონ ხალხს ეკუთვნის, ხალხის ნებას ახორციელებენ წარმომადგენლობითი ორგანოების მანდატის ანუ ხალხის დავალების ნიადაგზე, წარმომადგენლობითი ორგანოების გარდა არსებობენ ე. წ. აგენტები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების აქტებს ასრულებენ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში და მისი კონტროლს ქვეშ.

ამ დოქტრინის წინააღმდეგ ჩვენ შემდეგ მთავარ მოსაზრებებს ვხვდებით თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ თეორიის ერთ-ერთი მთავარი დებულება იმ აზრს შეიცავს, რომ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლების მატარებელი ხალხია. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ხალხი, როგორც საჯარო ხელისუფლების სუბიექტი, იურიდიულ პიროვნებად უნდა იქნეს აღიარებული, რადგან პიროვნება, იურიდიული აზროვნების თვალსაზრისით, იმით ვლინდება, რომ ესა თუ ის ინდივიდი ან ორგანიზაცია განსაზღვრულ უფლებათა მატარებლად არის ცნობილი. ამით კი სახელმწიფოს კონსტრუქციაში გარდაუვალი დუალიზმი ჩნდება. გამოდის, რომ ერთი მხრივ, არსებობს სახელმწიფოს იურიდიული პიროვნება, ხოლო მეორე მხრივ, ხალხი — როგორც ასეთივე იურიდიული პიროვნება.

ასეთივე სიძნელეს აწყდება ამ თეორიის მეორე დებულება, რომლის მიხედვით ხალხსა და უფლებრივ ორგანოს შორის არსებული სამართლებრივი დამოკიდებულება მანდატის ანუ დავალების ხასიათს ატარებს; ყოველი მანდატი აუცილებლად გულისხმობს ორ პიროვნებას: ერთი მხრივ, პიროვნებას, რომელიც დავალებას იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, პიროვნებას, რომელიც დავალებას კისრულობს. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, რომელსაც ჩვენ ეხლა ვარჩევთ, დავინახავთ, რომ აქ ეს ორი პიროვნება სინამდვილეში არ არსებობს.

კიდევაც რომ დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ ხალხი ამ დამოკიდებულებაში მანდატის ანუ დავალების მომცემს წარმოადგენს, მეორე სუბიექტი, ე. ი. ის, რომელმაც დავალება უნდა მიიღოს, აქ არა სჩანს; საქმე ისაა, რომ წარმომადგენლობითი ორგანო იქმნება ხალხის მიერ არჩევნების საშუალებით და სწორედ იმ მომენტში, როდესაც ხალხი ამ ორგანოს ირჩევს, ეს უკანასკნელი, სანამ არჩეული არ არის, არც არსებობს და როგორც არარსებულს მას, რასაკვირველია, არც შეუძლია რაიმე დავალება მიიღოს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ორგანო უკვე არჩეულია, წყდება ხალხის აქტიური მოქმედება, მისი ნების რეალური გამოხატულება და მაშასადამე, ამ მომენტებიდან ხალხს აღარ შეუძლია რაიმე რეალურ იურიდიულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს მის მიერ არჩეულ წარმომადგენლობით ორგანოსთან. პირველ შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ხალხი, მეორე შემთხვევაში — მის მიერ არჩეული ორგანო. აქედან, აუცილებელია დასკვნა, რომ ეს ორი სუბიექტი არა ერთსა და იმავე, არამედ სხვადასხვა დროს არსებობენ და ამიტომ ცხადია, რომ მათ შორის შეუძლებელია რაიმე მანდატის ან დავალების ხასიათის იურიდიული დამოკიდებულება არსებობდეს. აი ის მთავარი მოტივები, რომელსაც ვხვდებით ფრანგული დოქტრინის წინააღმდეგ თანამედროვე ლიტერატურაში.

მეორე შეხედულება იმ საკითხებზე, რომლებსაც ახლა ვიხილავთ, უმთავრესად გერმანულ მეცნიერებაშია გავრცელებული და ჩვეულებრივ, ~~ორგანული~~ თეორიის სახელით აღინიშნება. ამ თეორიის ამოსავალ წერტილს ის აზრი შეადგენს, რომ სუვერენული ხელისუფლების მატარებელი სახელმწიფოში თვით სახელმწიფოა, ამიტომ, ეს უკანასკნელი, ისევე როგორც საერთოდ ყო-

ველი კოლექტიური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრულ ფაქტობრივ პირობებს აკმაყოფილებს, იურიდიულ პიროვნებად უნდა იქნეს ცნობილი. ამ დებულების დამტკიცების მიზნით ეს თეორია იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ პიროვნების ცნება, იურიდიული თვალსაზრისით, ფიზიკური ინდივიდის ცნების თანაბარი არ არის; ამიტომ, გამოთქმა — ფიზიკური პიროვნება — მოკლებულია ყოველგვარ აზრს, ვინაიდან თავის შინაარსში იგი *Contradictio in adjecto*-ს შეიცავს; ფიზიკურ სამეფოში მოცემულია მხოლოდ განსაზღვრული სუბსტანცია და მისი ფუნქციები, პიროვნება კი აბსტრაქტულ დამოკიდებულებათა აღმნიშვნელი ცნებაა; ამიტომ, იგი ყოველთვის გულისხმობს მრავალი ინდივიდის ერთად არსებობას, რომლებიც ერთმანეთთან განსაზღვრულ დამოკიდებულებაშია. რომ ეს მართლაც ასეა, რომ ფიზიკური ინდივიდი და პიროვნება ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, ნათლად ამტკიცებენ მაგალითები, როდესაც ფიზიკური ინდივიდი ან ფიზიკური ინდივიდების განსაზღვრული რიცხვი პიროვნების თვისებას მოკლებულია. ასე მაგალითად, ძველ რომში მძნები, რომლებიც ცხადია, ფიზიკურ ინდივიდებს წარმოადგენენ, პიროვნებად როლი ითვლებოდნენ. აქედან აუცილებელია დასკვნა, რომ პიროვნების ცნება იურიდიულ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომ იგი იურიდიული წყობილების მიერ შექმნილი პროდუქტია; ამ აზრით პიროვნება, იურიდიული თვალსაზრისით, ყველა იმას აღნიშნავს, რაც განსაზღვრული იურიდიული წყობილების ფარგლებში მიჩნეულია უფლება-მოვალეობათა მატარებლად. აქედან ცხადია, რომ, თუ კი პიროვნების არსებობა არის აუცილებლად ფიზიკური ინდივიდის არსებობასთან დაკავშირებული, ასეთ პიროვნებად შესაძლებელია განსაზღვრული იქნეს კოლექტიური ორგანიზაცია, თუ კი ეს უკანასკნელი განსაზღვრულ უფლებათა და მოვალეობათა მატარებელია, თუ კი იგი უფლებაუნარიანობით (*Rechtsfähigkeit*) არის აღჭურვილი. ასეთ კორპორაციულ ანუ იურიდიულ პიროვნებას წარმოადგენს სახელმწიფო. მაშასადამე, სახელმწიფო იურიდიული პიროვნებაა და ეს იმიტომ, რომ განსაზღვრულ უფლებათა სუბიექტია. სამართლის ყოველ სუბიექტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ნება, რომლის საშუალებითაც იგი თავის უფლებრივ ინტერესებს ახორციელებს და სწორედ აქედან აუცილებლად იზადება კითხვა, თუ სად პოულობს სახელმწიფო-მისთვის, როგორც სამართლის სუბიექტისათვის, საჭირო ნებას, ვინაიდან, ნებას მხოლოდ ადამიანის ფსიქიკურ ცხოვრებაში აქვს ადგილი, ერთი შეხედვით აქ თითქმის აუცილებელია დასკვნა, რომ სახელმწიფო ნების აქტების შესრულებისათვის უძალი (*Willensufähig*) პიროვნებად უნდა დავსახოთ და ამიტომ, აქ საჭიროა წარმომადგენელი, რომელიც სახელმწიფოს სახელით ამა თუ იმ აქტს შესრულებს. ასეთი დასკვნა ორგანული თეორიისათვის მიუღებელია, რადგან ეს დასკვნა მთავარ მომენტებში იმასვე იმეორებს, რასაც ჩვენ წარმომადგენლობითი მანდატის თეორიაში ვხვდებით. ორგანული თეორიის აზრით აქ სულ სხვაგვარი გამოსავალი უნდა იქნეს გამოჩნხული. ეჭვგარეშეა, რომ ავით სახელმწიფო, როგორც იურიდიული პიროვნება, მოკლებულია საკუთარი ნების რეალური გამოაშკარავების საშუალებას და სწორედ აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს. რომ ამ მიზნისათვის იგი განსაზღვრული ფიზიკური ინდივიდების არსებობას საჭიროებს, რომლებიც ამ ნების გამომხატველი ორგანოების როლს ასრულებენ. რომ სწორად გავიგოთ დამოკიდებულება, რომელიც ამ ორგანოებსა და სახელმწიფოს შორის არსებობს, საჭიროა გავანალიზოთ ნებელობითი აქტები, რომლებსაც ამ ორგანოების მოქმედებაში ვხვდებით, აქტები, რომლებსაც ეს


ორგანოები სახელმწიფოს მიზნებთან შეფარდებით ასრულებენ, ორი განსაკუთრებული თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ეს აქტები იმ ინდივიდების ინდივიდუალურ ნებელობით აქტებს წარმოადგენენ, რომლებიც ორგანოს ფუნქციას ასრულებენ. იურიდიული თვალსაზრისით კი, ეს აქტები თვით სახელმწიფოს ნების გამოამკარავებად უნდა იქნენ ცნობილი და სწორედ ამიტომ, ამ აქტების შემსრულებელი ფიზიკური ინდივიდი სახელმწიფოს ორგანოდ უნდა მივიჩნიოთ, ამიტომ აქ არ არსებობს ორი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი პიროვნება—ერთი მხრივ—სახელმწიფო და მეორე მხრივ—ორგანო, არამედ არსებობს მხოლოდ ერთადერთი კოლექტიური პიროვნება—თვით სახელმწიფო, რომელიც თავისი ორგანოების საშუალებით მოქმედებს და ეს ორგანოები მის შემადგენელ ინტეგრალურ ნაწილს წარმოადგენენ, წინააღმდეგ ფრანგული დოქტრინისა, აქ არ არსებობს რაიმე წარმომადგენლობა, ვინაიდან, ეს უკანასკნელი ყოველთვის გულისხმობს ორ, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ პიროვნებას, სახელდობრ, წარმომადგენელს და მას, ვისაც ის წარმოადგენს. წარმომადგენლის უკან ამიტომ ყოველთვის ვინმე იგულისხმება, ორგანოს უკან კი—არავინ. სახელმწიფო და მისი ორგანოები ერთ განუყოფელ იურიდიულ მთლიანობას წარმოადგენენ. ასეთია ის მთავარი მომენტები, რომლითაც ორგანული თეორია ხასიათდება მოძღვრებაში სახელმწიფოს ორგანოების შესახებ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმი უმთავრესად იმით ხასიათდება, რომ ამ რეჟიმის ფარგლებში საკანონმდებლო ორგანოს, ანუ სახალხო წარმომადგენლობას უპირატესი პოლიტიკური მნიშვნელობა ახასიათებს, ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ სახელმწიფოს ორგანოების შესახებ მოძღვრება მთავარ და განსაკუთრებულ ყურადღებას ამ იურიდიული ინსტიტუტის ძირითადი მომენტების დახასიათებას აქცევს. ფრანგული დოქტრინა, რომელიც ჩვენ ზევით განვიხილეთ, ამ საკითხში იმ დებულებიდან გამოდის, რომ საკანონმდებლო ორგანოში ხალხის ნების წარმომადგენლობას ხედავს. ეს წარმომადგენლობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო ხასიათის მანდატს ანუ დავალებას ეყრდნობა და სწორედ ამგვარი დამოკიდებულების ნიადაგზე შეიძლება აიხსნას ის პოლიტიკური ხასიათის უშუალო კავშირი, რომელიც ხალხსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის არსებობს თანამედროვე სახელმწიფოებრივი წყობილების ფარგლებში. მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი კონსტრუქცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებლად იმ დასკვნას იძლევა, რომ სახალხო წარმომადგენლობას ანუ საკანონმდებლო ორგანოს იურიდიული პიროვნების ხასიათს ანიჭებს. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი შეხედულება იმ კონსტრუქციის მიხედვით, რომელსაც ორგანული სკოლა სახელმწიფო ორგანოს ცნებას აძლევს, ამ სკოლისათვის მიუღებელია, ვინაიდან უკანასკნელის დამახასიათებელი მომენტი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მისი შეხედულებით, სახელმწიფო ორგანო მოკლებულია იურიდიული პიროვნების თვისებას. ამიტომ, წინდაწინვე შეიძლება იმის გათვალისწინება, რომ სახალხო წარმომადგენლობის ინსტიტუტისათვის ამ თეორიას სხვაგვარი დახასიათება უნდა მიეცა. ორგანული თეორიის ფარგლებში ამ საკითხმა ერთგვარი ევოლუცია განიცადა; სახელდობრ, ერთი მხრივ, ჩვენ აქ ვხვდებით ლაბანდის, ზეიდელის შეხედულებებს, რომელთა მთავარი აზრი შემდეგში გამოიხატება: განსხვავებით წარმომადგენლობითი მანდატის თეორიისაგან, ავტორების აზრით, ხალხი სუვერენული უფლებების მატარებელ იურიდიულ პიროვნებას კი არ წარმოადგენს, არამედ სახელმწიფოს

ერთ-ერთ ორგანოს გამოხატავს, რომლის კომპეტენცია არჩევნებში გამოიხატება; ამ ორგანოს გვერდით არსებობს სახელმწიფოს მეორე ორგანო-პარლამენტი, რომლის მოქმედება ამა თუ იმ გადაწყვეტილების deliberation გამოტანაში მდგომარეობს. ამ ორ ორგანოს შორის არ არსებობს რაიმე უფლებრივი ხასიათის დამოკიდებულება; ექვს გარეშეა, რომ არჩევნები აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რათა ამა თუ იმ პიროვნებამ საკანონმდებლო ფუნქციები შესრულოს, მაგრამ თავისთავად საარჩევნო აქტს არასოდეს არ გადააქვს ამომრჩეველთა უფლებები ამორჩეულზე. უკანასკნელის უფლება-მოვალეობანი მხოლოდ სახელმწიფოს კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, ამიტომ წარმომადგენლობის ცნება მარტოდენ პოლიტიკური შინაარსის მატარებელია, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, იგი მოკლებულია ყოველგვარ აზრს. ლაბანდი მკაფიოდ აღნიშნავს ამ შეხედულების დედააზრს, როდესაც იგი გერმანიის რაიხსტაგზე ლაპარაკობს: „რაიხსტაგის წევრების ხალხის წარმომადგენლებად წოდება მოკლებულია დადებით იურიდიულ მნიშვნელობას, იურიდიული თვალსაზრისით, რაიხსტაგის წევრები არავის წარმომადგენლები არ არიან; მათი უფლებები სამართლის სხვა სუბიექტებისაგან კი არ გამომდინარეობენ, არამედ უშუალოდ იმპერიის კონსტიტუციას ეყრდნობიან“. ადვილი მისახვედრია, რომ ხალხი ამ თეორიის ფარგლებში არა სახელმწიფოს შემადგენელ ინდივიდთა მთლიან რიცხვს აღნიშნავს, არამედ მხოლოდ იმ პირებს, რომელნიც აუჭურვილი არიან საარჩევნო უფლებებით, ამ აზრით ადვილი გასაგებია, რომ ხალხი სახელმწიფო წყობილების მიერ ჩამოყალიბებულ განსაზღვრულ ორგანოს წარმოადგენს, რომელიც თავის უფლება-მოვალეობას კონსტიტუციიდან იღებს და თავისთავად ვერავითარ იურიდიულ, უფლებრივ ზეგავლენას ვერ მოახდენს სახელმწიფოს მეორე ორგანო-პარლამენტზე, რომლის უფლებები იმავე კონსტიტუციას ეყრდნობა.

ამ შეხედულების მთავარი ნაკლი ისაა, რომ იგი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს დიუვი, აშკარად ეწინააღმდეგება ფაქტებს, ასეთ ფაქტს წარმოადგენს ის რეალური კავშირი, რომელიც ხალხს და წარმომადგენლობას შორის არსებობს; შესაძლებელია მას ჰქონდეს პოლიტიკური შინაარსი, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს პოლიტიკური ხასიათის ურთიერთობა ერთგვარ გავლენას ახდენს სახელმწიფოს იურიდიულ არსებობაზე, აუცილებელია ამ დამოკიდებულების კვალიფიკაცია იურიდიული შემეცნების ფარგლებში. ეს შეხედულება რომ მართალი იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა, როგორც ამას აღნიშნავს ელინეკი, იმ უდიდეს ცვლილებათა გაგება თანამედროვე სახელმწიფოების პოლიტიკურ სტრუქტურაში, რომელიც საარჩევნო უფლების რეორგანიზაციამ გამოიწვია, შეუძლებელი იქნებოდა იმ ბრძოლის ნამდვილი მნიშვნელობის შემეცნება, რომელიც მიმართულია საარჩევნო უფლების დემოკრატიზაციისაკენ. ყველგან და ყოველთვის ამ ბრძოლას მხედველობაში აქვს არა თავისთავად არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მოპოვება, არამედ ამორჩეულთა საშუალებით თვით სახელმწიფო საქმიების მსვლელობაზე ერთგვარი ზეგავლენის მოხდენა. და ეს უკანასკნელი არა მარტო ფაქტობრივ, არამედ, ამასთანავე, უფლებრივ ხასიათს ატარებს.

ამ მთავარი მოსაზრების მიხედვით ელინეკს განსაზღვრული ცვლილება შეაქვს ამ შეხედულებაში, რომლის მიზანია იმ მჭიდრო დამოკიდებულების ახსნა, რომელიც ხალხსა და წარმომადგენლობით ორგანოს შორის არსებობს. ელინეკის შეხედულება იმავე მთავარი დებულებიდან გამოდის, რომლებიც და-




მახასიათებელია ორგანული თეორიისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ თეორიის მთავარი აზრი ისაა, რომ სახელმწიფო, როგორც სუბიექტი, უფლებამოსილია მოვალეობათა იურიდიულ პირად უნდა იქნეს ცნობილი, რომელიც თავისი ნების გამოხატვაში უფლებამოსილია ფიზიკურ ინდივიდებს საჭიროებს; ეს უკანასკნელნი, რამდენადაც ისინი თავიანთ მოქმედებაში არა საკუთარ, არამედ სახელმწიფოს ნებას ახორციელებენ, სახელმწიფო ორგანოების სახეს იღებენ. ელინეკის აზრით, ასეთ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს ხალხი. ხალხი, როგორც ყოველი ორგანო, მოკლებულია საკუთარ იურიდიულ პიროვნებას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მოკლებულია საკუთარ უფლებებს. ამიტომ ის ნება, რამდენადაც ხალხი ახორციელებს თავის მოქმედებაში, არა მისი საკუთარი, არამედ სახელმწიფოს ნებაა. იგი ნების ერთ-ერთი ორგანოა, რომლის კომპეტენცია სახელმწიფოს კონსტიტუციით განისაზღვრება. ეს კომპეტენცია სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წყობილების ფარგლებში არ არის ერთნაირი. უშუალო დემოკრატიაში მაგალითად, ხალხი როგორც მთლიანობა, სახელმწიფოს უმადლეს ორგანოს წარმოადგენს, ამიტომ იგი თვითონვე ასრულებს იმ ნებელობით აქტებს თავის კომპეტენციის ფარგლებში, რაც დაკისრებული აქვს მას, როგორც სახელმწიფოს ნების გამომხატველ ორგანოს. წარმომადგენლობითი რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს მდგომარეობა არსებით ცვლილებას არ განიცდის, ცვლილება აქ მხოლოდ იმ მხრივ ხდება, რომ ხალხის უფლებები აქ მარტო განსაზღვრული ინდივიდების ამორჩევაში გამოიხატება, რომლებიც ახლა ხალხის მაგიერ იმ სხვა დანარჩენ ფუნქციებს ასრულებენ, ამ მომენტამდე თვით ხალხს რომ ეკუთვნოდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის ნება რომელსაც აქამდე გამოხატავდა ხალხი, როგორც მთლიანობა, ამ მომენტიდან მის მიერ ამორჩეულმა კორპორაციამ უნდა გამოხატოს. ამ სახით შექმნილი წარმომადგენლობა ამიტომ ხალხის ნების გამომხატველ ორგანოს წარმოადგენს. და რადგანაც თვით ხალხიც ორგანოა, წარმომადგენლობა ამ ორგანოს ორგანოდ უნდა იქნეს ცნობილი. უკვე აღვნიშნეთ, რომ ორგანული სკოლის შეხედულებით ამა თუ იმ მთლიანობის ორგანო დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ ამ მთლიანობის შინაგან ინტეგრალურ ელემენტს წარმოადგენს. ასეთივე შეხედულება, ელინეკის აზრით, უნდა იქნეს მიღებული წარმომადგენლობითი ორგანოს შესახებაც; ეს უკანასკნელი განცალკევებით, დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ როგორც ხალხის ორგანო ამ ხალხის ინტეგრალურ მომენტს აღნიშნავს, ვინაიდან იგი ხალხის ნების ყოფას გამოხატავს. ამგვარი შეხედულების ნიადაგზე კი ადვილი გასაგებია იუსუალო დამოკიდებულება, რომელიც ხალხს და მის მიერ არჩეულ წარმომადგენლობას შორის არსებობს. ასეთია ის ცვლილებები, რომელნიც ორგანულ დოქტრინაში შეაქვს ელინეკს წარმომადგენლობითი ორგანოების იურიდიული ბუნების საკითხში.

ამით შეგვიძლია დავამთავროთ სხვადასხვა თეორიების განხილვა, რომლებიც ორგანოების შესახებ მოძღვრებასთანაა დაკავშირებული.

სახელმწიფო წყობილება

როგორც ზემოთ ითქვა, სახელმწიფოს ყველაზე დამახასიათებელი ელემენტი სახელმწიფო ხელისუფლებაა. ხელისუფლების უფრო დეტალური ანალიზის მიზნით ჩვენ განვიხილეთ ერთი მხრივ, ხელისუფლების ფუნქციები ანუ ძირითადი ფორმები, რომლებშიც თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო ხელისუფლება, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა ორგანოები, რომლებიც



თავიანთი მოქმედებით სახელმწიფოს ნებას რეალურად ახორციელებენ. ადვილი გასაგებია, რომ სახელმწიფოს მთლიანობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ ამ ორგანოების მოქმედებას შეთანხმებული ხასიათი აქვს, თუ ამ მოქმედებაში დაცულია ერთგვარი კოორდინაცია. ეს მიზანი რომ მიღწეული იქნეს, საჭიროა არსებობდეს ერთგვარი წესი, რომელიც სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოების კომპეტენციას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას და მოქალაქეებისადმი ამ ორგანოების დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ასეთი წესი აუცილებლად იგულისხმება სახელმწიფოში, რადგან იქ, სადაც იგი არ არსებობს, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ადვილს ანარქია იკავებს. თუ დავეუკვირდებით სახელმწიფოებრივი ცხოვრების ჩამოყალიბების პერიოდს, ნათლად დავინახავთ, რომ არა თუ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უკვე წარმოიშვა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების წინამორბედ ფორმებში საგვარეულო და სათემო კავშირებში ვხვდებით განსაზღვრულ ფორმებს, რომელთაც საზოგადოებრივი ცხოვრებაში ერთგვარი წესრიგი შეაქვთ. მართალია, აქ იძულებითი ხელისუფლება ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ სარწმუნოებრივი შეხედულებანი, ერთი მხრივ, და სხვადასხვა ჩვეულებანი, მეორე მხრივ, ამ ხელისუფლების მაგივრობას სწევენ იმ ვაგებით, რომ შინაგანი ფსიქოლოგიური ზეგავლენით ინდივიდის მოქმედებას საზოგადოებრივ ანუ საერთო ინტერესებთან შეთანხმებულ, შეგუებულ ხასიათს ანიჭებენ. სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად ამავე მიმართულებით მოქმედებს ხელისუფლების იძულებითი ძალა. მაგრამ წესრიგს, რომელსაც აქ ვხვდებით, უმთავრესად ფაქტობრივი ხასიათი აქვს; მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამ ერთგვარი ევოლუცია განიცადა, ეს ფაქტობრივი წესრიგი უფლებრივ ფორმებს იღებს. იგი ამ მომენტიდან დამოკიდებულია არა მარტო საზოგადოებრივი ელემენტების რეალურ ურთიერთდამოკიდებულებაზე, არამედ განსაზღვრული უფლებრივი ნორმებით განისაზღვრება. ამ ძირითადი ხასიათის უფლებრივ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებს, მათი ორგანიზაციის წესს, კომპეტენციას და ურთიერთდამოკიდებულებას, აგრეთვე, ინდივიდის დამოკიდებულებას საჯარო ხელისუფლებისადმი, ეწოდება კონსტიტუცია.

ამგვარი ძირითადი კანონის ცნება, რომელიც თავისი იურიდიული მნიშვნელობის მხრივ არსებითად განსხვავდება სამართლის სხვა დანარჩენი ნორმებისაგან, რომლებიც განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებენ, ცნობილი იყო უკვე ძველ საბერძნეთსა და რომში. ასე მაგალითად, არისტოტელე პრინციპულად ანსხვავებდა ერთი მხრივ პოლიტიას, რომელიც სახელმწიფოებრივ წყობილების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს და მეორე მხრივ — *vonoi*-ს, ე. ი. ჩვეულებრივ კანონს, რომელიც ამ ძირითადი ნორმების საფუძველზეა მიღებული. ასეთსავე შეხედულებას ვხვდებით რომის სახელმწიფოებრივი წყობილების ფარგლებში, აქაც იურიდიული აზროვნება მკაფიოდ ასხვავებს ერთმანეთისაგან სახელმწიფოს ძირითადი ორგანიზაციის ნორმებს, რომელთა შემუშავებას ტექნიკური ტერმინით — *rem publicam constituere* — აღნიშნავდნენ და ჩვეულებრივ საკანონმდებლო აქტებს. მაგრამ ამ პერიოდისათვის, მეორე მხრივ, დამახასიათებელია შემდეგი გარემოება: თუმცა როგორც აღვნიშნეთ, განსხვავება კონსტიტუციასა და ჩვეულებრივ კანონებს შორის ეჭვს არ იწვევდა, აქ, ამ პერიოდში არსად არ ვხვდებით კონსტიტუციური კანონების ერთ ფორმალურ აქტში ჩა-



მოყალიბების მოთხოვნას. ეს გარემოება კი იმაზე მოუთითებს, რომ ამ პერიოდში არ ყოფილა მკაფიოდ შემცენებული ის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც კონსტიტუციური კანონის მკაფიო ჩამოყალიბებას აქვს სახელმწიფოს სხვადასხვა ელემენტების ურთიერთგანსაზღვრის საკითხში; ცხადია, ასეთი განსაზღვრის მოთხოვნილება სწორედ იმ პერიოდში უნდა ყოფილიყო, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლება პოლიტიკური საზოგადოების სხვადასხვა მძლავრი ელემენტების ბრძოლის საგნად გადაიქცა. ასეთ სურათს ქმნის, თანამედროვე სახელმწიფოების მიერ განვლილი პოლიტიკური განვითარების გზა საუკუნეებრიდან და სწორედ ამ ევოლუციის პერიოდში თანდათან მტკიცდებოდა აზრი სახელმწიფოს ძირითადი კანონის ერთ ფორმალურ აქტში გამოხატვის მნიშვნელობის შესახებ.

უკვე შუა საუკუნეების ფარგლებში, და განსაკუთრებით კი სარეფორმაციო მოძრაობის პერიოდის შემდეგ, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკური იდეოლოგია შემუშავდა. ერთ მათგანში მეფის ხელისუფლებას აბსოლუტური ხელისუფლების ხასიათი ეძლეოდა, რომელიც ამიტომ სრულებით შეუზღუდველი თვისების მატარებლად იყო აღიარებული; ადვილი გასაგებია, რომ ამ აზროვნების ფარგლებში შეუძლებელი და მიუღებელი იყო აზრი ისეთი ნორმების არსებობისა, რომლებიც სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოებს და მათ შორის მონარქსაც განსაზღვრულ სამართლებრივ წესრიგს დაუმორჩილებდა. იმ იდეოლოგიის მთავარი აზრი დებულებაში — *princeps legibus solutus est* — გამოიხატებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეფის ხელისუფლება არც ერთი არსებული კანონით არ იყო შეზღუდული. პოლიტიკური თბოზიცია, რომელიც მეფის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული, როგორც უკვე ითქვა, თავის კონსტიტუციაში სახალხო სუვერენიტეტის პრინციპიდან ამოდიოდა. ეს უკანასკნელი პრინციპი კი სხვათა შორის იმ შეხედულებას გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს დაარსება და აქედან მეფის ხელისუფლების ინსტიტუტი დამოუკიდებელი ინდივიდების თავისუფალი შეთანხმებიდან გამომდინარეობს. ამ აზროვნების მიხედვით სახელმწიფოს წარმოშობას არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი საფუძველი ეძლეოდა, ე. ი. სახელმწიფოს და მეფის ხელისუფლების დაარსება აქ განსაზღვრული სამართლებრივი აქტით იყო გამოწვეული. ამდენად, ამ აზროვნების ფარგლებში, ცენტრალურ საკითხად უნდა ქცეულიყო საკითხი იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა არსებულებოდა ერთის მხრივ, საჯარო ხელისუფლების ან ამ ხელისუფლების რომელიმე მატარებლის და სახელმწიფოს წარმოშობა სამართლებრივ აქტს შორის. ამ საკითხზე როგორც შუა საუკუნეებში, ისე პოლიტიკური განვითარების შემდეგ საფეხურებზე ერთსა და იგივე პასუხს როდი ვპოულობთ; განსხვავებას აქ იწვევს არა მარტო ამა თუ იმ მიმართულების ძირითადი იდეოლოგიური პრინციპი, არამედ თითოეული მიმდინარეობის ფარგლებში ეს საკითხი სხვადასხვა გაშუქებას პოულობს იმასთან დამოკიდებულებით, თუ როგორი სამართალი აქვთ მხედველობაში — პოზიტიური თუ ბუნებითი. როგორც ცნობილია, განსხვავება პოზიტიური, დადებითი კანონისა ბუნებითი სამართლის ნორმებისაგან ფუნდამენტალურ როლს თამაშობდა იურიდიულ აზროვნებაში, განსაკუთრებით შუა საუკუნეებიდან. რამდენადაც საკითხი კონკრეტულად იყო დასმული, თუ რამდენად სავალდებულო იყო სახელმწიფო ხელისუფლების ამა თუ იმ სუბიექტისათვის სამართლის ნორმები, საჭირო იყო წინასწარ იმ საკითხის გაშუქება, თუ როგორი ხასიათის ნორმებზე იყო ლაპარაკი, ამიტომ იმ საკითხის ისტორიული

განხილვის დროს, რომელსაც ჩვენ ახლა ვარჩევთ, საჭიროა ერთიმეორისაგან გამოყოფილ იქნეს ორი კითხვა: პირველი, თუ რა მნიშვნელობა და იურიდიული ძალა ეძლეოდა სხვადასხვა სისტემებში პოზიტიურ სამართალს უმაღლესი წესისუფლების მიმართ და მეორე, ასეთივე კითხვა დამოუკიდებლად უნდა იქნეს განხილული ბუნებითი სამართლის ცნებასთან შეფარდებით.

ჯერ შევჩერდებით პოზიტიურ სამართალზე. უკვე შუა საუკუნეების აზროვნებაში გვხვდება დადებითი სამართლის განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი ისეთ ნორმებს აღნიშნავს, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სარგებლიანობისა და მიზანშეწონილობის მოსაზრებებთან შეფარდებით არიან დაწესებული. საკითხავია, თუ რამდენადაა ასეთი ნორმები სავალდებულო.

აქამდე ჩვენ სახელმწიფოს ისეთ თვისებებს ვიხილავდით, რომლებიც დამახასიათებელია სახელმწიფოს ცნებისათვის in abstracto, ე. ი. მომენტები, რომლებზედაც ლაპარაკი გვქონდა, იგულისხმებიან ყოველი სახელმწიფოს არსებობაში; ამიტომ ეს მომენტები სახელმწიფოს ცნების გენერალურ, საერთო მომენტებს წარმოადგენენ, მაგრამ ამ საერთო თვისებებთან ერთად თითოეული სახელმწიფო თავისებური სპეციფიკური მომენტებითაც ხასიათდება; ესა თუ ის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ინდივიდუალური ორგანიზაციაა და სწორედ ამიტომ სახელმწიფო სამართლის მეცნიერების ფარგლებში სახელმწიფოს შინაგანი ბუნების უფრო დეტალური შემეცნების დროს, უნდა გაშუქდეს არა მარტო ის საერთო მომენტები, რომლებიც სახელმწიფოს ცნების ასე ვთქვათ ძირითად ჩონჩხს წარმოადგენს, არამედ ის თავისებური, ტიპოლოგიური მომენტებიც, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს სხვა დანარჩენი სახელმწიფოებისაგან ანსხვავებენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს უფრო ღრმა შეცნობისათვის საჭიროა ერთგვარი კლასიფიკაცია, რომლის საშუალებითაც ერთმანეთისაგან გამოიყოფა სახელმწიფოს სხვადასხვა ძირითადი ტიპები. როდესაც ასეთ მიზანს ვისახავთ, თავისთავად იბადება საკითხი, თუ რომელი მომენტი, რომელი თვისება სახელმწიფოს არსებობისა უნდა იქნეს გამოყენებული ამგვარი კლასიფიკაციის დროს. ეს საკითხი არც ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს. ერთი მხრივ ყოველი სახელმწიფო თავისი შინაარსით იმდენად მრავალმხრივი და მდიდარია, რომ შეუძლებელია ერთი რომელიმე მომენტის მიხედვით კლასიფიკაციის დროს ამოიწუროს მთელი ინდივიდუალობა ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ტიპისა, ამიტომ ყოველი კლასიფიკაცია ამ დარგში უნებურად სქემატური იქნება; მეორე მხრივ, შინაარსის მრავალმხრივობა, რომელიც სახელმწიფოს ახასიათებს, თავისთავად იმ თვალსაზრისთა სხვადასხვაობას ქმნის, რომლითგანაც შესაძლებელია ვახვიხილოთ სახელმწიფო. ეს ვარემოება კი აუცილებლად კლასიფიკაციის სხვადასხვაობასაც იწვევს იმის მიხედვით, თუ სახელმწიფოს რომელ მომენტს აძლევს ესა თუ ის ავტორი უპირატეს მნიშვნელობას. აქედან აუცილებელია ერთგვარი სუბიექტივიზმი, სახელმწიფო ფორმების კლასიფიკაციის დროს და მართლაც, თუ დაუკვირდებით პოლიტიკური აზროვნების განვითარებას ამ საკითხში. ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ ეს სუბიექტივიზმი.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების ესა თუ ის პრაქტიკული მოთხოვნილება, პოლიტიკურ ცხოვრებაში წამოჭრილი ესა თუ ის ახალი საკითხი არსებითად ცვლის იმ საფუძველს, მასშტაბს, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ სისტემაში მუშავდებოდა სახელმწიფოებრივი ფორმების კლასიფიკაცია. ამ აზრის ილუსტრაცია

ციისათვის შეგვიძლია შევჩერდეთ მთავარ მომენტებზე, რომლითაც თავის ისტორიულ განვითარებაში ხასიათდება მოძღვრება სახელმწიფოს ფორმების კლასიფიკაციის შესახებ. ამ მოძღვრების პირველ გამოხატულებას არისტოტელეს პოლიტიკურ ფილოსოფიაში ვხვდებით და ამ ფილოსოფიის ძირითადი ტენდენციები რომ გავივით იმ საკითხში, რომელიც ახლა გვანტერესებს, საჭიროა შევჩერდეთ იმ ძირითად მომენტებზე, რომლითაც თავისი იურიდიული ბუნების მხრივ ხასიათდება იმდროინდელი პოლიტიკური ორგანიზაცია. ანტიკური პოლიტიკური აზროვნების ფარგლებში ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ ის წარმოდგენა სახელმწიფოზე, რომლის მიხედვით ეს უკანასკნელი ადამიანთა საზოგადოებრივი შეკავშირების ყველაზე უფრო განვითარებულ ფორმას წარმოადგენს. სახელმწიფო ისეთი მთლიანობაა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უმაღლეს მწვერვალს, სოციალური ორგანიზაციის უმაღლეს წიგნალს გამოხატავს. ამიტომ, თუმცა ისტორიული ევოლუციის თვალსაზრისით, სახელმწიფოს წინ უსწრებს საზოგადოებრივი შეკავშირების სხვა ისეთი ფორმები, როგორცაა მაგალითად ოჯახი და თემი, მაგრამ შედარებითი ღირებულების თვალსაზრისით სახელმწიფო უფრო მაღლა დგას ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილები და ლოგიკური თვალსაზრისით, იგი როგორც მთლიანობა ამ ნაწილებზე უფრო ადრე არსებობს. „ცხადია ამიტომ — ამბობს არისტოტელე — რომ სახელმწიფო არსებობს ბუნებრივად და ამასთანავე უფრო ადრე, უფრო წინ, ვინემ თითოეული მისი წევრი, ვინაიდან თუ კი სახელმწიფოს გარეშე არავის შეუძლია მოიპოვოს სრული ბედნიერება, თითოეული ინდივიდი ისევე დამოკიდებულია სახელმწიფოზე როგორც საერთოდ ნაწილი მთელისაგან“. ამ ციტატაში, სხვათაშორის, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ არისტოტელეს აზრით, მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია შექქნას საზოგადოებრივი საერთო ბედნიერება, და სწორედ ამიტომ, ის მიზანი, რომელსაც სახელმწიფო ემსახურება, სახელმწიფოს მოქმედება და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის მოთხოვნილებანი სახელმწიფოს შემადგენელი ყოველი ინდივიდისათვის მთავარ მოწოდებას, უმაღლეს მოვალეობას უნდა წარმოადგენდნენ, რომლებთან შედარებით მან უნდა დაივიწყოს საკუთარი ინდივიდუალური მიზნები. ინდივიდი მხოლოდ სახელმწიფოსათვის არსებობს. აი ის მთავარი აზრი, რომელიც ანტიკური აზროვნების ლეიტმოტივს გამოხატავს. ამიტომ ცხადია, რომ ინდივიდის ყოველი მოქმედება უნდა შეფასებულ იქნეს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ემსახურება ეს მოქმედება სახელმწიფოს საერთო ხასიათს მისთვის. სწორედ ამიტომ, ინდივიდუალური თავისუფლების ცნება, კერძო აზროვნების ინდივიდუალური ინტერესების უფლებრივი გარანტიების საჭიროება და აუცილებლობა ანტიკური სახელმწიფოების პოლიტიკური წყობილების ფარგლებში არ პოულობდა რეალურ განხორციელებას. ასეთი შეხედულება ძველ საბერძნეთისა და ძველი რომის პოლიტიკური წყობილები იურიდიულ ბუნებაზე და იმდროინდელი პოლიტიკური აზროვნების ძირითად ტენდენციებზე თანამედროვე საისტორიო მკვლევრებში მიღებულად უნდა ჩაითვალოს. ფიუსტელ დე კულანჟი შემდეგნაირად ახასიათებს ინდივიდის მდგომარეობას ძველ საბერძნეთში და რომში: „იმ ძირითადი პრინციპების მიხედვით, რომლებსაც ეყრდნობოდა ამ სახელმწიფოების პოლიტიკური ორგანიზაცია, შეუძლებელი იყო ინდივიდუალური თავისუფლების არსებობა; მოკალაქე ყოველ მხრივ და გამონაკლისის გარეშე სახელმწიფოს ემორჩილებოდა, იგი მას ეკუთვნოდა მთლიანად. მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება

ამ წყობილებაში სახელმწიფოს საერთო ინტერესებისაკენ იყო მიპყრობილი და აქედან ადვილი გასაგებია, რომ კლასიფიკაცია სახელმწიფოებრივი ფორმებისა, რომელსაც ჩვენ ამ პერიოდის პოლიტიკურ აზროვნებაში ვხვდებით, სწორედ ამ ძირითად პოლიტიკურ მოთხოვნილებას იყენებს სახელმწიფოების კლასიფიკაციის საკითხში ამ კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპის სახით. მთავარ საკითხად აქ ის იყო ქცეული, თუ რა საშუალებით შეიძლება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი პირები თავიანთ მოქმედებაში სახელმწიფოს საერთო და არა თავის საკუთარ ინდივიდუალურ ინტერესებს ემსახურებოდნენ. სწორედ ეს აზრი მთავარ მოტივად უნდა მივიჩნიოთ იმ კლასიფიკაციაში, რომელსაც ჩვენ არისტოტელეს სისტემაში ვხვდებით. სხვადასხვა სახის სახელმწიფოებრივი ფორმების კლასიფიკაციის დროს არისტოტელე იმ გარემოებას აქცევს ყურადღებას, თუ როგორი ხასიათის მოტივებით ხელმძღვანელობს ხელისუფლების მატარებელი თავის მოქმედებაში: თუ იგი საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ზრუნავს, საქმე გვაქნება, იმის მიხედვით თუ როგორია მმართველობის რიცხვი — ერთი, უმცირესობა თუ უმრავლესობა — ან მონარქიასთან, ან არისტოკრატიასთან ან პოლიტიასთან. ყველა ეს ფორმა — მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია, თუ მათში ხელისუფლება საერთო ხასიათის ინტერესებით ხელმძღვანელობს, არისტოტელეს ტერმინოლოგიით მმართველობის სწორი ანუ ნორმალური ფორმებია. ამის საპირისპიროდ, თუ ხელისუფლების მატარებელი პირადი ინდივიდუალური ინტერესებით ხელმძღვანელობს, საქმე გვაქვს მმართველობის დამახინჯებულ, არანორმალურ ფორმებთან: როცა სახელმწიფოს ერთი პირი განაგებს — ტირანია, როცა უმცირესობა — ოლიგარქია და როცა უმრავლესობა — დემოკრატია“.

არსებითად ამგვარივე პრინციპებით ხელმძღვანელობს თავისი კლასიფიკაციის დროს მეორე მწერალი ძველი დროისა პოლიბიოსი. მისი შეხედულების განმასხვავებელი მომენტი მხოლოდ ისაა, რომ სწორ ფორმებთან ერთად, მისი აზრით, არსებობენ შერეული ფორმებიც, რომლებშიც მონარქიული, არისტოკრატიაული და დემოკრატიაული ელემენტები ერთ მთლიანობაშია შეერთებული. მაგრამ მიუხედავად ცვლილებისა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპი იგივე რჩება, როგორც არისტოტელესთან.

ეს კლასიფიკაცია თითქმის უცვლელად იქნა მიღებული შუა საუკუნეების პოლიტიკურ აზროვნებაში და შემდეგი განვითარების საფეხურზედაც კიდევ დიდხანს განაგრძობს თავის ზეგავლენას. მაგრამ, რამდენადაც პოლიტიკური სინამდვილე პირველ რიგში არა იმ საკითხებს აყენებს, რომლებიც ანტიკური საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ, არამედ პოლიტიკური იდეალის სახით სხვაგვარ მიზნებზე მიუთითებენ, იმდენად ეს ძველი კლასიფიკაცია ახალი შინაარსით მდიდრდება და ანტიკურ შეხედულებასთან მას მხოლოდ ტერმინოლოგიის იგივეობა ახასიათებს.

ამის მავალით ის კლასიფიკაცია წარმოდგენს, რომელსაც მონტესკიეს ნაწარმოებში ვხვდებით. პირველი შეხედვით, იმ აზრებთან შედარებით, რომლებსაც არისტოტელეს „პოლიტიკაში“ ვხვდებით, მონტესკიეს აზრი თითქოს უმნიშვნელო ცვლილებებით ხასიათდება; ექვსი ფორმის ნაცვლად, რომლებიც არისტოტელეს მიერ იყო მიღებული, მონტესკიეს ნაწარმოებში ჩვენ ვხვდებით ოთხ ფორმას. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; სინამდვილეში კი, თუ უფრო ღრმად გავეცნობით მონტესკიეს აზროვნებას ამ საკითხში, დავინახავთ,



რომ ეს უკანასკნელი სულ სხვაგვარი ტენდენციების მატარებელია და ეს კლასიფიკაცია არსებითად განსხვავებული პოლიტიკური მოტივებითაა გამოწვეული. ამის გასაგებად საჭიროა შემდეგ გარემოებებზე შევჩერდეთ. ანტიკური შეხედულებებისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიროვნება მოკლებული იყო ყოველგვარ თავისუფლებას და თავის მოქმედებაში სახელმწიფოს საერთო მიზნებს ეძლეოდა, დაახლოებით XVI საუკუნიდან იწყება პოლიტიკური აზროვნების სხვაგვარი მიმართულება, რომელიც სახელმწიფოს არსებობაში თავისთავად სრულებით არ ხედავს საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლეს იდეალს, რომელიც პირიქით, სახელმწიფოს ზღვრებს, როგორც აუცილებელ ბოროტებას, რომელსაც ძალაუფლებურად უნდა შეეგუოს ადამიანი და თუ ანტიკურ აზროვნებაში ინდივიდუალური უფლებების ცნებაც კი არ არსებობდა, სამაგიეროდ ამ პოლიტიკურ მიმდინარეობაში სწორედ პიროვნების პირადი თავისუფლების უზრუნველყოფა და უზრუნველყოფის მიზნით თვით სახელმწიფოს ხელისუფლების შეზღუდვა პოლიტიკური აზროვნების დედააზრს გამოხატავს; აქედან ცხადია, რომ ამ მიმდინარეობაში საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს სახელმწიფო ხელისუფლებასა და პიროვნებას შორის, ცენტრალურ საკითხად არის გადაქცეული და სწორედ ამ საკითხს ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოს ფორმების კლასიფიკაციის დროს. თუ მონტესკიეს თეორიას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, დავინახავთ, რომ თუმცა იგი სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმებს დაახლოებით იმავე ტერმინებით აღნიშნავს, როგორც არისტოტელე, მაგრამ ამ ტერმინებით აქ სულ სხვა პოლიტიკური შინაარსი აღინიშნება, სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმები მონტესკიეს შეხედულებაში განსხვავდებიან ერთმეორისაგან არა იმ მომენტი, თუ რამდენადაა მათში გაბატონებული საერთო ან ინდივიდუალური ინტერესი, არამედ იმ მომენტი, თუ რამდენად სხვადასხვა ფორმებში განსხვავებულია ინდივიდის მდგომარეობა სახელმწიფოში, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი პიროვნების თავისუფლება ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ფორმაში.

ამგვარსავე კლასიფიკაციას, მაგრამ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულს, ჩვენ ვხვდებით შემდეგ განვითარებაში კანტის და განსაკუთრებით გეერენის სისტემაში. ეს უკანასკნელი კლასიფიკაციის დროს უკვე პირდაპირ იმ მდგომარეობიდან გამოდის, რომელიც ინდივიდს ეკუთვნის სახელმწიფოში, ამ მდგომარეობის მიხედვით იგი არჩევს სამ სახელმწიფოებრივ ფორმას: დესპოტიას, რომელშიდაც ინდივიდი მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს, როგორც სამოქალაქოს ისე პოლიტიკურს, ავტოკრატიას, რომელშიც ინდივიდი მხოლოდ სამოქალაქო უფლებებით სარგებლობს და მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს და რესპუბლიკას, რომელშიც მოქალაქე აღჭურვილია როგორც სამოქალაქო ისე პოლიტიკური უფლებებით.

ჩვენ აღარ შევჩერდებით კიდევ სხვადასხვა კონსტრუქციებზე, რომლებსაც სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში უხვად ვხვდებით სახელმწიფოებრივი ფორმების კლასიფიკაციის საკითხში. ის მაგალითები, რომლებიც, მხოლოდ იმ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანეთ, რომ სხვადასხვა კლასიფიკაციები, რომლებსაც პოლიტიკური აზროვნების ისტორიულ განვითარებაში ვხვდებით, მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ სინამდვილესთან, ე. ი. იმ ფაქტთან, თუ რომელი მხარე სახელმწიფოებრივი ცხოვრების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამა თუ იმ ეპოქაში, აქედან ცხადია, რომ ყველა ეს კონ-

სტრუქციები, შედარებითი ღირებულების მატარებელია. ცხადია, რომ ესა თუ ის კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრულ ეპოქაში ერთგვარ მნიშვნელობას ატარებს, ვინაიდან დაკავშირებულია ამ ეპოქის პოლიტიკური ორგანიზაციის დამახასიათებელ მომენტებთან, თავის მნიშვნელობას კარგავს სხვა პერიოდში, რომელშიც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია სხვაგვარ საკითხებს აყენებს პირველ რიგში. ასეთი კლასიფიკაციები მნიშვნელობას ინარჩუნებენ მხოლოდ საკითხის ისტორიულ პერსპექტივასთან შეფარდებით, მაგრამ მოკლებულნი არიან მეცნიერულ ღირებულებას საკითხის სისტემატური თვალსაზრისით განხილვის დროს. ამ უკანასკნელის ფარგლებში, ე. ი. საკითხის სისტემატურად განხილვის დროს, საჭიროა გამოინახოს კლასიფიკაციის ისეთი ლოგიკური საფუძველი, რომელიც სახელმწიფოს ახასიათებს თავისთავად და არა მხოლოდ განსაზღვრული პერიოდის ფარგლებში. ამ მიზნით კი ყურადღება უნდა მიექცეს არა დროებით და შემთხვევითი ხასიათის თვისებებს, არამედ ისეთ მომენტებს, რომლებიც სახელმწიფოს ცნების ძირითად დამახასიათებელ ელემენტებს წარმოადგენენ. ასეთი მომენტია სახელმწიფო ხელისუფლება და სწორედ ამიტომ, ეს უკანასკნელი უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფოს ფორმების კლასიფიკაციის დროს. თუ სახელმწიფოს ძირითადი ელემენტი ხელისუფლებაა, აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები მჭიდროდაა დაკავშირებული იმ სხვადასხვაობასთან, რომლითაც ხელისუფლების ორგანიზაცია ხასიათდება ამა თუ იმ შემთხვევაში. ამიტომ, სწორედ ამ ორგანიზაციის ძირითად ფორმებზე უნდა შეგჩერდეთ; მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმების მეცნიერულად დამაკმაყოფილებელი კლასიფიკაცია. ამგვარად ამოსავალი წერტილს სახელმწიფოს ფორმების კლასიფიკაციის დროს ხელისუფლების ცნება წარმოადგენს.

უკვე ითქვა, რომ ხელისუფლების არსებობა განსაზღვრული უფლებრივი აქტების შესრულებაში გამოიხატება; უფლებრივი აქტი კი ყოველთვის ნების გამოაშკარავებას წარმოადგენს. ეს ნებითი აქტები, რომლებიც სახელმწიფოს სახელით აშკარავდება, შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ ფიზიკურ პიროვნებას და ეს იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი ხელისუფლების მატარებლად, ან უკეთ, რომ ვთქვათ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოდ ფიზიკური პიროვნება არის მიჩნეული. აას საპირისპიროდ შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეს ნებითი აქტები ერთ ფიზიკურ პიროვნებას კი არ ეკუთვნიან, არამედ განსაზღვრულ კოლეგიას ანუ ფიზიკური ინდივიდების განსაზღვრულ რიცხვს. ამ ორი ფორმით სავსებით იწურება ყველა ის შესაძლებლობა რომლებიც არსებობენ სახელმწიფოს ნების კონკრეტული, რეალური გამოაშკარავების საკითხში. სწორედ ამ ორი ფორმის მიხედვით უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივ წყობილებათა კლასიფიკაცია. პირველი ფორმა, ანუ შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს ნება ფიზიკური ინდივიდის ნების ფარგლებში აშკარავდება, საფუძველს აძლევს მონარქიულ წყობილებას; მეორე ფორმა, რომელშიც სახელმწიფოს ნებას განსაზღვრული რიცხვისაგან შემდგარი კოლეგია გამოხატავს, რესპუბლიკა წარმოადგენს. ამგვარად, ყველა სახელმწიფო ორ მთავარ ჯგუფად ანუ კლასად იყოფა: მონარქიულ და რესპუბლიკურ სახელმწიფოებად.

ასეთი კლასიფიკაცია, რომელიც თავისი კონსტრუქციის დროს სახელმწიფოსათვის ყველაზე დამახასიათებელი, ესენციალური მომენტიდან — სახელმწიფოს ხელისუფლებიდან გამოდის, თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს არა

მართო განსაზღვრულ პოლიტიკურ რეჟიმთან შედარებით, არამედ იგი ვრცელდება ყველა, როგორც წარსული დროის, ისე თანამედროვე სახელმწიფოებზე უფრო მეტიც, საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ფორმებშიც კი, რომლებშიც თანამედროვე წყობილების ჩამოყალიბებამდე არსებობდნენ. ნათლად შეგვიძლია გავარჩიოთ ძირითადი განსხვავება, რომელიც ხელისუფლების განხორციელების ძირითადი ფორმებიდან გამოდის: მაგალითად, უკვე პირველყოფილი ურდო, რომელიც წინ უსწრებს ტერიტორიულ სახელმწიფოს, ჩამოყალიბებულია, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ელინგი, ან ბატონობს ამხანაგობის პრინციპზე, გადამწყვეტი და ხელმძღვანელი მნიშვნელობა მასში აქვს ან ერთი პირის, მეთაურის ნებას ან კიდევ ურდოს ყველა სრულუფლებიანი წევრის ნებას. ამ კლასიფიკაციას, რომელიც მონარქიის და რესპუბლიკის დაპირისპირებადან გამოდის, მხოლოდ საერთო კლასიფიკაციის ხასიათი აქვს.

მონარქია

მონარქია ისეთ სახელმწიფოებრივ წყობილებას ეწოდება, რომელსაც ფიზიკური ინდივიდის ნება ხელმძღვანელობს. ეს ნება უნდა იყოს უმაღლესი ე. ი. ისეთი, რომელიც სხვა ნებისაგან არ წარმოსდგება. თანამედროვე მონარქიების იურიდიული ბუნების მთლიანი დახასიათების მიზნით, საჭიროა წინასწარ განვიხილოთ უმთავრესი ისტორიული კონსტრუქციები, რომლებიც შეეხება მონარქიის დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი. ამ მხრივ ორი ძირითადი შეხედულება უნდა განსხვავდეს ერთმანეთისაგან. პირველი შეხედულებით მონარქი სახელმწიფოზე მაღლა და სახელმწიფოს გარეშე დგას, მეორე შეხედულებით კი მონარქი სახელმწიფოს შემადგენელი ელემენტია. პირველი შეხედულება თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა. სახელდობრ, მონარქს აქ უყურებენ ან როგორც უმაღლეს ავტორიტეტს ან კიდევ როგორც სახელმწიფოს მესაკუთრეს. ამგვარად, ჩვენ ვიღებთ მონარქის მდგომარეობის სამ ძირითად კონსტრუქციას: პირველი კონსტრუქციის დედააზრი იმაში გამოიხატება, რომ იგი მონარქს უცქერის, როგორც ღვთაებას ან როგორც ამ ქვეყნად ღვთაების მოადგილეს. ასეთი შეხედულება ბატონობს ე. წ. თეოკრატიულ სახელმწიფოში. ამ წყობილების ფარგლებში მონარქი უშუალოდ ითვლება ღვთაებად ან ღვთის მოადგილედ ან კიდევ ისეთ პიროვნებად, რომელსაც ხელისუფლება უშუალოდ ღვთისაგან აქვს მიღებული. მონარქის ამგვარი გაღმერთება პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში სხვადასხვა ფორმებს იღებდა და უკვე კულტურული განვითარების პირველ საფეხურზე გვხვდება. ამგვარი წარმოდგენა მონარქის ხელისუფლებაზე და ამ წარმოდგენის ჩამოყალიბების მიზეზი ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი ერთი მხრივ, შეესაბამება პირველყოფილი ადამიანის მიდრეკილებას ყოველი ძლიერი მოვლენის ან საკნის გაღმერთებისადმი და მეორე მხრივ, ასეთი შეხედულების გავრცელება შეეფერებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა მისწრაფებას ბატონყმობის შენახვას. ჩუნებისაკენ. ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას მონარქის ხელისუფლების ასეთი კონსტრუქცია პოულობს ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. აქედან ის გადადის დასავლეთშიც და მკაფიო გამოხატულებას პოულობს რომის იურიდიული აზროვნების ფარგლებში პრინციპატის დროს.

შუა საუკუნეებში ეს შეხედულება კვლავ მეორდება იმ პოლიტიკურ მიმდინარეობაში, რომელიც მეფეს ხელისუფლებას არსებობის ღვთაებრივ საწყისს აძლევს. აქ განხილული მონარქის ტიპის განსხვავებულ ფორმას პატრი-

არქალური მონარქია წარმოადგენს, რომელშიც მეფე ღვთაებრივი ატრიბუტებით ხასიათდება, ან კიდევ, ამ წყობილების ფარგლებში მეფეს უყურებენ, როგორც უშუალოდ ღვთისაგან მირონცხებულს.

მონარქიული წყობილების ზემოთ აღნიშნული ტიპის იურიდიული დახასიათების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მომენტს: იმ თვისების მიხედვით, რომლითაც ამ წყობილების ფარგლებში ხასიათდება მონარქი, შეუძლებელია ამ უკანასკნელის მიჩნევა სახელმწიფოს წევრად. იგი აუცილებლად სახელმწიფოს გარეშე დგას. ეს უკანასკნელი ამ კონსტრუქციის მიხედვით არ შეიძლება ცნობილ იქნეს რაიმე უფლებების სუბიექტად მეფის ხელისუფლების მიმართ, მეფე, ერთი მხრივ, და სახელმწიფოს შემადგენელი დანარჩენი მოსახლეობა — მეორე მხრივ, აქ ერთ იურიდიულ მთლიანობას კი არ წარმოადგენენ, არამედ სახელმწიფოს იურიდიული ბუნების ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსს აღნიშნავენ, ვინაიდან, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მთელი უფლებების მატარებლად *jure divino* თვით მონარქია ცნობილი, ხოლო, მეორე მხრივ, დანარჩენი მოსახლეობა მოკლებულია ყოველგვარ უფლებებს და ამ მხრივ მეფის ხელისუფლებასთან შედარებით უფლებებით არა აღჭურვილ სუბიექტს, არამედ ხელისუფლების ობიექტს წარმოადგენს. ამით სახელმწიფოს მთლიანი კონსტრუქცია არსებითად დუალისტურ ხასიათს ატარებს.


ასეთსავე დუალისტურ ხასიათს ატარებს მონარქისტული წყობილების ის კონსტრუქცია რომელშიც სახელმწიფო მონარქის საკუთრებად არის ცნობილი. ეს დუალიზმი ნათლად ჩანს იქედან, რომ ასეთი წყობილების ფარგლებში როგორც ინდივიდი, ისე მისი ქონება, მეფის უფლებების უბრალო ობიექტია. პირველად ეს ფორმაცია ძველ აღმოსავლეთის სახელმწიფოებში პოულობს განხორციელებას, სადაც იგი მჭიდროდაა დაკავშირებული თეოკრატიულ ტიპთან. შემდეგ ეს შეხედულება დასავლეთშიც გრცელდება და სახელდობრ რომში, იმპერიის ბოლო ხანებში მკაფიო გამოხატულებას პოულობს. ევროპის სახელმწიფოებში მონარქიული წყობილების ეს ტიპი თავის პირველ განხორციელებას პოულობს შუა საუკუნეებში, მაგრამ უფრო მსუბუქ ფორმებში. ეს ნათლად ჩანს შუა საუკუნეების გერმანიაში. მართალია მეფე ამ დროს ცნობილია როგორც სახელმწიფოს მესაკუთრე, მაგრამ ეს საკუთრება *dominium eminens*-ს უმაღლეს საკუთრებას წარმოადგენს და ამ ფორმის საკუთრებისაგან განსხვავებით აქ არსებობს კიდევ ე. წ. *dominium utile*, რომელიც კერძო ინდივიდებს ან კერძო საზოგადოებებს ეკუთვნის. აბსოლუტიზმის განვითარების შემდეგ შეხედულება, რომ მონარქს ეკუთვნის მთლიანი საკუთრების უფლება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, უკვე უფრო მკაფიო და რადიკალურ ფორმებს იღებს.

ასეთ შეხედულებას ვხვდებით როგორც ლუი XIV პოლიტიკურ და სამართლებრივ იდეოლოგიაში, ისე ამ პერიოდის გერმანიის სახელმწიფოში, სადაც ეს აზრი თავისთავად გამომდინარეობდა იმ კონსტრუქციიდან, რომლის მიხედვით ტერიტორიული სუვერენიტეტი, რომლის მატარებლად ამ პერიოდში აღიარებული იყო მონარქი, ნივთიერ ხასიათს ატარებდა.

მესამე კონსტრუქცია მონარქისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებებისა იმით ხასიათდება, რომ აქ მონარქი სახელმწიფოსადმი დაპირისპირებულს და მის გარეშე მდგარ პიროვნებას კი არ წარმოადგენს, არამედ სახელმწიფოს იურიდიულ მთლიანობაში უკვე ივლისსმება, როგორც ამ მთლიანობის ორგანო. ამ კონსტრუქციის პირველ გამოხატულებას ძველი საბერძნე-

თის პოლიტიკურ აზროვნებაში ვხვდებით, სადაც ნამდვილი მონარქია ე. ი. ისეთი წყობილება, რომელშიც მონარქი სახელმწიფოს მთლიანობის ელემენტს წარმოადგენს, დაპირისპირებულია ტირანიისადმი, რომელშიც მონარქი სახელმწიფოს გარეშე დგას, პოლიტიკური აზროვნების შემდეგ განვითარებაში შუა საუკუნეებში ლეგისტების და კანონისტების მოძღვრებაში, რომლებიც ანტიკური პოლიტიკური აზროვნების ზეგავლენით იმპერატორის ხელისუფლების კონსტრუქციის დროს იმპერიის, როგორც საზოგადოებრივი შეკავშირების ცნებიდან გამოდიან. სხვაგვარი ლოგიკის გზით, მაგრამ ამავე დასკვნებს იძლევა შემდეგი აბსოლუტური მიმართულება, რომლის ფარგლებში მონარქი და სახელმწიფო ერთ მთლიანობაშია შეკავშირებული იმ გაგებით, რომ სახელმწიფოს შემადგენელი ინდივიდები მონარქის პიროვნებაში პოულობენ განხორციელებას. ასე რომ ეს უკანასკნელი ე. ი. მონარქი ამ ინდივიდების წარმომადგენელია. ამ შეხედულებას სახელად მონარქის წარმომადგენლობის თეორია ეწოდება. თავის მკაფიო გამოხატულებას ეს თეორია ჰობსის სისტემაში პოულობს: ამ სისტემის მიხედვით სახელმწიფო ცოცხალ არსებას — ლეგიათანს წარმოადგენს, მონარქი კი ამ არსების სულს გამოხატავს, ურომლისოდაც ეს არსება მკვდარ მასად იქცეოდა. ამავე შეხედულების გამოხატულებას ვხვდებით ლუი XIV-ის ნაწერებში. მონარქი — ამბობს იგი — მთლიანად წარმოადგენს ერს, ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად კი არ არსებობს, არამედ *alle reside tout entière dans la personne da roi.*

მოსაზრება — რომ მონარქი სახელმწიფოს, როგორც უფლებრივი მთლიანობის ორგანოს წარმოადგენს, თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე აბსოლუტიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკურ მიმდინარეობაში, სახელდობრ, იმ მიმდინარეობაში, რომელიც სახალხო სუვერენიტეტის პრინციპებიდან გამოდის. ამ კონსტრუქციის მიხედვით მონარქი ხალხის ნების ორგანოა და ამ მხრივ იგი სახელმწიფოს იურიდიული არსებობის ერთ-ერთ ელემენტს, ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს აღნიშნავს. ეს აზრი თავის მთავარ მომენტში თანამედროვე სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში აღიარებულად უნდა ჩაითვალოს. იურიდიული ბუნების თვალთახედვით, თანამედროვე შეხედულების მიხედვით, მონარქი სახელმწიფოს ერთ-ერთ ორგანოს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციებს ასრულებს სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველზე და სახელმწიფო ინტერესებით. მაგრამ ეს ახალი შეხედულება, რომელიც თანამედროვე კონსტიტუციური მონარქის წყობილებასთან შეფარდებით არის გამომუშავებული, ნაწილობრივ ახალ მომენტებსაც შეიცავს იმ კონსტრუქციასთან შედარებით, რომელსაც ბუნებითი სამართლის ან აბსოლუტისტურ თეორიებში ვხვდებით. ამ უკანასკნელ თეორიაში მაგალითად, გავრცელებული შეხედულების ხასიათს ატარებს ის აზრი, რომ მონარქი მთლიანად სახელმწიფოს ხელისუფლების მატარებლადაა მიჩნეული. ეს შეხედულება თანამედროვე მონარქიების წყობილებასთან შედარებით რეალურ შინაარსს მოკლებულ ფიქციად უნდა ჩაითვალოს, რომელიც სინამდვილეს უკვე აღარ შეესაბამება. ეს იმიტომ, რომ სახელმწიფო ფუნქციების უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაწილი თანამედროვე პერიოდში სავსებით გამოთიშულია მონარქიის თავისუფალი მოქმედების სფეროდან. უპირველეს ყოვლისა, ეს უნდა ითქვას საიურისდიქციო ფუნქციაზე. დებულება, რომ მონარქი სასამართლო ხელისუფლების მატარებელია, მხოლოდ იმ ისტორიულ ფაქტს გამოხატავს, რომ იგი ოდესღაც მართლაც პირადად ახორციელებდა მართლმსაჯულებ-



ბას. საადმინისტრაციო და საკანონმდებლო ფუნქციების დარგშიც მონარქი მოკლებულია თანამედროვე წყობილების ფარგლებში იმ მნიშვნელობას, რომელიც მას აბსოლუტიზმის დროს ეკუთვნოდა. თანამედროვე მონარქიის იურიდიულ დამახასიათებელ თვისებას ის ფაქტი აღნიშნავს, რომ მასში მონარქი სახელმწიფოს უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენს, მეფის ხელისუფლება ის ხელისუფლებაა, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მთელი სახელმწიფო მექანიზმი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც სახელმწიფოს ხელმძღვანელ თავისუფალ მოქმედებას გამოხატავს და რომელიც, თუმცა შეზღუდულია, მაგრამ თავისი შინაარსის მიხედვით არ არის განსაზღვრული კანონით. კონკრეტულად მეფის, როგორც სახელმწიფოს ორგანოს კომპეტენციაში შემდეგი მომენტები იგულისხმებიან: 1) კანონის სანქციის უფლება ე. ი. თავისუფალი გადაწყვეტის უფლება იმისა, რაც სამართლის მოქმედ ნორმად უნდა გახდეს; 2) თავისუფალი მოქმედება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დარგში, რაც გამოიხატება სახელმწიფოს საერთაშორისო ინტერესებზე მზრუნველობაში, სხვადასხვაგვარი ხელშეკრულების დადებაში და სხვა; 3) ჯარის მთავარსარდლობა; 4) მინისტრების და სხვა მოხელე პირების დანიშვნა და 5) პატიების უფლება.

ზემოთ ითქვა რომ მონარქიული მმართველობისათვის ყველაზე დამახასიათებელია ის, რომ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება, რომლიდანაც გამომდინარეობს სახელმწიფოს მთლიანი მოქმედება, მონარქის ხელისუფლებაა მაგრამ ეს უკანასკნელი, ესე იგი ის ხელისუფლება, რომელსაც მონარქი რეალურად ახორციელებს სხვადასხვა სახის წყობილების ფარგლებში დიდ სხვადასხვაობას წარმოადგენს. სახელდობრ, მონარქიის ის ფუნქციები, რომლითაც მოძრაობაში მოდის სახელმწიფო, შეიძლება დაკავშირებულ იქნეს როგორც ძლიერ ფართო, ისე უმნიშვნელო უფლებასთან, რომლის საშუალებითაც მონარქი ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მთლიან ცხოვრებაზე. მიუხედავად ამისა ერთი რამ მაინც რჩება საერთო ყველა მონარქისათვის, სახელდობრ ის, რომ მონარქის უფლებების მოსპობასთან ერთად აქ ყველა სახელმწიფო ფუნქცია აუცილებლად დაირღვევა და სახელმწიფო ანარქიაში ჩავარდება. ამ აზრის ილუსტრაციისათვის შეგვიძლია შევჩერდეთ იმ სახელმწიფოებზე, რომელშიც მონარქის უფლებები მინიმალურია. თანამედროვე ინგლისში სახელმწიფოს მთლიანი ხელისუფლება პარლამენტის ხელშია მოქცეული. ეს უკანასკნელი გამოსცემს კანონებს, რომელთა სანქცირებაზე უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში ინგლისის მეფეს ჯერ უარი არ უთქვამს. პარლამენტის უმრავლესობის აღმასრულებელი ორგანო კაბინეტი, თუმცა ფორმალურად დანიშნულია მონარქის მიერ, მაგრამ სინამდვილეში მას პარლამენტი ირჩევს. პირველი მინისტრის თანამდებობაზე მეფე ყოველთვის პარლამენტის უმრავლესობის ლიდერს ნიშნავს, რომელიც თავის მხრივ ასახელებს კაბინეტის დანარჩენ წევრებს. კაბინეტი ფაქტობრივად ნიშნავს ყველა თანამდებობის პირს და სხვა მხრითაც ახორციელებს მონარქის პერროგატივებს, მიუხედავად ამისა დღესდღეობით ინგლისში სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება მონარქის ხელისუფლებაში შედის. მხოლოდ მას მოჰყავს მოძრაობაში პარლამენტი, რომელიც მოკლებულია უფლებას თავისი საკუთარი ინიციატივით შეიკრიბოს, მეფე დღესდღეობით წარმოადგენს *caput, principium et finis parliamenti*.

ვერც ერთი კანონი ვერ მიიღებს უფლებრივ ძალას, თუ მას სანქცია არ მისცა მონარქმა, ვერც ერთი მაღალი თანამდებობის პირი, და უპირველეს ყოვ-

ლისა, მინისტრი ვერ შეუდგება თავის მოვალეობას თუ მეფის მიერ არ იქნება დანიშნული; ამგვარად, არა ფაქტობრივად, არამედ წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, მონარქი უმადლესი ორგანოა, რომელსაც მოძრაობაში მოწვევს სახელმწიფოს მექანიზმი და ამიტომ სახელმწიფოს ყველა ფუნქციის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს. ამ მომენტებით ხასიათდება არა მარტო ინგლისი, არამედ საერთოდ მონარქიული რეჟიმი. მონარქის ასეთი მნიშვნელობა სახელმწიფოს არსებობაში ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებას იმ ფაქტში პოულობს, რომ მონარქის თანხმობის გარეშე შეუძლებელია აქ განხილული ტიპის სახელმწიფოში რაიმე ცვლილება შევიდეს სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობილებაში. ეს მომენტი აუცილებლად იგულისხმება თვით მონარქის ცნებაში, ვინაიდან იქ, სადაც სახელმწიფოს ძირითადი კანონის შეცვლა მონარქის თანხმობის გარეშე შეიძლება მოხდეს, არ არსებობს მონარქია,

ეხლა განვიხილოთ საკითხები, რომლებსაც გვხვდება ამ სახელმწიფოებრივი ტიპის ფარგლებში. ამ სახეების კლასიფიკაციის დროს ორი მომენტი უნდა ჩქნეს მიღებული მხედველობაში: ა) მონარქიული ხელისუფლების მემკვიდრეობითი გადასვლის წესი და ბ) მონარქის უფლებების მოცულობა. ამ ორი მომენტის საფუძველზე ჩვენ მივიღებთ ერთი მხრივ, საარჩევნო და მემკვიდრეობით, ხოლო მეორე მხრივ, განუსაზღვრელ და შეზღუდულ მონარქიებს. თითოეულ ამ ფორმაზე ცალ-ცალკე შევჩერდებით.

საარჩევნო და მემკვიდრეობითი მონარქია. საარჩევნო მონარქია ისეთ ფორმას ეწოდება, რომელშიც ტახტი ერთი პირისაგან მეორეზე გადადის განსაზღვრული იურიდიული აქტის — არჩევნების საშუალებით. ამ სახის მონარქიაში თავისთავად იგულისხმება განსაზღვრული საარჩევნო ორგანოების არსებობა, რომელთა ფუნქცია არჩევნების აქტით განისაზღვრება ისე რომ მათი მოქმედება მონარქის არჩევით მთავრდება, რის შედეგადაც ისინი მონარქთან შედარებით დაქვემდებარებულ მნიშვნელობას იღებენ. თავისთავად საარჩევნო აქტი, იურიდიული თვალსაზრისით, სრულებით არა ქმნის აქ მონარქიის წარმომადგენლობას და ამიტომ აქ არც არსებობს უფლებათა რაიმე დელეგაცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, თვით იმ ფაქტის ზეგავლენით, რომ მონარქი აქ არჩეული პიროვნებაა, ხელი ეწყობა საარჩევნო კოლეგიის პოლიტიკური ზეგავლენის გაძლიერებას მონარქზე. საარჩევნო მონარქიები თანამედროვე სახელმწიფოებში თითქმის არსად არ გვხვდება. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია შესაძლებელი დროებითი დაბრუნება საარჩევნო მონარქიის ფორმებთან. ასეთია მაგალითად შემთხვევები, როდესაც ახლად დაარსებულ სახელმწიფოებში ახალ დინასტიას იწვევენ სამეფოდ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა XIX საუკუნეში ზელგიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა სახელმწიფოებში. ასეთივე ხასიათს ატარებს ის შემთხვევა, როდესაც სამეფო დინასტია წყდება და კანონით კი არ არის გათვალისწინებული რაიმე წესი. ამ შემთხვევაშიც არჩევნები ნორმალურ საშუალებას წარმოადგენს ახალი მონარქიის მოწვევისათვის.

საარჩევნო მონარქიისაგან განსხვავებით მემკვიდრეობითი მონარქია ისეთ ფორმას ეწოდება, რომელშიც მონარქი მოიწვევა ტახტის მემკვიდრეობის კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით განსაზღვრული ოჯახისაგან ან დინასტიისაგან. ამ ტიპის იურიდიული დახასიათების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, სხვათა შორის, შემდეგ გარემოებას. ჩვეულებრივი გამოთქმა, რომლის მიხედვით მონარქი ტახტს იღებს მემკვიდრეობის საშუალებით, თითქოს იმ აზრს გულისხმობს, რომ ტახტი არსებული დინასტიის კერძო უფლებ-

როგო ობიექტს წარმოადგენს და რომ ამიტომ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს კერძო სამართლებრივ დამოკიდებულებასთან. სინამდვილეში, რასაკვირველია, არ არის სიმართლე და აღნიშნული წმინდა მეტაფორის ხასიათს ატარებს. ტახტი კერძო სამართლებრივ ობიექტს, არამედ საჯარო ხასიათის იურიდიულ ინსტიტუტს წარმოადგენს. მუდმივ სახელმწიფო დაწესებულებას აღნიშნავს, რომელშიც იგულისხმება ხელისუფლების განსაზღვრული ფუნქციები და რომელიც მონარქის შეცვლის დროს ამ ფუნქციების მხოლოდ ახალ მატარებელს იღებს.

მემკვიდრეობითი მონარქის ტიპი არ ირღვევა იმ უკიდურეს შემთხვევაშიც, როდესაც ნამდვილი მემკვიდრის უყოლობის დროს ტახტის მემკვიდრე ინიშნება განსაზღვრული ტახტის მემკვიდრეობის ხელშეკრულების საფუძველზე ან კიდევ შეიღად აყვანის საშუალებით. პირველ შემთხვევაში სწორ კვალიფიკაციას აძლევენ, როდესაც მას ხელოვნური ანატორი ნათესაობის ცნებით აღნიშნავენ, მეორე შემთხვევაში კი ე. ი., როდესაც მონარქი ვინმეს შეიღად აიყვანს იმ მიზნით, რომ ტახტი მასზე გადავიდეს, თვით მონარქი საამომრჩევლო ორგანოს როლს ასრულებს და ამგვარად ფიზიკურ აქტს იურიდიული აქტით სცვლის: გადავალთ ახლა მეორე ანტითეზზე, რომელიც აბსოლუტური და შეუზღუდველი მონარქიის დაპირისპირებაში გამოიხატება.

აბსოლუტური ან შეუზღუდველი მონარქია ისეთ ფორმას ეწოდება, რომელშიაც მხოლოდ ერთადერთი, უშუალო და ამასთან მთავარი ორგანო არსებობს და ამ უშუალო ორგანოს ფუნქციებს მონარქი ე. ი. ერთი ფიზიკური პირი იკავებს. ეს განმარტება სრულებით არ გულისხმობს იმ აზრს, რომ აბსოლუტურ მონარქიაში შეუძლებელი იყოს გარდა მონარქისა სხვა ორგანოების არსებობა. ყოველ შემთხვევაში, ახალ ისტორიის აბსოლუტურ მონარქიებში პირიქით, ჩვენ ვხვდებით სახელმწიფო ფუნქციების ერთგვარ დიფერენციაციას და ამ მხრით სახელმწიფო წყობილებაში სხვადასხვა ორგანოებსაც, რომელნიც სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მიზანს ასრულებენ. ამგვარად აბსოლუტური რეჟიმის ფარგლებში აუცილებლად იგულისხმება ერთგვარი სახელმწიფოებრივი წესრიგი; ერთგვარი უფლებრივი სტრუქტურა, რომელშიც ჩაყენებულია სახელმწიფო აპარატის მოქმედება. მაგრამ დამახასიათებელი აქ სწორედ ისაა, რომ სხვადასხვა ორგანოები, რომლებსაც აქ ვხვდებით, მოკლებული არიან ყოველგვარ ავტონომიას და საკუთარი ინიციატივის უფლებას. ისინი მონარქის ნებისყოფის უბრალო იარაღის როლს თამაშობენ და თავის იურიდიულ მნიშვნელობას მონარქის დავალებისაგან იღებენ. ამგვარად, მონარქი აქ ერთადერთი სუბიექტია ხელისუფლებისა, რომელიც ამ უკანასკნელს ნაწილობრივ თვითონვე ასრულებს, ნაწილობრივ კი მმართველობის ტექნიკური ზეგავლენით სხვადასხვა, მისგანვე დაყენებული თანამდებობის პირების საშუალებით. აქედან ადვილი გასაგებია, რომ აბსოლუტურ მონარქიაში მონარქს შეუძლია ყოველთვის უკანვე მოითხოვოს ის უფლებები პირადად განსახორციელებლად, რომელთა შესრულება დროებით დავალებული ჰქონდა ამა თუ იმ მოხელეს, და რომელი უფლებების სუბსტანცია მუდამ და განუყოფლად მონარქის პიროვნებაში იგულისხმება: ამიტომ, მეორე მხრივ, ამ რეჟიმის ფარგლებში არ არსებობს არც ერთი დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც უფლებრივ საფუძველზე შეეძლოს ეწინააღმდეგოს მონარქის მოქმედებას ამა თუ იმ შემთხვევაში. აქედან ისიც ცხადია, რომ იმ უფლებრივი წესრიგის არსებობა, რომელიც ამ რეჟიმის დროს, თუმცა ძალიან სუსტ, მაგრამ ერთგვარ გამოხატულებას მაინც პოულობს, მთლიანად მეფის სურვილზეა დამოკიდებული და ამ მხრივ მოკლებულია ყოველგვარ უფლებრივ გარანტიებს.



მონარქიული წყობილების აბსოლუტური ფორმისაგან განსხვავებით უმეტესად უფლები მონარქია უმთავრესად იმით ხასიათდება, რომ აქ მონარქის ხელისუფლება შეზღუდულ ხასიათს ატარებს. ამ ტიპის მონარქიები რამდენიმე განსხვავებულ სახეებში გვხვდება და ამიტომ თითოეულ მათგანზე ცალკე უნდა წევჩერდეთ. პირველ ასეთ ფორმას ე. წ. წოდებრივი მონარქია წარმოადგენს, რომელიც უმთავრესად იმით ხასიათდება, რომ მონარქის ხელისუფლება თავის მოქმედებაში შეზღუდულია პრივილეგიური წოდებების ან მათი წარმომადგენლების მონაწილეობით. მეორე დამახასიათებელ მომენტს აქ ის ფაქტი წარმოადგენს, რომ როგორც მონარქის, ისე წოდებათა უფლებები წოდებრივი მონარქიის ფარგლებში, თანაბარ, პირველადწყებით და დამოუკიდებელ უფლებრივ ხასიათს ატარებენ. ამიტომ, წოდებები ამ სახის მონარქიაში საკუთარი უფლებით მოქმედ კორპორაციებს, სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტებს წარმოადგენენ მონარქთან ერთად. ამგვარი წოდებრივი მონარქიის ფარგლებში ორი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ხელისუფლება არსებობს; რომლებიც ხან ერთიმეორის გვერდით, ხან ერთად, ხან კი ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ ფორმებში მოქმედებენ.

შეზღუდული მონარქიის მეორე ფორმას კონსტიტუციური მონარქია წარმოადგენს, რომელიც პირველად ინგლისში ჩამოყალიბდა და შემდეგ რეცეპციის საშუალებით მიღებულ იქნა სხვადასხვა კონსტიტუციურ სახელმწიფოებში. წოდებრივი მონარქიისაგან განსხვავებით, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ დუალისტურ ორგანიზაციის წარმოადგენს, კონსტიტუციური მონარქია მთლიან სახელმწიფო ტიპს წარმოადგენს. მონარქის გვერდით, რომელსაც ეკუთვნის maior potestas, სახელმწიფოს უშუალო ორგანოების სახით არსებობენ პარლამენტები. ეს უკანასკნელი ე. ი. კონსტიტუციური მონარქიის პარლამენტი, წოდებრივი მონარქიის წოდებებისაგან განსხვავებით, საკუთარი და დამოუკიდებელი უფლებების მქონე იურიდიულ პიროვნებას, საჯარო სამართლებრივ კორპორაციას კი არ წარმოადგენს, არამედ კოლეციალურად ორგანიზაციაქმნილ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ორპალატიანი სისტემის დროს ორ დამოუკიდებელ განყოფილებადაა დანაწილებული. ამის მიხედვით კონსტიტუციური მონარქიის მთავარ მომენტებს შემდეგი თვისებები წარმოადგენენ: 1) პარლამენტი, რომელიც იღებს კანონებს და აღმასრულებელი ორგანოების კონტროლს აწარმოებს; 2) მონარქის აქტების მინისტრების მიერ კონტრასიგნირებული ინსტიტუტი და 3) დამოუკიდებელი სასამართლო.

რესპუბლიკა. სახელმწიფო წყობილების მონარქისტული ფორმა. მჭიდროდაა დაკავშირებული ომიანობასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი აუცილებელს ხდის მთელი სახელმწიფო ხელისუფლების ერთი პიროვნების ხელში მოქცევას. ამიტომ მტკიცე სახელმწიფოებრივი სისტემის განვითარებასთან ერთად მონარქია უკვე ძველ ქვეყანაში სახელმწიფოს ნორმალურ ფორმას წარმოადგენს. ეს შეეხება არა მარტო ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებს. იქაც კი, სადაც შემდეგ რესპუბლიკური ფორმა ჩნდება, როგორც მაგალითად, ძველ საბერძნეთში ან ძველ რომში, რესპუბლიკა სრულებით არ წარმოადგენს სახელმწიფოს პირველყოფილ ფორმას და მას წინ უსწრებდა მონარქიული ორგანიზაცია. რესპუბლიკის წარმოშობა ყველაზე მკაფიოდ რომის ისტორიაშია შესაძლებელი აღდგენილ იქნეს. რესპუბლიკა აქ ვითარდება როგორც მონარქიის მკაფიოდ შეგნებული ანტითეზა. მის დამაარსებელთ ის წარმოდგენილი აქვთ როგორც არა-მონარქია; ამ ცნების პირველყოფილი შინაარსი სავსებით იწურებოდა ერთი

პიროვნებითი მმართველობის უარყოფით. ხელისუფლების კონცენტრაცია ერთი ფიზიკური ინდივიდის ხელში იმდროინდელი აზროვნებისათვის იმდენად ტოლპიურ და ნორმალურ ხასიათს ატარებს, რომ ყველა დანარჩენი შესაძლოა დაპირისპირებაში სახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა მხოლოდ მონარქიისადმი დაპირისპირებაში პოულობენ თავის დამახასიათებელ იურიდიულ შინაარსს. ამ დაპირისპირებას დღევანდელი აზროვნებისათვისაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის დახასიათების საკითხში. დღესაც ეს უკანასკნელი შესაძლებელია განმარტებულ იქნეს, როგორც არამონარქია, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ერთი ფიზიკური ინდივიდის მიერ ხელმძღვანელობის უარყოფა. ამ დაპირისპირების დიდი მნიშვნელობა ადვილად გასაგები ვახდება ჩვენთვის თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მონარქიაში სახელმწიფოს უმაღლესი ნება, რომლის გამოხატვა ინდივიდუალურად განსაზღვრულ პიროვნებას ეკუთვნის, ფიზიკურადაც ამავე პიროვნებითაა წარმოდგენილი. მაშინ კი, როდესაც ყველა არამონარქიულ სახელმწიფოში, როგორც ხასიათსაც არ უნდა ატარებდნენ ისინი, უმაღლესი ხელისუფლების ორგანო არასოდეს არ არის იგივე, რაც ამ ორგანოს შემადგენელი ფიზიკური ინდივიდები, და სწორედ ამიტომ, იგი არც შეიძლება გრძნობითი ასახვის საგანს წარმოადგენდეს. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული თვალსაზრისით. სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლება რესპუბლიკაში არასოდეს არ იქმნება მხოლოდ ფსიქოლოგიური პროცესის საშუალებით, იგი ყოველთვის კოლეგიის ნებისყოფას წარმოადგენს. მაგრამ ამ კოლეგიის მხოლოდ იურიდიული არსებობა ახასიათებს და ამიტომ, ყოველთვის მკაფიოდ განსხვავებული უნდა იყოს მის შემადგენელ პირებისაგან. ამ კოლეგიის ნება განსაზღვრული იურიდიული პროცესის მეშვეობით და კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით გამოიყვანება სხვადასხვა კოლეგიის შემადგენელ ინდივიდების ნებისყოფითი აქტებისაგან. ამიტომ, სახელმწიფოს ხელისუფლება რესპუბლიკაში არსებითად იურიდიულ ხასიათს ატარებს, იმ დროს, როდესაც მონარქიული წყობილების ფარგლებში იგი თითქმის მთლიანად ითქვიფება მონარქის ინდივიდუალური ხასიათის ნებით აქტებში.

ამგვარად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მონარქიული ფორმისაგან განსხვავებით, რომელშიც სახელმწიფოს ფიზიკური ინდივიდის ნება ხელმძღვანელობს, რესპუბლიკა იმით ხასიათდება, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა არა ერთ ფიზიკურ ინდივიდს, არამედ ინდივიდების კოლეგიას ეკუთვნის, რომლის ნება იურიდიულ ხასიათს ატარებს. მაგრამ თავისთავად მარტო ეს ერთი მომენტი საკმარისი როდია იმისათვის, რომ მთლიანად ამოიწუროს ყველა ის მომენტი, რაც მონარქიის და რესპუბლიკის დაპირისპირებაში იგულისხმება და მათზე ამიტომ უნდა შევიჩერდეთ რესპუბლიკური მმართველობის უფრო დეტალური დახასიათების დროს. ამ მომენტების აღნიშვნა მეორე მხრით კიდევ იმიტომაა აუცილებელი, რომ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მხოლოდ ამ მომენტების საფუძველზეა შესაძლებელი რესპუბლიკის სხვადასხვა სახეების კლასიფიკაცია, მათი გამოყოფა და განსხვავება ერთიმეორისაგან. ზემოთ კიდევ მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ მონარქიული წყობილების ფარგლებში მონარქი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს, ამ გამოთქმას ჩვენ ის აზრი მივეციტ, რომ ერთი მხრივ, მონარქიის იურიდიულ მოქმედებაზე არსებითად დამოკიდებულია სახელმწიფოს მთლიანი აპარატის ამოძრავება, მეორე მხრივ კი, ამ გამოთქმაში ისიც იგულისხმება, რომ აქ მონარქი აუცილებლად იღებს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მონაწილეობას სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქ-

ციების განხორციელებაში. მაგრამ თუ, განსაკუთრებით მონარქიის თანამედროვე ტიპზე, კონსტიტუციონალურ მონარქიაზე შევჩერდებით, დავინახავთ, რომ, თუმცა აქ მონარქი თანამონაწილეობს საკანონმდებლო და საიუსტიციო ფუნქციების მოქმედებაში, მაგრამ მისი მთავარი მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი ორგანოსი, იმაში გამოიხატება, რომ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დგას. ამიტომ რესპუბლიკის დახასიათების დროს, იმ სხვადასხვაობის აღნიშვნის მიზნით, რომელიც რესპუბლიკასა და მონარქიას შორის არსებობს, საჭიროა სხვათა შორის იმ იურიდიულ მომენტებზეც შევჩერდეთ, რომლებითაც აღმასრულებელი ორგანოს უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკური წყობილების ფარგლებში ე. წ. პრეზიდენტი ხასიათდება მონარქისაგან განსხვავებით. ეს განსხვავებული მომენტები შემდეგში გამოიხატებიან: მონარქი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო უმაღლეს ორგანოს წარმომადგენს და სწორედ ამიტომ, შეუძლებელია მონარქის უფლებები სხვა, უფრო მაღალი ხელისუფლებისაგან გამომდინარეობდნენ; აქედან, მეორე მხრივ, თავისთავად ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ მონარქი არ არის დაქვემდებარებული სახელმწიფოს რომელიმე სხვა ორგანოსადმი. მისი მოქმედება, სახელმწიფო ორგანოს სახით არ შეიძლება შეზღუდულ იქნეს რაიმე განსაზღვრული ვადით და სხვა. სულ სხვა თვისებებით ხასიათდება რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა. ამ მდგომარეობის მთავარი დამახასიათებელი იურიდიული თვისება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ პრეზიდენტი სახელმწიფოს არა უმაღლესს, არამედ დაქვემდებარებულ ორგანოს წარმოადგენს. ყველა ის უფლებები, რომლებიც მას კანონით ეკუთვნის, იმ იურიდიულ ფაქტს ეყრდნობა, რომ ის ხალხის ან ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ არის არჩეული, აქედან ცხადია, რომ მასზე ზევით არსებობს უფრო მაღალი ხელისუფლება, რომელიც მას ჰქმნის და განსაზღვრული უფლებებით აღჭურავს. აქედან, მეორე მხრივ, ისიც გამომდინარეობს, რომ მონარქისაგან განსხვავებით იგი თავისუფალი არ არის პასუხისმგებლობისაგან. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ტოკვილი თავის მოგონებებში, „რესპუბლიკის დედააზრი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელი ე. ი. პრეზიდენტი პასუხისმგებელი იყოს“. ამგვარი პასუხისმგებლობა ხშირად მარტო სისხლის სამართლის წესით, ხშირად კი პოლიტიკურადაც მკაფიოდაა გამოხატული ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა რესპუბლიკების კონსტიტუციებში

თუ ყურადღებას მივაქცევთ ყველა ზემოთჩამოთვლილ მომენტებს, რომლითაც რესპუბლიკებში ხასიათდება პრეზიდენტის უფლებები, ადვილად დავინახავთ, რომ ყველა ეს თვისებები თავისთავად გამომდინარეობენ სახალხო სუვერენიტეტის პრინციპიდან, თავისთავად გამომდინარეობენ იმ დებულებიდან, რომ სახელმწიფოში უმაღლესი, სუვერენული ხელისუფლების სუბიექტს ხალხი, როგორც განსაზღვრული მთლიანობა წარმოადგენს. ეს პრინციპი მთავარ დამახასიათებელ თვისებად უნდა იქნეს ცნობილი რესპუბლიკის იურიდიული ბუნების განმარტების საკითხში. აქედან ცხადია, რომ უმთავრესად გერმანულ სახელმწიფო სამართლის მეცნიერებაში გაგრძელებული შეხედულება, რომლის მიხედვით სახალხო სუვერენიტეტის ცნება პოლიტიკურ და არა იურიდიულ კატეგორიას წარმოადგენს, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს იმდენად, რამდენადაც თვით დადებითი კანონმდებლობის, რესპუბლიკური სახელმწიფოების იურიდიული სტრუქტურის ანალიზის დროს ეს ცნება აუცი-

ლებლად დამხმარე ცნებას აღნიშნავს. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით იმ მნიშვნელობაზე, რომლითაც თავის ისტორიულ განვითარებაში ხასიათდება სახალხო სუვერენიტეტის იდეა; ერთი მხრივ ამ კითხვაზე უკვე რამდენჯერმე ვგვქონდა შემთხვევა შევჩერებულყავით და ამიტომ ამ იდეის ისტორია ჩვენთვის არ უნდა იყოს უცნობი, მეორე მხრივ სახელმწიფოების ფორმების კლასიფიკაციის საკითხთან ამ იდეის ისტორიას არა აქვს უშუალო კავშირი. ჩვენთვის სახალხო სუვერენიტეტის იდეას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც ახლა ვიხილავთ, მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს იდეა რესპუბლიკური ფორმის ძირითად იურიდიულ (და არა მარტო პოლიტიკურ) პრინციპს გამოხატავს, რამდენადაც ამ იდეაში ის აზრი იგულისხმება, რომ მონარქიისაგან განსხვავებით, რომელშიც უმაღლესი ხელისუფლება ერთ ფიზიკურ პიროვნებას ეკუთვნის, რესპუბლიკაში ამ ხელისუფლების ერთადერთი პირველყოფილი სუბიექტი სახელმწიფოს მოსახლეობა, ხალხია. მაგრამ ეს საერთო და უმაღლესი პრინციპი ყველა რესპუბლიკაში ერთი და იგივე, თანაბარ რეალურ განხორციელებას როდი პოულობს, პირიქით, ჩვენ აქ ვხვდებით ერთგვარ სხვადასხვაობას იმ მხრივ, რომ სახელმწიფოს უმაღლესი სუბიექტის ე. ი. ხალხის რეალური მონაწილეობა სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციების განხორციელებაში სხვადასხვა რესპუბლიკაში სხვადასხვა ფორმით ხდება, სხვადასხვა ხარისხს ატარებს. და სწორედ ეს სხვადასხვაობა უნდა იქნეს გამოყენებული რესპუბლიკური ფორმის სხვადასხვა სახეების კლასიფიკაციის დროს. იმისდა მსგავსად, როგორც მონარქიის სხვადასხვა ფორმის დახასიათების დროს ამოსავალ წერტილად მონარქის უფლებრივი status-ი, მისი ხელისუფლების იურიდიული მოცულობა მივიჩნევთ, ამ საკითხშიც, ე. ი. როდესაც რესპუბლიკური მმართველობის სხვადასხვა ფორმებს ვასხვავებთ ერთმანეთისაგან, მთავარი ყურადღება იმ საკითხს უნდა მიექცეს, თუ როგორი უფლებებითაა აღჭურვილი უმაღლესი ორგანო ამ წყობილების ფარგლებში, ე. ი. ხალხი. ამ მხრივ ორი მთავარი სახე უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან: სახელდობრ, ერთი მხრივ, არსებობს ე. წ. წარმომადგენლობითი რესპუბლიკა და მეორე მხრივ კი, უშუალო რესპუბლიკა. ეს განხვავება მთავარ ყურადღებას იმას აქცევს, ასრულებს ხალხი უშუალოდ რომელიმე სახელმწიფო ფუნქციას, თუ იგი ყველა ფუნქციების შესასრულებლად მხოლოდ წარმომადგენლებს ირჩევს; და ეს წარმომადგენლები კი ან თვითონ ახორციელებენ ამ ფუნქციებს, ან კიდევ მათი განხორციელების მიზნით შესავერ ორგანოებს ჰქნიან. თითოეულ ამ ფორმაზე ჩვენ განცალკევებით შევჩერდებით.

წარმომადგენლობითი რესპუბლიკა. თავისი იურიდიული სტრუქტურის მხრივ წარმომადგენლობითი რესპუბლიკა არსებითად განსხვავდება უშუალო რესპუბლიკისაგან. მართალია ამ წყობილებაში სახალხო სუვერენიტეტის იდეა ამ წყობილების პრინციპს წარმოადგენს, მაგრამ აქ ეს პრინციპი მოკლებულია თავის რეალური განხორციელების უფლებრივ გარანტიებს, უფლებრივ პირობებს. სახალხო სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ სახელმწიფოში ყოველგვარი ხელისუფლება ხალხისაგან გამომდინარეობს. წარმომადგენლობით რესპუბლიკაში ამ დებულებას იმ განმარტებას აძლევენ, რომ მხოლოდ ხალხს ეკუთვნის სუვერენიტეტი, ხოლო ამ სუვერენიტეტის განხორციელება, არა უშუალოდ ხალხის, არამედ ხალხის მიერ ამორჩეული ორგანოების კომპეტენციაში შედის. ამიტომ, წარმომადგენლობით რესპუბლიკაში სახალხო სუვერენიტეტი სრულებით არ ნიშნავს ხალხის უშუალო ხელისუფლებას; არც ერთი სახელმწიფო ფუნქციის

რეალური განხორციელება მას აქ არ შეუძლია. იგი მხოლოდ ირჩევს სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს, რომელზედაც შემდეგ იგი მოქმედებულია საშუალებას რაიმე უფლებრივი ხასიათის ზეგავლენა ან კონტროლი იქონიოს. არსებობს წარმომადგენლობითი რესპუბლიკის ორი მთავარი ტიპი: ამერიკული და ფრანგული.* განმასხვავებელ მომენტს აქ ის ფაქტი ქმნის, თუ როგორი უფლებრივი მომენტებით ხასიათდება აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლის — პრეზიდენტის მდგომარეობა. განსხვავება აქ არსებობს როგორც პრეზიდენტის არჩევის წესში, ისე იმ უფლების თვალსაზრისით, რომლითაც პრეზიდენტი აღჭურვილი. შეერთებულ შტატებში პრეზიდენტს თვით ხალხი ირჩევს ამომრჩევლების საშუალებით, ოთხი წლის ვადით. საფრანგეთში კი პრეზიდენტს შვიდი წლით ირჩევს ერთად შეერთებული ორივე საკანონმდებლო პალატა. ასეთივე განსხვავება არსებობს ამ ორ ტიპს შორის მინისტრთა კაბინეტის არჩევნების მხრითაც; შეერთებულ შტატებში კაბინეტს თვით პრეზიდენტი ნიშნავს სენატის თანხმობით და ამიტომ, აქ კაბინეტი პრეზიდენტის წინაშეა პასუხისმგებელი, საფრანგეთში კი კაბინეტის შემადგენლობა პარლამენტის უმრავლესობასთანაა დაკავშირებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ეს მთავარი მომენტები, რომლითაც ერთმანეთისაგან განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა წარმომადგენლობითი რესპუბლიკის ამერიკულ და ფრანგულ ტიპებში, ბუნებრივია, რომ თავისებურ ანარეკლს პოულობს სახელმწიფოს მთავარი ორგანოების წყობილებაში, მათ შორის კომპეტენციის დანაწილების საკითხში. ადვილი გასაგებია, რომ იქ, სადაც პრეზიდენტი უშუალოდ ხალხის მიერაა ამორჩეული, როგორც ამას ადვილი აქვს ამერიკაში, იგი ნაკლებადაა დამოკიდებული პარლამენტისაგან და ამიტომ მისი ხელისუფლება სახელმწიფოს ცხოვრებაში მეტი იურიდიული წონისაა, პირიქით, იქ, სადაც პრეზიდენტს თვით პარლამენტი ირჩევს, როგორც ამას ვხედავთ საფრანგეთის რესპუბლიკაში, მისი ხელისუფლება უფრო მცირე და უმნიშვნელოა, და ეს იმიტომ, რომ პარლამენტთან შედარებით პრეზიდენტი მხოლოდ მის ქმნილებას წარმოადგენს. ამით აიხსნება ის სხვადასხვაობა, რომელიც ადვილი შესამჩნევია საფრანგეთის და შეერთებული შტატების საკონსტიტუციო ცხოვრებაში პრეზიდენტის და პარლამენტის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში. ბუნებრივი და ადვილი გასაგებია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის პოლიტიკა, მისი მოქმედება სახელმწიფოს არსებობის ამა თუ იმ დარგში, ვერასოდეს ვერ იქნება იმდენად გაბედული, რომ აშკარა ოპოზიციაში დაარჩეს პარლამენტის მიერ მკაფიოდ გამოხატულ ნებასთან. პირიქით, შეერთებულ შტატებში პრეზიდენტი უფრო დამოუკიდებლად გრძნობს თავს პარლამენტისაგან და ამიტომ მის მოქმედებას მეტი საკუთარი ინიციატივის დალი აზის. ამ აზრის ილუსტრაციისათვის საკმარისია გავიხსენოთ, რომ ასი წლის განმავლობაში ამერიკის პრეზიდენტებმა 433-ჯერ უარი განაცხადეს სანქცია მიეცათ იმ კანონებისათვის, რომელნიც კონგრესის მიერ იყო მიღებული, იმ დროს, როდესაც საფრანგეთში ასეთ შემთხვევას არც ერთხელ არ ჰქონია ადვილი. ამერიკის პრეზიდენტის ასეთი დამოუკიდებლობა ადვილი ასახსნელია თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იგი თვით ხალხის მიერაა არჩეული ისევე, როგორც კონგრესი, რომ ამიტომ, თავისი უფლებების წყაროს მხრივ, ეს ორი ორგანო თანაბარ საფუძველზე დგას. არც პარლამენტი არ არის დამოკიდებული პრეზიდენტისაგან და არც პრეზიდენტი პარლამენტისაგან, ვინაიდან ორთავე დამოკიდებული არიან თვით ხალხზე.

(დახასრული შემდეგ ნომერში)

* ეს კლასიფიკაცია არ შეესაბამება საფრანგეთის თანამედროვე კონსტიტუციას. (რედაქტორი)

პრიპოლ ვაჟოვი

დეპუტატის განაწესის წესი საქართველოს რესპუბლიკის ნაკრძალგანყოფილი ორგანოებიდან

საქართველოს რესპუბლიკას გააჩნია ხელისუფლების, მმართველობის, მართლმსაჯულებისა და პროკურატურის ორგანოები. თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელია გამოკვეთილად განსხვავებული უფლებამოსილება და ორგანოთა სისტემა.

რესპუბლიკის ხელისუფლების (წარმომადგენლობითი) ორგანოთა სისტემაში შედიან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის, თემის, დაბისა და სოფლის საკრებულოები. მათგან უზენაესი საბჭოების რწმუნების ვადა ხუთი წელია, ხოლო საკრებულოებისა — 3 წელი. მათ შემადგენლობაში ირჩევიან დეპუტატები ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი საარჩევნო კანონით.

სიტყვა დეპუტატი (deputatus) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წარგზავნილს, არჩევით წარმომადგენელს. თუ დეპუტატი ხარ, ჩვენი სახელმწიფოს სისტემის მიხედვით, წარმომადგენლობითი ორგანოს, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ან ადგილობრივი ორგანოს წევრი ხარ. როგორც წარგზავნილი, თითოეული მათგანი ითვლება შესაბამის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ან ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლად.

ამრიგად, დეპუტატი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უზენაესი საბჭოს ან ადგილობრივი ორგანოს — საკრებულოს წევრია. დეპუტატებს გააჩნიათ კონსტიტუციური უფლებამოსილებანი, კონსტიტუციიდან გამომდინარე შესაბამისი კანონებით ან სხვა აქტებით დადგენილი უფლებანი და მოვალეობანი (იხ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-10 თავი, საქართველოს რესპუბლიკის 1990 წ. 28 დეკემბრის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ და სხვა.).

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდება შესაბამისი უზენაესი საბჭოებისა და საკრებულოების სესიებზე. დეპუტატების აქტიურობაზე, მათ ნაყოფიერ მუშაობაზე, როგორც სესიებზე ისე მათ გარეშე, ბევრი რამ არის დამოკიდებული.

სესიების მუშაობის დადებითი შედეგები ამომრჩეველთათვის საგრძნობი უნდა იყოს, უფრო მეტიც, ამომრჩეველები სისტემატურად ინფორმირებულ-

ლნი უნდა იყვნენ თავიანთი დეპუტატებისაგან იმის თაობაზე, თუ რა კვლევები უნდა შესაბამის საარჩევნო ოლქში ამა თუ იმ მიმართულებით. დეპუტატები უნდა ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველთა წინაშე მთელი თავისი შედეგებით, ე. ი. საჭიროებისამებრ იმ პროცედურის მოწყობითაც, რასაც ეწოდება დეპუტატის გაწვევა. საამისოდ კი საჭირო შემთხვევაში საკითხს აყენებენ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ან მოცემულ ოლქში დეპუტატობის კანდიდატის წამომყენებელი პოლიტიკური ორგანიზაცია.

საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა კონსტიტუციით დაკანონებული, რომ დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, ნებისმიერ დროს შეიძლება იქნეს გაწვეული ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მაგრამ, როგორ, როგორი წესით?

საქართველოს რესპუბლიკაში ამ მიმართებით მოქმედებს ორი კანონი:

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ“. რომელიც მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 27 თებერვალს და 2. „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ“, რომელიც ასევე მიღებულია რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 14 მაისს.

შევეცდებით გავარკვიოთ ამ ორი ორგანოდან დეპუტატის გაწვევის თავისებურებანი.

სიახლე დეპუტატის გაწვევის წესში მრავალია, პრინციპული ხასიათისა კი ისაა, რომ საბჭოური პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო დეპუტატის გაწვევა ღია კენჭისყრით, ამჟამად კი, როგორც ცნობილია, დეპუტატის გაწვევა საარჩევნო ოლქებიდან წარმოებს ფარული კენჭისყრით. ასევე მნიშვნელოვანი სიახლეა პარტიათა (ბლოკების) როლი დეპუტატის გაწვევის საქმეში.

კანონით „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ გათვალისწინებულია უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებითი შეჩერებაც და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტაც.

უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ხდება რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ იმ შემთხვევებში: თუ პირადად უზენაესი საბჭოს წევრმა თვითონ მოიხსნა ეს უფლებამოსილება, თუ უზენაესი საბჭოს წევრის მიმართ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი სასამართლო განჩინი, თუ უზენაესი საბჭოს წევრს ჩამოერთვა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა და თუ უზენაესი საბჭოს წევრს ისეთი თანამდებობა მიეცა, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსთან.

რაც შეეხება უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერებას, ამის უფლება აქვს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ხოლო სესიათა შორის პერიოდში ეს უფლება შეუძლია განახორციელოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმაც, თუ ამის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს აქვს შემოტანილი წარდგინება; ან, თუ უზენაესი საბჭოს წევრი თვით მოითხოვს ასეთ შეჩერებას იმის გამო, რომ იგი იმყოფება ხანგრძლივ მივლინებაში, ან საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას ან სხვა რაიმე შემთხვევისას, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრს დროებით არ შეეძლება თავისი მოვალეობის განხორციელება; და ბოლოს, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს შეუძლია უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების დროებით შეჩერება უზენაესი საბჭოს სა-

მანდატო და სადებუტატო ეთიკის კომისიის წარდგინებით იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი საბჭოს წევრი არასაპატიო მიზეზით სისტემატურად არ ესწრება უზენაესი საბჭოს სხდომებს, ანდა პრაქტიკულად არ მონაწილეობს უზენაესი საბჭოს ან მისი ორგანოების მუშაობაში.

უზენაესი საბჭოს ქვორუმის განსაზღვრისას, კანონების, დადგენილებებისა და სხვა აქტების მიღებისას უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობაში არ შედიან უზენაესი საბჭოს ის წევრები, რომელთა უფლებამოსილება შეწყვეტილი ან შეჩერებულია.

არის სიახლე იმ მხრივაც, რომ უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის 27-ე მუხლით უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს საზოგადოებრივ საწყისებზე აიყვანოს თავისი თანაშემწე.

მაჟორიტარული წესით არჩეულ უზენაესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აიყვანოს რწმუნებული, რომლის შრომა ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მაგრამ ეს თანაშემწე ან რწმუნებული რა უფლებით სარგებლობენ უზენაესი საბჭოს წევრის მუშაობის პროცესში, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან დროებით შეჩერებისას, ამაზე კანონში არაფერია ნათქვამი.

უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ იმავე კანონით გათვალისწინებულია ერთი სიახლეც. ეხება იგი საბჭოს წევრის (დებუტატის) უფლებამოსილების ვადას.

თუ შედარებით მცირე ხნის წინათ უზენაესი საბჭოს წევრი უფლებამოსილად ითვლებოდა არჩევის დღიდან გადარჩევის დღემდე, ამჟამად, დასახლებული კანონის მე-2 მუხლით, უზენაესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება უზენაესი საბჭოს მიერ მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და გრძელდება ახალი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის დღემდე ან დებუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის დღემდე.

როგორც ითქვა, მოქმედი კანონმდებლობით დებუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა ანუ დებუტატის გაწვევა შეუძლია იმ ორგანოს, რომელმაც აღჭურვა ეს დებუტატი უფლებამოსილებით, ე. ი. შეუძლია უზენაესი საბჭოს, მაგრამ კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის შესახებ“ ითვალისწინებს მაჟორიტარული და პროპორციული გზით არჩეულ დებუტატთა გაწვევის ერთგვარად განსხვავებულ წესს.

პროპორციული გზით ანუ პარტიული სიით არჩეული დებუტატის უზენაესი საბჭოდან გაწვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ცალკეულმა პარტიამაც და პარტიათა ბლოკმაც, ე. ი. როგორც „ა“ ისე „ბ“ ტიპის პარტიამ, უნდა აცნობოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს.

პარტიების რესპუბლიკურმა ორგანოებმა (ყრილობამ, კონგრესმა და ა. შ.) ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას სხდომას უნდა დაასწრონ უზენაესი საბჭოს სამანდატო და დებუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის სულ ცოტა ორი წევრი. პარტიამ, რომელიც ბლოკში შედის, თავისი მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეუთანხმოს ბლოკში შემავალ სხვა პარტიებს.

შეიძლება დებუტატი უპარტიო იყოს, მაგრამ შედიოდა ბლოკის ან ცალკე რომელიმე პარტიულ სიაში. მოცემული პარტია თუ პარტიული ბლოკი უფლებამოსილია ანალოგიურად იმოქმედოს უზენაესი საბჭოს ასეთი დებუტატის მიმართაც.

თუ „ა“ ტიპის პარტიამ თვითლიკვიდაცია მოახდინა, საჭიროებისამებრ მისი პარტიული სიიდან დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხს აღძრავს უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისია. ხოლო თუ ბლოკის ანუ „ბ“ ტიპის პარტიის თვითლიკვიდაცია მოხდა, მაშინ გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება ექნება ამ ბლოკში შემავალ სხვა პარტიებს¹.

დეპუტატის გაწვევის შესახებ დასმულ საკითხს უზენაესი საბჭო პერსონალურად განიხილავს. დეპუტატი გაწვეულად ჩაითვლება თუ ასეთ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის 3/4 მაინც.

პროპორციული წესით არჩეული დეპუტატის გამოკლებისას იმავე პარტიული სიიდან „ა“ ან „ბ“ ტიპის პარტიათა მიერ შეირჩევა სხვა დეპუტატობის კანდიდატი, რის შესახებაც პარტიული ხელმძღვანელები წერილობითი განცხადებით მიმართავენ უზენაეს საბჭოს. განცხადებას უნდა ერთვოდეს დეპუტატობის კანდიდატის თანხმობა.

როგორც წესი, უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივმა კომისიამ უნდა შეამოწმოს მისი რწმუნება, რაც ჩვეულებრივად უნდა დაამტკიცოს უზენაესმა საბჭომ. ამ დღიდან იწყება ახალი დეპუტატის უფლებამოსილება (რწმუნება).

რაც შეეხება მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის უზენაესი საბჭოდან გაწვევის წესს, დასახელებულ კანონში მას ცალკე მესამე განყოფილება ეთმობა.


კანონით, ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი შესაბამისი საარჩევნო ოლქიდან, შეიძლება გაწვეულ იქნეს ნებისმიერ დროს, თუ მისი მოღვაწეობა ეწინააღმდეგება წინასაარჩევნო პროგრამის ძირითად თეზისებს.

საარჩევნო ოლქში დეპუტატის გაწვევა ეწყობა დანიშნულ დღეს ამავე ოლქის ამომრჩეველთა მიერ პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

უზენაესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრის უფლება აქვს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ჯგუფს ან პარტიას, მხოლოდ საჭირო დასაბუთებით.

დეპუტატის გაწვევის დღეს, უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებით, ნიშნავს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 2 თვის ვადაში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, არაუგვიანეს ექვსი თვისა. რესპუბლიკის უზენაეს საბჭოდან დეპუტატის გაწვევის დღის დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება გაწვევის დღიდან არაუგვიანეს 2 დღისა (მუხ. 24).

¹ 1991 წ. 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. ამის შესაბამისად კანონის პირველ (ზოგად) ნაწილს დამატა მე-7 ნაწილი, რომლის მიხედვითაც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ან საარჩევნო ბლოკის ლიკვიდაციის (აქრობის; თვითლიკვიდაციის) შემთხვევაში მისი პარტიული სია უქმდება, ხოლო უზენაეს საბჭოში ამ (პროპორციული და მაჟორიტარული) წესით არჩეული, დეპუტატების უფლებამოსილება უზენაესი საბჭოს მიერ შეიძლება შეჩერდეს ერთ თვემდე ვადით, მათი უფლებამოსილების საკითხის გადაწყვეტამდე“.



დეპუტატის გაწვევის პროცესის ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენელთაგან.

უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ, დეპუტატის გაწვევას აწარმოებენ უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად შექმნილი კომისიები: ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები.

უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის შესახებ კანონის 26-31-ე მუხლებით გათვალისწინებულია გაწვევის საკითხის აღძვრისათვის საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფის შექმნა. ასეთი ჯგუფი შეუძლიათ შექმნან საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებმა არანაკლები 10 კაცის შემადგენლობით. საინიციატივო ჯგუფი შეუძლიათ შექმნან აგრეთვე შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიებმაც².

საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებაში გარდა იმისა, რომ მითითებული იქნება დეპუტატის გაწვევის მოტივი, აღინიშნება აგრეთვე საინიციატივო ჯგუფის წევრთა გვარი და სახელი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები, თარიღი, რაც დადასტურებული იქნება ამ ჯგუფის წევრთა ხელმოწერით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია საინიციატივო ჯგუფს აძლევს ცნობას განცხადების რეგისტრაციაში გატარების თაობაზე და სამი დღის განმავლობაში გადასცემს მას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივ კომისიას. ამ განცხადებას ორი კვირის ვადაში განიხილავს უზენაესი საბჭო, სესიებს შუა პერიოდში კი — უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, და თუ დეპუტატის გაწვევის შესახებ მოტივირებას დასაბუთებულად მიიჩნევს, დაავალებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რათა მისცეს მსვლელობა განცხადებას.

ცენტრალური საარჩევნო კომისია სამი დღის ვადაში ამ ფაქტს აცნობებს საინიციატივო ჯგუფის წრმომადგენელს და აძლევს უფლებას, რომ საამისოდ შეაგროვონ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ხელმოწერები. კანონის 28-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ხელმოწერების ფურცლების შედგენის მთელი რივი დეტალებია გათვალისწინებული, რაც აუცილებლად დაცული უნდა იქნეს.

უფლების მიღებიდან საინიციატივო ჯგუფმა ორი კვირის ვადაში უნდა შეაგროვოს საარჩევნო ოლქში დეპუტატის გაწვევის მხარდამჭერ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 10 პროცენტი.

კანონი მოითხოვს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებით საოლქო საარჩევნო კომისიამ ორი კვირის განმავლობაში ნდობით აღკუთრებულ პირებთან და საინიციატივო ჯგუფის წევრებთან ერთად შერჩევით შეამოწმონ მხარდამჭერთა ხელმოწერების სისწორე. ამის შემდეგ, ერთი კვირის განმავლო-

² აღსანიშნავია, რომ კანონში „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ“ 27-31-ე მუხლებში ცვლილებები შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წ. 25 ივლისს, მიიღო რა კანონი — „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევის წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. (იხ. ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 30 ივლისი).



ბაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია განიხილავს დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებულ მასალებს და, თუ დაცულ იქნება დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებით კანონის მოთხოვნები, დანიშნავს გაწვევისათვის კენჭისყრის დღეს.

უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევისათვის საჭირო ბიულეტენი მზადდება საარჩევნო კანონის 41-ე მუხლის მიხედვით, ხმის მიცემა ეწყობა დანიშნული ღი და დღის 7 საათიდან 20 საათამდე.

გაწვევა ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ კი მის გაწვევას მხარს დაუჭერს ხმის მიცემის მონაწილეთა ნახევარზე მეტი და გაწვევა ჩატარებულად ჩაითვლება.

თუ კენჭისყრა ბათილად ჩაითვალოს საარჩევნო ოლქის ერთ ან რამდენიმე უბანში, გაწვევის კენჭისყრიდან ერთი კვირის შემდეგ ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა მხოლოდ ამ უბნებში და მისი შედეგები განისაზღვრება გაწვევის პირველი ტურისათვის დადგენილი წესით. მაგრამ, იმ შემთხვევაში თუ გაწვევის კენჭისყრა არ ჩაითვლება ჩატარებულად, ხელმეორე კენჭისყრა არ ეწყობა. გაწვევის კანდიდატს უნარჩუნდება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსი.

კენჭისყრის შედეგებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ორ დღეში აწვდის უზენაესი საბჭოს სამანდატო სადებუტატო ეთიკის მუდმივ კომისიას, ხოლო 5 დღეში აქვეყნებს რესპუბლიკურ გაზეთებში, აგრეთვე ტელევიზიითა და რადიოთი.

მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის გაწვევის შემდეგ უზენაესი საბჭო, დადგენილებით, ვადამდე წყვეტს დეპუტატის უფლებამოსილებას, ოღონდ ერთი პირობით, რომ უზენაესმა საბჭომ შესაბამის საარჩევნო ოლქში დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებული კენჭისყრის შედეგები გაყალბებულად არ უნდა ცნოს. ასეთ შემთხვევაში მოცემულ საარჩევნო ოლქში ტარდება ხელახალი არჩევნები კანონით დადგენილი წესით.

უზენაესი საბჭოდან გაწვეულ დეპუტატს ერთი ვადით ეკრძალება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ან ადგილობრივ ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატად წარდგინება.

უზენაეს საბჭოდან დეპუტატის გაწვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

რაც შეეხება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიდან (საკრებულოდან) დეპუტატთა გაწვევას, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 14 მაისის კანონის შესატყვისად. წინასწარ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში დეპუტატთა გაწვევის პრინციპები საერთოა უზენაესი საბჭოს და საკრებულოების ხაზითაც.

იმის გამო, რომ ყველა საფეხურის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო პირდაპირი არჩევნების გზით არ ირჩევა, შესაბამისად არც ყველა საფეხურის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოდან დეპუტატის გაწვევა ხდება ერთი და იგივე წესით.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ კანონის პირველივე მუხ-

ლით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბის, თემის და სოფლის საკრებულოებიდან დეპუტატის უფლებამოსილების ჩამორთმევა შეიძლება საარჩევნო ოლქების მიხედვით, ამომრჩეველთა და პოლიტიკურ პარტიათა (ბლოკების) ნების შესატყვისად.

ასეთ შემთხვევაში საკრებულოდან გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრის უფლება აქვთ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ჯგუფს, პარტიული სიის წარმდგენ პირებს ან პარტიის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოებს.

კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, ამ მიზნით შექმნილია რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია, ტერიტორიული, ადგილობრივი საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიები. აქაც გათვალისწინებულია დეპუტატის გაწვევის შესახებ საკითხის აღძვრისათვის საინიციატივო ჯგუფის შექმნა, ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვება (მუხ. 14), პარტიული სიის წარმდგენ პირთა ან შესაბამისი პარტიის რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოს წერილობითი ფორმით მიმართვა შესაბამისი საარჩევნო კომისიისადმი საკრებულოს დეპუტატის გაწვევის ჩატარების მოთხოვნით. ინიშნება დეპუტატის გაწვევის დღე, რაც ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში.

ღვინდება გაწვევის შესახებ ბიულეტენის ფორმა, დადგენილია ბიულეტენის ენის საკითხი, გათვალისწინებულია კენჭისყრის წესი.

კანონი მოითხოვს რათა გაწვევის ბიულეტენის ქვედა მარცხენა და მარჯვენა კუთხეებში შესაბამისად ეწეროს „დიახ“ და „არა“.

იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი თანახმაა საკრებულოდან დეპუტატის გაწვევისა, მან უნდა შემოხაზოს სიტყვა „დიახ“, როდესაც წინააღმდეგია გაწვევისა უნდა შემოხაზოს „არა“.

კენჭისყრის შეჯამებისას გაწვევის ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ ნიმუშს, თუ სიტყვები „დიახ“, და „არა“ ორივე ან არც ერთი არ არის შემოხაზული.

თუ საარჩევნო ოლქის ერთ ან რამდენიმე უბანში კენჭისყრა არ ჩაითვალა, განმეორებითი კენჭისყრა ამ უბნებში ეწყობა გაწვევისათვის კენჭისყრიდან ერთი კვირის შემდეგ. იმ შემთხვევაში კი, თუ საარჩევნო ოლქში გაწვევა საერთოდ არ ჩაითვალა ჩატარებულად, აქაც ხელმეორე კენჭისყრა არ ეწყობა და გაწვევის კანდიდატს უნარჩუნდება საკრებულოს წევრის სტატუსი.

ამრიგად, ჩვენ ჯერ შევხებით ქალაქის (გარდა რაიონებად დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის), ქალაქის რაიონის, დაბის, თემის და სოფლის საკრებულოებიდან დეპუტატის გაწვევის საკითხს.

რაც შეეხება რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის, რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი, საკრებულოს წევრების გაწვევის უფლება აქვთ მათ ამრჩევ საკრებულოებს.

მაგალითად, თბილისის საკრებულოს შემადგენლობას ირჩევს თბილისში შემავალი ათი რაიონული საკრებულო თავიანთი შემადგენლობიდან. თბილისის საკრებულოს წევრთა გაწვევა შეუძლია თბილისში შემავალ რომელიმე რაიონულ საკრებულოს.

ასევე ჩვეულებრივ სასოფლო რაიონის საკრებულოს შემადგენლობას ირჩევს მასში შემავალი რაიონული ქვემდებარეობის ქალაქის, სათემო, სადაბო და



სასოფლო საკრებულოები. ამიტომ, რაიონული საკრებულოს წევრის გაწვევა შეუძლია მათ ამრჩევ შესაბამის ქვემდგომ საკრებულოს.

კანონით გათვალისწინებულია, რომ რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის, ქალაქის, რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი, საკრებულოებიდან დეპუტატი გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას მხარს დაუჭერს შესაბამისი საკრებულოს წევრთა რიცხვის ნახევარზე მეტი (მუხ. 26).

ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოების დემოკრატიულ მრავალპარტიულ არჩევნებს შეესაბამება აგრეთვე ამ ორგანოთაგან დეპუტატის გაწვევის დემოკრატიული პრინციპები, რამაც უნდა უზრუნველყოს ამომრჩეველთა ნებასურვილი, სახალხო ხელისუფლების განხორციელება.

დასასრულ, ერთი სურვილის შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების ორგანოთა ფორმირება, თავისი სიახლის გამო, ერთგვარად დასახვეწია. ჩვენ ხშირად ცვლილებები შეგვაქვს არა მარტო რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის ძირითად კანონში, არამედ ბოლო თვეებში მიღებულ, მიმდინარე საკანონმდებლო აქტებშიც კი. მომავალში ალბათ დაზუსტდება თვით კანონი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სტატუსის შესახებაც, მიღებულ იქნება კანონი საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ და ა. შ.

ჩვენი აზრით, ამ თვალსაზრისით, აუცილებელია დეპუტატთა მუშაობის აღრიცხვიანობის ჩატარება.

ალბათ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და საკრებულოების დეპუტატები დღემდე წინასწარი გაფრთხილების გარეშეც აღრიცხავენ თავიანთ მიერ გაწეულ სამუშაოს: როდის დაესწრნენ სესიას, რა მონაწილეობას ღებულობენ სესიებზე, რა კონკრეტული წინადადებანი შეიტანეს იქ მათ, როგორია სესიის გადაწყვეტილებანი, რა მუშაობას ეწევიან მუდმივ კომისიებში და ა. შ.

ასევე მომავალში მათ დასჭირდებათ აღრიცხონ, თუ როდის ჩააბარეს ანგარიში ამომრჩეველებს, რა ახალი დავალებები მიიღეს მათგან და ა. შ.

ვფიქრობთ, ამ მიზნით საჭირო იქნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცოს დეპუტატის უბის წიგნაკის ფორმა თავისი აუცილებელი ჩანაწერებით, კითხვარებით და სხვ. ასეთ წიგნაკს პირობით შეიძლება ეწოდოს „დეპუტატის სამახსოვრო“ (სახელწოდებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს), რაც დიდად დაეხმარება მათ სადეპუტატო მოღვაწეობაში.



ვიქტორ შარაშენიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა მოქალაქეობისა და ეროვნული პრობლემების შესახებ

რესპუბლიკის რეალური, ფაქტობრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური დემოუკიდებლობისაკენ სწრაფი სვლის და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართალშემოქმედებითი მუშაობა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგლამენტაცია. აუცილებელი ხდება მრავალი საბჭოური საკანონმდებლო აქტის შეცვლა, რიგი ფუძემდებლური, ნორმატიული აქტების მომზადება, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის, მთელი სამართლებრივი სისტემის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. სადავო არ არის, რომ ეროვნული სამართლებრივი სისტემა უნდა დაეფუძნოს ქართულ სამართლებრივ კულტურასა და ტრადიციებს, რომელთა საფუძველზეც და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აღორძინდება ეროვნული კანონმდებლობა.

ჭეშმარიტად, რესპუბლიკის ახალი კანონმდებლობა ცივილიზებული სამყაროს სამართალშემოქმედებით გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს, რამეთუ ჩვენ ერს „მსოფლიო სტანდარტების“ დონეზე, თეორიული აზროვნების და პრაქტიკული განხორციელების პრეტენზიების გაცხადების მრავალსაუკუნოვანი წინაპირობები გააჩნია.

ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარების: ი. სურგულაძის, ი. დოლიძის, გ. აბაშაძის, დ. ფურცელაძის, მ. კეკელიას, გ. ნადარეიშვილის, ი. ფუტყარაძის და სხვათა ნაშრომები ნათლად წარმოაჩენენ, რომ საქართველოს ჰქონდა არა მარტო მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ძველ რომთან, ბიზანტიასთან, საბერძნეთთან და ა. შ., არამედ ურთიერთგავლენა სამართალშემოქმედებაშიც. უდაოდ საფუძველიანია ბ-ნ გ. ნადარეიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ „თვით რომის სამართალში იყო ჩაქსოვილი ანტიკური ხანის სხვადასხვა კულტურული ხალხების სამართალი, მათ შორის, ქართული სამართალიც“¹.

საუკუნის დამდეგს სწორედ ცივილიზებული ქვეყნების იურიდიული აზ-

¹ გ. ნადარეიშვილი, ვიცოდეთ სამართლის ისტორია, „ცხოვრება და კანონი“, 1991 წლის 5 ივნისი.



როვნების დონით ხასიათდება დემოკრატიული საქართველოს 1918-1921 წლების სამართალშემოქმედება². აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკამ აღადგინა 1918 წელს გამოცხადებული და 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა, დღევანდელ სამართალშემოქმედებით პროცესში, ჩვენ ვალდებულნი ვხდებით გავითვალისწინოთ იმდროინდელი საკანონმდებლო შემეკვიდრება. ეროვნული აღორძინება ხომ მიძინებული თუ ჩაკლული ფესვების გამოღვიძება-განახლებას ნიშნავს.

სსრ კავშირსა და საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩინეს ეროვნებათშორისი პრობლემები, რომლებიც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ტრაგიკულ ფორმებში ვლინდება და დღეს უკვე მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად იქცა. საქართველოს რესპუბლიკის აარღმენტის დღევანდელი საქმიანობის ერთ-ერთი ურთულესი, პასუხსაგები და ამასთან, საპატიო ტვირთია სწორედ ეროვნებათშორის ურთიერთობის საკანონმდებლო პრინციპების და დებულებების განსაზღვრა. ამ მიმართებით საყურადღებოა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცდილება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალშემოქმედებითი ცხოვრება თითქმის სამ წელს გრძელდებოდა. სიმბოლურია, რომ ეს პერიოდი უმნიშვნელოვანესი აქტების მიღებით აღინიშნება, კერძოდ, 1918 წლის ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და 1921 წლის 21 თებერვლის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული „საქართველოს კონსტიტუციით“. თავის პირველ სამართლებრივ აქტში საქართველოს ხალხი გამოცხადდა სუვერენულ უფლებათა მატარებლად, ხოლო საქართველო „სრულუფლებიან“ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელმაც პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარა, ამასთან, მსოფლიოს ამცნო თავისი არჩევანი მუდმივი ნეიტრალიტეტისა, კეთილმეზობლური განწყობილების დამყარების სურვილი საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

ყურადღებას იპყრობს დამოუკიდებლობის აქტის მეორე დამატების VII თავში ფიქსირებული რუსეთის მთავრობის მიერ სპეციალური დეკრეტით აღიარებული პრინციპი „...რომელთა მიხედვით, ყოველ ერს აქვს სრული უფლება— ამოიჩინოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოისურვებს“.

დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს რესპუბლიკამ უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული პრინციპები ცნო და მათი განუხრელი დაცვის გარანტიები იკისრა.

დამოუკიდებლობის აქტის მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განუხრელად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა, ხოლო მე-6 მუხლი ამ დებულებებს აკონკრეტებს — „რესპუბლიკა იღებს ვალდებულებებს მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს გაუხსნას თავისუფალი განვითარების ასპარეზი“.

დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდგომ, სამიოდე წლის განმავლო-

² უმნიშვნელოვანესი ნორმები, იხ. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921“, თბ: 1990.

ბაში გამოცემული საქანონდებლო დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დღენიადაგ ზრუნავდა ქართველი ერის სასიცოცხლო პრობლემებზე, მაგრამ არ იფიქრებდა და სათუთად ეპყრობოდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს, მათ ინტერესებს.

თვით დამოუკიდებლობის აქტის 1-ლი დამატების მე-7 მუხლით გათვალისწინებულია დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ეროვნული საბჭოს შევსება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, ხოლო უკვე ეროვნული საბჭოს და მთავრობის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით („ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“) საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობებს დაუწესდა 26 წარმომადგენლის არჩევის უფლება შესაბამისი პროპორციების გათვალისწინებით. სახელდობრ, სომხებს — 10, თათრებს — 4, აფხაზებს — 3, რუსებს — 2, ოსებს — 2, ბერძნებს და გერმანელებს — თითო წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი რესპუბლიკა განასხვავებდა ებრაელებს: ქართველ ებრაელებად და ებრაელებად. მათ პირველ ეროვნულ საბჭოში 2, ხოლო მეორეში — ერთი წარმომადგენლის კვოტა უწესდებოდათ. საქართველოს რესპუბლიკის ქართული კანონდებლობის დემოკრატიის უდავო დასტურად არა მარტო ამ კვოტების დაწესება, არამედ მათი არჩევის წესიც გამოდგება. რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ავზავნიდნენ იმ ერების ეროვნული საბჭოები, რომლებიც არჩეულნი იყვნენ საქართველოს მოქალაქეების მიერ და რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებდნენ. იქ, სადაც ასეთი საბჭოები არ არსებობდა, კანონი წარგზავნის უფლებას აძლევდა „ისეთი ერის წარმომადგენლებს, რომელნიც არჩეული არიან სხვადასხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში“ ერთი პირობის დაცვით — ეს დაწესებულებანი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში უნდა ყოფილიყვნენ.

ეროვნულ უმცირესობათა შესახებ 1918 წლის 13 სექტემბრის ზემოთ მოყვანილი კანონის ანალიზი საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფართო ასპარეზი და უფლებები ჰქონდათ მინიჭებული სხვადასხვა დემოკრატიულ სტრუქტურებს — ეროვნულ საკრებულოებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის საქართველოს ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელთა დელეგირებისა. მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მეტად გულმოდგინედ იცავდა ეროვნულ უმცირესობათა მიერ საქართველოს ეროვნულ საბჭოში წარმომადგენელთა წარგზავნის წესებს; სამანდატო კომისიამ არ სცნო რამდენიმე წარმომადგენლის უფლებამოსილებანი, ვინაიდან ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებმა არ დაიცვეს რესპუბლიკის კანონების მოთხოვნები. მაგალითად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიამ უარი უთხრა დებუტატის მანდატის გაცემაზე ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭოს დადგენილებით საქართველოს პარლამენტში წარგზავნილ 2 კანდიდატს (1918 წლის 24 ოქტომბრის სხდომაზე), ვინაიდან ხსენებულ „საბჭოს უყურადღებოდ დაუტოვებია რესპუბლიკის მოქალაქეობის კანონი და არჩევნების დროს უხელმძღვანელია რესპუბლიკის კანონით კი არა, თავისი საკუთარი წესებით“³.

³ სცსსა ფონდი 1836, აღწერა 1, ერთეული, 94, ფურცელი 65, 66.

იმავე სხდომაზე განიხილეს ებრაელთა ეროვნული საბჭოს „მონაწერი“ პარლამენტის სამი წევრის არჩევის შესახებ. სამანდატო კომისიამ არაკანონიერად სცნო ებრაელთა ეროვნული საბჭოს მიერ ქ. თბილისში ჩატარებულ არჩევნები, რადგანაც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის კანონი ქართველ ისრაელებს 2 წარმომადგენლის არჩევის უფლებას აძლევს, ხოლო ებრაელებს — ერთისა, ჯამ შემთხვევაში კი ებრაელთა ეროვნულმა საბჭომ მოახდინა ერთიანი არჩევანი სამივე წარმომადგენლისა⁴. ამ წესით ჩატარებულ არჩევნებზე თვით ქართველ ებრაელებსაც გამოუთქვამთ პროტესტი, განსაკუთრებით კი ბანძის ებრაელების რაბინს დავით აჯიშვილს, ონის ებრაელთა საზოგადოებას, აგუდათ ებრაელების გამგეობას, სასულიერო მმართველობას და ქუცაისის რაბინს რუბენ ელუაშვილს.

უკვე 1918 წლის 28 ოქტომბერს სამანდატო კომისიამ სცნო ქ. ქუთაისში ჩატარებული ქართველი ებრაელების არჩევნების შედეგები, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ ქართველ ისრაელთა ინტერპარტიულ საბჭოს, საზოგადოება „აგუდათ ისრაელს“ და სასულიერო მმართველობას⁵.

1918 წლის 4 ნოემბრის სხდომაზე სამანდატო კომისიამ სცნო 7 სომხის დეპუტატობის მანდატი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ ისინი ნამდვილად საქართველოს მოქალაქეები არიან, ხოლო 3-ის საკითხი გადადო დასაზუსტებლად.

იმავე სხდომაზე და შემდგომ 7 ნოემბრის სხდომაზე კომისიამ უარი უთხრა ელინთა წარმომადგენლის დამტკიცებას, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატობის კანდიდატი თბილისში იყო დაბადებული, გორის მაზრაში უძრავი ქონების მესაკუთრე იყო და „მიწერილია ტფილისის ოლქის ნაფიც მსაჯულთა კორპორაციას“. რწმუნების არცნობის საფუძველი იყო ის, რომ დეპუტატობის კანდიდატი აურჩევია ამიერკავკასიის ელინთა ეროვნულ საბჭოს. კომისიამ არ გაითვალისწინა ის არგუმენტიც, რომ ამიერკავკასიის ელინთა საბჭო ფაქტობრივად საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა წარმომადგენლებისაგან შედგებოდა⁶.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალშემოქმედებაში უხვად არის ნოველები, რომელთა აქტუალობა დღესაც საგრძნობია.

ტრაგიკულია, რომ ამ პერიოდის საკანონმდებლო ცხოვრება და სამართალშემოქმედება წყდება ქვეყნის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის მიღებით, ე. ი. მაშინ, როდესაც სხვა ნებისმიერ ნორმალურ პირობებში იწყება ხოლმე შემოქმედებითი სამართლებრივი პროცესები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია (პირველი!) მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს და ფუნქციონირებდა კი ვერ მოასწრო, იგი თავისი ჭეშმარიტად დიდი დემოკრატიულობით შვიდი ათეული წლის შემდეგ კვლავ ინარჩუნებს სასიცოცხლო უნარს.

კონსტიტუციამ აღიარა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა (მუხ. 16), უდანაშაულობის პრეზუმფცია „არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არა სასამართლოს წესით“ (მუხ. 20), პიროვნების (მუხ. 22) და კერძო მიმოწერის (მუხ. 29) ხელშეუხებლობა, საცხოვრებელი ბინის შეუვა-

4 სსსსა ფონდი 1836, აღწერა 1, ერთეული 94, ფურცელი 65-66.

5 იქვე, ფურცელი 70.

6 სსსსა ფონდი 1836, აღწერა 1, ერთეული 94, ფურცელი 65, 66, 71.

ლობა (მუხ. 28), მოქალაქეთა მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევანის (მუხ. 30), სინდისის (მუხ. 31), სიტყვის (მუხ. 32), საჯაროდ შეკრების (მუხ. 33), გაფიც-
ვების (მუხ. 38) თავისუფლება. კონსტიტუციაში სათანადო ადგილი აქვს და-
მოხილი სქესთა თანასწორობას „როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო, ეკო-
ნომიკურ და საოჯახო“ უფლებებში (მუხ. 32), რესპუბლიკის ტერიტორიაზე შე-
მოხიზნულ პოლიტიკურ დევნილთა ხელშეუხებლობის (მუხ. 41) და მოქალაქის
სხვა უფლებებს.

თანამედროვე ქედრადობა აქვს ისეთ დებულებებს, როგორცაა „სასა-
მართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“ (მუხ. 78); „არც-
ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა“ (მუხ. 143) და ა. შ. აგრეთვე ისეთ
დებულებებს, რომლებიც არა მარტო აღიარებენ, არამედ აწესებენ მათი შეს-
რულების გარანტიებს. მაგალითად, მთელი მეცამეტე თავი ეთმობა სოციალურ-
ეკონომიკურ უფლებებს და მათ უზრუნველყოფას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით აღიარებული
ზოგადსაკაცობრიო მარადიული პრინციპები გასაბჭოებული საქართველოს და
სხვა საბჭოური კონსტიტუციების ტექსტებშიც გვხვდება და მათ მრავალი წლის
განმავლობაში ბოლშევიზმის მონაპოვრად ვასაღებდით. 1921 წლის თებერ-
ვლის კონსტიტუცია ქართული დამოუკიდებელი აზროვნების და სამართალშე-
მოქმედების აშკარად გამოკვეთილი ნიშნით ხასიათდება.

მიუხედავად ამისა, დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს
ისეთ ხარვეზებსაც, რომელნიც დღევანდელი თვალთახედვით შეიმჩნევა; მაგა-
ლითად, ზოგიერთი ნორმა ან ცალკეული დებულება არა ძირითადი კანონით,
არამედ სხვა ნორმატიული აქტებით შეიძლება მოწესრიგებულიყო და სხვა,
მაგრამ ეს გარემოება ვერ ჩრდილავს საერთო პოზიტიურ აზრს.

საქართველოს რესპუბლიკის მომავალი კონსტიტუციით ტექსტზე მუშა-
ობისას, ვფიქრობ, ყურადღება უნდა მიექცეს 1921 წლის კონსტიტუციის 52-ე
მუხლს — „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის
ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას“. ჩვენს დღევანდელ ვითარე-
ბაში უზენაესი ხელისუფლების ერის კუთვნილებად გამოცხადებას დიდი პო-
ლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

კონსტიტუციით საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენა იქნა გა-
მოცხადებული (მუხ. 3); მაგრამ მან აღიქვა სამიოდე წლის განმავლობაში უკვე
გამოცემული და მოქმედი კანონებისა თუ წესების დებულებები ენის თაობაზე.

ქართული ენა სახელმწიფო ენად და ეროვნულ საბჭოში საქმის წარმოების
და კამათის ენად პირველად გამოცხადდა ეროვნული საბჭოს და მთავრობის
1918 წლის 1 ოქტომბრის „საქართველოს სახელმწიფო ენის“ კანონის შესაბა-
მისად, მაგრამ მას წინ უსწრებდა ორი აქტი, რომლებმაც ქართულ ენას ფაქ-
ტობრივად მიუჩინეს პრიორიტეტული ადგილი სახელმწიფო, კულტურულ თუ
მეცნიერულ ურთიერთობათა სფეროში.

ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადების შე-
სახებ 1918 წლის 3 სექტემბრის კანონით დამტკიცდა „ტფილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება“, რომლის მე-7 პარაგრაფი
სასწავლო (სალექციო და პრაქტიკული) მეცადინეობების ქართულ ენაზე წარ-
მართვას ითვალისწინებდა.

სასამართლო ხელისუფლების განხორციელება რესპუბლიკის შექმნის პირ-
ველივე დღიდან ქართულ ენაზე წარიმართა, უფრო ზუსტად, შეიცვალა ადრე

მოქმედი წესი. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის 1918 წლის 24 სექტემბრის კანონით სამოქმედოდ დაშვებულ იქნა 1912 წლის 25 ივნისის კანონი „ადგილობრივ სასამართლოს გარდაქმნის შესახებ“, რომელშიც რიგი დამატებები და ცვლილებები იქნა შეტანილი. კერძოდ, საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ არჩევის ერთ-ერთი ძირითადი პირობა ქართული ენის ცოდნა, სასამართლოებში საქმისწარმოების ქართულ ენაზე წარმართვა დადგინდა.

სახელმწიფო ენის სტატუსის დადგენის შემდეგაც რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოები სისტემატურად სპეციალურ ნორმატიულ აქტებში ითვალისწინებდნენ სახელმწიფო ენის ცოდნისა და ხმარების აუცილებლობას.

უკვე 1918 წლის 15 ოქტომბრის კანონით დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის დამატება „წესი ენის ხმარებისა“, რომლის პირველ მუხლში კვლავ ხაზგასმულია, რომ „პარლამენტის წევრები სიტყვას წარმოთქვამენ ქართული ენით“. იმავე წლის 22 ნოემბერს მიღებული დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების 58-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო ბარათებში საკანდიდატო სიის ტექსტი ქართულად იბეჭდებოდა, ხოლო 1919 წლის 14 და 17 იანვრის კანონებით „მსჯელობა, საქმის წარმოება და მიწერ-მოწერა ელაქის და ერობის თვითმმართველობაში“ — წარმოებდა სახელმწიფო ენით, ნაფიც მსაჯულად კი ირჩევდნენ პირთ, რომლებმაც ქართული ენა იცოდნენ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული ენის პრიორიტეტულობის დამკვიდრებას დიდი პოლიტიკური, ეროვნული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ვფიქრობ, გადამეტებული არ იქნება, თუ განვაცხადებთ, რომ ამ აქციებს შეიძლება საერთაშორისო მნიშვნელობის პრეტენზიებიც ჰქონდეთ.

საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული სახელმწიფოებრიობის, ენის და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მარტოდენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადებით ვერ შეიძინებოდა. იმპერიის საუკუნოვან „ნაღვას“ მარტოდენ კეთილი სურვილები ვერ დაუპირისპირდებოდნენ. საჭირო იყო საკანონმდებლო წესით რიგი აქციების გატარება, რათა ქართულ ენას დაბრუნებოდა თავისი ფუნქცია ერის დედობისა და ერის ქსოვილის აღდგენისა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ენის შესახებ ცალკეული საკანონმდებლო აქტების მიღება, შემდგომ სპეციალური კანონის გამოცემა და ბოლოს, კონსტიტუციურ დებულებად აღიარება, მისი სამართლებრივი რეგულირების, ენის განვითარების მიზნობრივ ხასიათს მოწმობს.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული ენის ჰეგემონიზაციის პრინციპების დამკვიდრება მიმდინარეობდა სხვა ერთა და მათი ენების მამართ პატივისცემის, სათუთად მოპყრობის ვითარებაში, ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალიების და ურთიერთობების გათვალისწინებით. ასეთი განცხადების საფუძველს თვით იმ პერიოდში გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზი გვაძლევს. რესპუბლიკაში ხდებოდა არა მარტო სახელმწიფო ენის, არამედ სხვა ენათა გამოყენების სამართლებრივი რეგულირება. ამის საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. უფრო სწორად, ყველა ის სამართლებრივი აქტი, რომელიც ქართული ენის ხმარებასა თუ გამოყენებას ეხებოდა, როგორც წესი, სხვა, უცხო ენათა ხმარება-გამოყენებასაც თვალისწინებდა. ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელსაც ქართული ენის ხმარება ეხებოდა, იყო უკვე ზემოთ ნახსენები „ტფილისის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება“. მის მე-7 პარაგრაფს, რომელიც სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ქართულ ენაზე წარმართული ითვისების წინადადებას, იქვე შენიშვნის სახით მნიშვნელოვანი დებულება ერთვოდა „განსაკუთრებულს შემთხვევაში პროფესორთა საბჭოს უფლება აქვს ნება დართოს ლექციების კითხვისა უცხო ენაზე“.

მართალია, 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით „სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების შესახებ“ გაუქმდა თბილისის ინსტიტუტის და გორის სემინარიის ეროვნული განყოფილებანი და თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონის და სოხუმის სემინარიები გამოცხადდნენ ქართულ სახელმწიფო სკოლებად, მაგრამ იმავე დროს გათვალისწინებული იყო სოხუმის სემინარიასთან აფხაზური განყოფილების გახსნა, სახელმწიფო ხაზინიდან შესაბამისი კრედიტების გაცემითა და კანონზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებით.

რესპუბლიკის სახელმწიფო ენისა და სხვა ენათა ხმარებისა და გამოყენების, მათი ურთიერთობის საკითხები რელიეფურადაა გამოკვეთილი ხელისუფლების სამივე შემადგენელი ნაწილის (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოების) საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში.

როგორც ცნობილია, საქართველოს რესპუბლიკაში ქართული ენა სახელმწიფო ენად გამოცხადდა 1918 წლის 1 ოქტომბრის კანონით. იგივე კანონმა გაითვალისწინა სხვადასხვა დაწესებულებებში ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების დადგენა ცალკე კანონით, რომლის მიხედვითაც ეროვნულ საბჭოში საქმის წარმოების და კამათის ენად ქართული იყო მიჩნეული, მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, რომლებმაც სახელმწიფო ენა არ იცოდნენ, დედაენაზე სიტყვის წარმოთქმის უფლება ენიჭებოდათ. ამგვარად, რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლის მიერ დედაენაზე სიტყვის წარმოთქმის უფლება კანონით იყო გარანტირებული. უფრო მეტიც, სახელმწიფო ენის კანონის მიღებიდან ორი კვირის შემდეგ, 15 ოქტომბერს დამტკიცდა პარლამენტში ენის ხმარების წესი, რომელმაც გაითვალისწინა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლის მიერ ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში (გარდა დედაენის) სხვა უმცირესობის ენაზე სიტყვის წარმოთქმის შესაძლებლობა ერთი პირობის დაცვით, თუ ეს ენა პრეზიდენტის ერთმა წევრმა მაინც იცის. ეს მცირე პირობა არ ვრცელდებოდა იმ შემთხვევებზე, თუ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი სიტყვას თავის დედაენაზე წარმოთქვამდა. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ბერძენი ერის წარმომადგენელს ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში, ბერძნულად სიტყვის წარმოთქმის უფლება ჰქონდა პარლამენტის პრეზიდენტის წევრთა მიერ ამ ენის ცოდნა არცოდნის შემთხვევაშიც, მაგრამ თუ იგივე ბერძენი დეპუტატი სიტყვას წარმოთქვამდა სომხურ, თათურ, აფხაზურ, რუსულ, ოსურ, ებრაულ, გერმანულ თუ სხვა ენაზე, ეს ენა პრეზიდენტის ერთ-ერთ წევრს მაინც უნდა სცოდნოდა.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება საარჩევნო ბარათებში საკანდიდატო სიის ტექსტის ქართულად დაბეჭდვას ითვალისწინებდა, მაგრამ სიის წარმომდგენ ჯგუფს უფლება ჰქონდა მინიჭებული სიის წარმოდგენასთან ერთად მოეთხოვა, რომ შესაბამის საარჩევნო ბარათში შეტანილი ყოფილიყო თარგმანი ტექსტისა იმ ენაზე, რომელსაც ჯგუფი უჩვენებდა. ასეთ შემთხვევაში ტექსტის თარგმნა ამ ჯგუფს ევალებოდა (მუხ. 58).



საკანონმდებლო წესით განმტკიცდა აგრეთვე ენის ხმარების წესი ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანიზაციებშიც. 1919 წლის 14 იანვრის კანონით — ქალაქის და ერთობის თვითმმართველობაში მსჯელობის, საქმის წარმოებისა და მიწერა-მოწერისათვის სახელმწიფო ენის მიჩნევასთან ერთად, ნებადართული იყო სხვა ადგილობრივი ენით სიტყვის წარმოთქმა და განცხადების შეტანა, თუ ასეთს ადგილობრივი თვითმმართველობა დაადგენდა. თუ რომელიმე თვითმმართველობის ფარგლებში მცხოვრებ რესპუბლიკის მოქალაქეთა ნახევარზე მეტისთვის სალაპარაკო ენა მხოლოდ ერთი რომელიმე არაქართული, ადგილობრივი ენა იქნებოდა, ასევე თვითმმართველობის ორგანოების დადგენილებით, მსჯელობისა და საქმის წარმოების ენად, სახელმწიფო ენასთან ერთად, შეიძლებოდა შემოღებულიყო ამ უმრავლესობის ენაც. ამ კანონში სპეციალურად ხაზგასმული იყო, რომ იგი არ ვრცელდებოდა სოხუმისა და სოჭის ოლქებზე.

სტატიის გამოქვეყნების დღისათვის საარქივო მასალებში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სპეციალურ რესპუბლიკურ ნორმას სოხუმის და სოჭის ოლქებში ენის ხმარების შესახებ. სავარაუდოა, რომ ეს საკითხები ადგილობრივი ორგანოების დადგენილებებით რეგულირდებოდა და სახელმწიფო ენასთან ერთად რუსული ენის სტატუსიც იგულისხმებოდა. ასეთი განცხადების საფუძველს გვაძლევს 1918 წლის 27 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულება. ამ დებულების 38-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო ბარათებში საკანდიდატო სიის ტექსტი იბეჭდებოდა რუსულ ენაზე. აქვე გათვალისწინებული იყო შემდეგი: „ჯგუფს, რომელმაც სია წარმოადგინა, შეუძლიან სიის წარდგენის დროს მოითხოვოს, რომ სათანადო საარჩევნო ბარათებში შეტანილი უნდა იქნეს თარგმანი იმ ენაზე, რომელსაც ჯგუფი უჩვენებს“. ასეთი მოთხოვნის განცხადებისას ჯგუფს ტექსტის თარგმანის წარდგენისა და მისი დაბეჭდვისათვის ტექნიკური საშუალების მითითება ევალებოდა. აღსანიშნავია, რომ იმდროინდელ სოხუმის ოლქში სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და ვაგარის, ხოლო სოჭის ოლქში სოჭის, ხოსტისა და ადლერის საქალაქო საბჭოები შედიოდა.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო ენის სტატუსი სასამართლო ხელისუფლების მარეგულირებელ აქტებშიც გვხვდება.

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის კანონის მე-11 მუხლის მიხედვით, იმ ადგილებში, სადაც სამომრიგებლო უბნის უმრავლესობა ან მნიშვნელოვანი უმცირესობა (არა ნაკლები 20%-სა) არაქართულ ენაზე ლაპარაკობდა, სამომრიგებელ მოსამართლედ, ქართული ენის გარდა, ამ სალაპარაკო ენის მეტადე უნდა ყოფილიყო, ხოლო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების შესაბამისად, ამ მოვალეობის შესასრულებლად ირჩევდნენ „მას, ვინც იცოდა ქართული ენა და წერა-კითხვა რომელსამე ენაზე“.

კანონი სასამართლო პროცესში ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების უზრუნველყოფასაც ითვალისწინებდა. იმ უბნებში, სადაც რესპუბლიკის მოქალაქეთა უმრავლესობა რომელიმე არაქართულ ენს ეკუთვნოდა, საქმის წარმოება, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი, ხდებოდა ქართულსა და უბნის უმრავლესობის ენაზე, თუმცა ოფიციალურ ტექსტად ქართული ითვლებოდა (მუხ. 17). იმ ოლქში, ან უბანში, სადაც არაქართველი ერის ნაწილი რესპუბლიკის მოქალაქეთა მნიშვნელოვან უმცირესობას (20%-ზე არანაკლებს) შეადგენდა, სასამართლოში ყოველგვარი ქალაქის შეტანა და სიტყვიერი განმარტე-

ბის მიცემა დაშვებული იყო უმცირესობის ენაზე. ამავე ენაზე უფლება ჰქონდათ განსაკუთრებული „სასყიდლის გაუღებლად“ მიეღოთ „ყოველგვარი სასამართლოს წესით განსაზღვრული ქაღალდების პირი“. თუ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებული, ხოლო სამოქალაქო საქმეში კი ორივე მხარე, მოითხოვდა საქმის გარჩევას არაქართულ ენაზე და მოსამართლემ ან მოსამართლეთა ყრილობამ იცოდა ეს ენა, საქმის სიტყვიერი წარმოება ამ ენაზე უნდა წარმართულიყო (მუხ. 18).

პატიმრებს დედაენაზე ყოველგვარი თხოვნებისა და განცხადებების შეტანის უფლებები ჰქონდათ მინიჭებული (მუხ. 19).

სასამართლოში ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების გარანტიები ორგანიზაციული ღონისძიებებითა და საშტატო განრიგებით იყო უზრუნველყოფილი. „სამომრიგებლო ინსტიტუტის დაწესებულებების ნუსხა“ და „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შტატები“ სპეციალურად ითვალისწინებდნენ საქალაქო, სამაზრო, საოლქო სასამართლოებში შტატიანი თარჯიმნების თანამდებობებს, როგორც მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობებისათვის, ასევე მომრიგებელ მოსამართლეებისათვის. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ამ საკითხებში, მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, სახელმწიფო მომჭირნეობას არ იჩენდა და მათი რაოდენობა 70 წლის შემდეგაც ვაოცებას იწვევს, მაგალითად, სიღნაღის მაზრის სამომრიგებლო ოლქში, რომელშიც ზაქათალის ოლქიც შედიოდა, ყრილობისათვის ერთი თარჯიმანი, ხოლო მომრიგებელი მოსამართლისათვის 9 თარჯიმნის საშტატო ერთეული იყო გათვალისწინებული (6 სიღნაღისათვის და 3 ზაქათალისათვის); თელავის მაზრის სამომრიგებლო ოლქში, რომელიც თელავისა და თიანეთის მაზრებს აერთიანებდა, ყრილობისათვის ერთი, ხოლო მომრიგებელ მოსამართლეებისათვის შესაბამისად 4 და 3 თარჯიმნის საშტატო ერთეული იყო გათვალისწინებული. თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში საშტატო 12 სასამართლო ყრილობის თავმჯდომარისათვის 12 თარჯიმანი იყო გათვალისწინებული, ხოლო 120 მომრიგებელი მოსამართლისათვის — 120 თარჯიმანი (ე. ი. ყველა მოსამართლეს თავისი თარჯიმანი ჰყავდა, რაზედაც საბჭოთერ სინამდვილეში ოცნებაც არ შეიძლებოდა).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალი საკანონმდებლო აქტის ძირითადი დებულებები ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ, რელიეფურად გამოიკვეთა საქართველოს კონსტიტუციის სპეციალურ მე-14 თავში, რომელსაც 9 მუხლი აქვს დათმობილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია აღიარებს, რომ არ შეიძლება შეიზღუდოს რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედაენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა. ყველას აქვს უფლება წეროს, ბეჭდოს და ილაპარაკოს დედაენაზე (მუხ. 129).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია აცხადებს, რომ ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად.

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით (მუხ. 130), ეროვნული უმცირესობის სკოლაში სწავლება ხდება ბავშვის სალაპარაკო ენაზე

(მუხ. 135), არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობის გამო (მუხ. 131).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია არა მარტო ზემოთ მოყვანილ პრინციპებსა და დებულებებს, არამედ მათი განხორციელების მატერიალურ (მუხ. 130) და სამართლებრივ (მუხ. 132) გარანტიებსაც აწესებდა.

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა, თვით კონსტიტუციის ჩათვლით, გათვალისწინებული იყო არა მარტო ქართველთა სოციალურ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, არამედ მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერისა და ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა ტოლერანტობისა და რელიგიური შემწყნარებლობის გარანტიად გამოდიოდა. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას, გარდა ბუნებრივ-ეკონომიკური პრინციპებისა, ზოგჯერ ეროვნულ-რელიგიურ სპეციფიკაც ედებოდა საფუძვლად. კონსტიტუციის სპეციალური მე-11 თავი ავტონომიურ მმართველობას ითვალისწინებდა. მისი 107-ე მუხლი, აღიარებდა რა აფხაზეთის (სოხუმის ოლქს), „სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარეს)“ და ზაქათალის (ზაქათალის ოლქს) — საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად, ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლებებს ანიჭებდა. ასევე კონსტიტუციურად იყო განმტკიცებული პრინციპი იმის შესახებ, რომ „არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა“ (მუხ. 143).

დემოკრატიულ საქართველოში დამკვიდრებული ეროვნული თანამეგობრობის და რელიგიური ურთიერთპატივისცემის სულისკვეთების განმტკიცებას ხელს უწყობდა არა მარტო მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ფესვები, არამედ რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ყველა სამართლებრივი ინსტიტუტები.

სამართლებრივ ურთიერთობებში ერთა და სარწმუნოებათა თანასწორობის უზრუნველყოფა „მოქალაქეობის“ ინსტიტუტის დამკვიდრებით ხდებოდა. მას დასაბამი მიეცა დამოუკიდებლობის აქტის მე-5 მუხლში ამ ცნების აღიარებით, მაგრამ „მოქალაქეობა“ ეს საქართველოს მოსახლეობის, მის ხალხთა მართოდენ ტერიტორიული იგივეობას ან თანაბრობას კი არ ნიშნავდა, არამედ მას შესაბამისი ნდობის მანდატის აღჭურვილ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად, შესაბამისი უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად აქცევდა.

დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი საკანონმდებლო აქტი 1918 წლის 2 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის“ კანონი გვარდიაში შესვლის უფლებას ანიჭებს რესპუბლიკის ყველა მსურველ უმცროს კვლ და ერთგულ მოქალაქეს⁷. იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო გვარდია, განსაკუთრებით რესპუბლიკის დაბადების პირველ დღეებში, თავისუფლებისა

7. მართალია, უკვე 1918 წლის 20 აგვისტოს მიღებულ სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსების ძირითადი დებულების შესაბამისად, მაჰმადიან მოქალაქეებზე ვრცელდებოდა სამხედრო ბეგარა, მაგრამ ეს აქტი არაქრისტიანული რელიგიისადმი შემწყნარებლობის, მაჰმადიანთა ტრადიციებისადმი ანგარიშის გაწევისა და პატივისცემის გამოხატვის სამართლებრივი დასტური იყო. ეს პოზიცია აისახა კიდევ კონსტიტუციაში (31-ე მუხლის მესამე ნაწილი და 94-ე მუხლი).



და დამოუკიდებლობის დაცვის სიმბოლო იყო (იგი წითელი გვარდიის ბრძოლაზე შეიქმნა), მასში გაწევრიანების (იარაღის ხელში აღების) ნდობის გამოხატულებაა. დიდ დემოკრატიულ აქციად შეიძლება მივიჩნიოთ. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის კონკრეტული ისტორიულ-პოლიტიკური, აგრეთვე გეოგრაფიულ-გარემო, რომელსაც ემთხვევა ამ ნორმატიული აქტების მიღება. პირველი მსოფლიო ომის ქარ-ცეცხლი, რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი, საქართველოს ფარგლებში თურქეთის, ინგლისის, გერმანიის, აგრეთვე, რუსეთის დროინდელი და საბჭოთა რუსეთის ჯარების ნაწილების თარეში თითქოს დემოკრატიული, ერთაშორისი თანასწორუფლებიანობის აღიარების აქტივებისათვის არ განაწყობდა ახალშობილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ყურადსადება ის გარემოება, რომ გვარდიის შექმნის მომენტისათვის რესპუბლიკის მოქალაქეობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი გამოცემული არ იყო. ასეთი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ, 16 ივლისს იქნა მიღებული ეროვნული საბჭოს და მთავრობის მიერ, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის (ქვეშევრდომობის) დებულების“ სახით.

დებულების პირველი მუხლის შესაბამისად „ყოველი მკვიდრი, მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, არის საქართველოს მოქალაქე“. ამგვარად, მოქალაქეობის ძირითად ამოსავალ წერტილად აღებულია მკვიდრობის და რეალურად ცხოვრების პრინციპი. შენიშვნის სახით, დებულება განმარტავს მკვიდრის ცნებას „ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ)“⁸. როგორც ვხედავთ, ეს შენიშვნაც ორ მნიშვნელოვან პრინციპს ეყრდნობა: ადმინისტრაციულ აქტს—მიწერას (ჩაწერას), განსაზღვრულს გარკვეული ვადით.

დებულებამ გამორიცხა ორმაგი მოქალაქეობის შესაძლებლობა (მუხ. 2). და რესპუბლიკის მოქალაქე აღიარა პოლიტიკური უფლებების მატარებელ ერთადერთ სუბიექტად. აქვეა განსაზღვრული პოლიტიკურ უფლებათა ძირითადი არსი „აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებისათვის და სხვა“.

საარქივო მასალები მოწმობენ, რომ მოქალაქეობის მარეგულირებელი აქტის მიღებას ეროვნული საბჭო და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინაიდან მასზე იყო დამოკიდებული მთელი რიგი კანონპროექტების განხილვა-მიღების ბედი, რაც თავის მხრივ, მათ აიძულებდა იმ მომენტისათვის შექმნილი პოლიტიკური, ისტორიული, გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ა. შ. გარემოებანი.

ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიის წევრის შალვა მიქელაძის მიერ 1918 წლის 11 ივლისის კომისიის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში „ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა პროპორციული წარმომადგენლების შესახებ“ აღინიშნა, რომ კანონპროექტის წარდგენა ამ საკითხზე შეუძლებელი იყო იმ დრომდის, ვიდრე საქართველოს ეროვნული საბჭო არ მიიღებდა კანონს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობისას, ვინაიდან „ყოველად წარმოუდგენელი და შეუფერებელი იქნებოდა, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად გამხთარყო ისეთი პირი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ არ იყავოდა“.

მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინა-

⁸ გერმანიის მიერ რუსეთისადმი ომის გამოცხადების თარიღი.



რობდა სხვადასხვა კომისიაში, მთავრობაში და რა თქმა უნდა, თვით ეროვნულ-დემოკრატიულ საბჭოშიც. საკონსტიტუციო კომისიის მიერ განსახილველად წარდგენილ ექტში რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის მქონე შესწორება და დამატება იქნა შეტანილი. ის მრავალი ასპექტი, რომლებიც კანონპროექტის დედაარსში იყო ჩაქსოვილი, ნათლად ჩანს იუსტიციის მინისტრის შალვა მესხიშვილის მოხსენებაში, რომელიც გაკეთდა ეროვნული საბჭოს სხდომაზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა განსაკუთრებულ პირობებში, რომ ამ „დიდი აქტის“ დროს დაახლოებითაც კი არ იყო აღნიშნული რესპუბლიკის საზღვრები, ხოლო მოქალაქეობის საკითხის გამორკვევისათვის კი ტერიტორიას „უპირატესი მნიშვნელობა აქვს“, რომ ომმა და რუსეთის რევოლუციის „არაჩვეულებრივმა პირობებმა აუარებელ ხალხს მოუყარა თავი იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს საქართველოს საზღვრებში შედის და ამ ხალხის დიდი ნაწილი სრულიადაც არ არის რაიმე ორგანული კავშირით გადამშული ჩვენს ახალ რესპუბლიკასთან“. ასეთ პირობებში იუსტიციის მინისტრმა ეროვნული საბჭოს წინაშე დასვა კითხვები, რომლებიც აუცილებლად წარმოიშვება მოქალაქეობის საკითხზე მსჯელობისას: „შეიძლება ყველა აქ მცხოვრების გამოცხადება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ? შეიძლება მოქალაქედ გამოცხადდეს ის, ვინც ომმა გამოსტყორცნა აქეთ ან შემთხვევით სამშობლოში დევნამ მოაქებინა აქ მყუდრო ადგილი? იგი ხომ არსებითად მხოლოდ სტუმარია, თუნდაც მისი აქ ცხოვრება ამა თუ იმ ვადაში განუწყვეტლივი იყოს“.

დემოკრატიული საქართველოს კანონმდებლები დიღემის წინაშე იდგნენ — ერთი მხრივ, არ წაერთმიათ მოქალაქეობა იმათთვის, ვისაც ის სამართლიანად ეკუთვნოდა და მეორე მხრივ, ძალით არ მოეხვიათ იგი ვინმესათვის, „ვინც დღეს სტუმრად თვლის თავის თავს ჩვენში“. კანონმდებელნი ითვისდნენ იმ გარემოებასაც, რომ მოქალაქეობის მიღების მარტოოდენ კერძო პირთა ნება-სურვილი საკითხს ვერ გადაწყვეტს, რადგან გამორიცხული არ არის იმ სახელმწიფოთა უკმაყოფილების გამოწვევა, რომლებიც მათ თავიანთ მოქალაქეებად მიიჩნევენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ეროვნულ საბჭოს წარედგინა მოსაზრება, რომ „ქვაკუთხედად მიეღო რაიმე ისეთი ფაქტი, რომელშიაც ერთი მხრივ, ისახება მცხოვრებთა ნებისყოფა და რომელსაც მეორე მხრივ, სახელმწიფოებრივი ნიშანდობლობის ხასიათი აქვს“. სადაო არ იყო საკითხი და ყველასთვის აშკარა იყო, სახელდობრ ის, რომ „ახალ აღორძინებულ“ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ მიჩნეული უნდა ყოფილიყო ადგილობრივი მკვიდრი (კანონპროექტის პირველ ვარიანტებში „ბინადარი“), ვინც „ძველთაგანვე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა“. ასეთებად კი მიჩნეულ იქნენ ქართველების გარდა „ნაწილი სომხების, მუსულმანებისა და ზოგი მთიული ტომები“.

მინისტრის მოხსენებიდან ირკვევა, რომ „მკვიდრად“ აგრეთვე მიიჩნევენ იმ პირთ, ვინც საქართველოს ტერიტორიას რუსეთის ასი წლის მფლობელობის დროს შემოეკედლა, „აქ აქვთ ოჯახი, სახლ-კარი, მეურნეობა, სხვა ტერიტორიაზე არაფერი გააჩნიათ, ადგილობრივ მაცხოვრებლად გადაიქცნენ, ხოლო საქართველო სამშობლოდ ექცათ“.

ბ-ნი შ. მესხიშვილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ მარტოოდენ „მკვიდრობის“ პრინციპით მოქალაქეობის საკითხის გადაწყვეტა ვერ იქნებოდა სრულიყოფილი, იგი რიგ პრაქტიკულად გადაულახავ სირთულეებთან იქნებოდა დაკავ-

შირებული, განსაკუთრებით კი, ორგანიზაციული ხასიათისა. რესპუბლიკის პარტი
ვაჩნდა რაიმე მასალა მკვიდრობის შესახებ, ხოლო თითოეული გვარის და რჯა-
ნის წარსულის ისტორიული გამოკვლევის ჩატარება „სიზიფეს შრომა იქნე-
ბოდა“.

მოქალაქეობის თვისებრივი ნიშნის ძიებაში ეროვნულ საბჭოს შეეთავაზა
ადმინისტრაციული საზომი — ჩაწერის პრინციპი. ეს გზა არა მარტო აადვილებ-
და რუსეთის გუბერნიისა თუ მაზრის ტერიტორიაზე მიწერილთა გამოკვლევას,
არამედ იგი შეიცავდა თვით პირის ერთგვარი ნებისყოფის გამოხატვას, რომლი-
თაც მან თავისი ცხოვრება ამ ადმინისტრაციულ ერთეულს დაუკავშირა. იუს-
ტიციის მინისტრმა დააყენა რამდენიმე საკითხი, რაც ბინადრობასთან იყო და-
კავშირებული. მოქალაქედ ცნობისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა ადგილობ-
რივ მაცხოვრებლად მიწერა რესპუბლიკის გამოცხადების დღისათვის, უცხო-
ელთათვის საქართველოს მოქალაქეობის უფლების აღსაძრავად 5 წლის ცხოვ-
რების ცენზის დაწესება და სხვა საკითხები.

ეროვნულმა საბჭომ მთავრობის წინადადებით საცხოვრებელი ცენზის გა-
მოსათვლელად პირველი მსოფლიო ომის დაწყების პერიოდი აიღო, დებულე-
ბაში სხვა დეტალების განსაზღვრას განერიდა, ხოლო უცხოელთა მიერ საქარ-
თველოს მოქალაქეობის მიღების და საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის
პირობების განსაზღვრა ცალკე კანონს მიანდო.

ასეთი კანონი — „კანონი მოქალაქეობისა“ მიღებული იყო დამფუძნებელი
კრების და მთავრობის მიერ 1919 წლის 27 მაისს, რომელმაც ათვისა „დებუ-
ლების“ ძირითადი მუხლები და მკვიდრობისა და მიწერის თაობაზე უფრო
დეტალურად განსაზღვრა სხვა პირების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მი-
ღების წესი და რიგი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობის დებულების
ტექსტის და დღეს მიკვლეული მწირო საარქივო მასალების ანალიზი გვაძლევს
საფუძველს, გამოვთქვათ მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკ-
რატიულ რესპუბლიკას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ დამოუკიდებელი
სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტის დამკვიდრებისათვის საჭირო იყო გადა-
უდებლივ ისეთი პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტის დამკვიდრება, რო-
გორცაა მოქალაქეობა, რომ ამ ამოცანის განხორციელება უნდა მოხდეს საქარ-
თველოს ისტორიული წარსულის, დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინე-
ბით და მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების დაცვით, რომ ამ ამოცანის შეს-
რულებას არ გამოეწვია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მითვისება, მათი უფ-
ლებების უზურპაცია; რომ ამ ამოცანის გადაწყვეტას არ მოეხდინა სახელმწიფო-
თა შორის უკმაყოფილება და უსიამოვნება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა და ეროვნუ-
ლი პრობლემების შესახებ კანონმდებლობის ზემოაღნიშნული მიმოხილვა მხო-
ლოდ მცირე ნაწილია იმ მდიდარი მემკვიდრეობისა, რაც დემოკრატიულმა
რესპუბლიკამ დატოვა და რომელიც 1990 წლისათვის იუსტიციის სამინისტროს
მუშაკების მიერ მიკვლეული იქნა სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდებში
და მათ მიერვე მომზადებულ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სა-
მართლებრივი აქტების კრებულში“ იქნა მოთავსებული.

გაოცებას იწვევს ისტორიულად უმოკლეს პერიოდში მიღებული საკანონ-
მდებლო აქტების სიმრავლე, მათი მაღალი სამართლებრივი კულტურის დონე,
პრობლემემატიკის ფართო სპექტრი, პოლიტიკური და ეროვნული ხედვა. დასა-

ხელეული კრებულის ანოტაციაში მოტანილი ეს შეფასება სპეცრედაქტორის უფლებით მასზე მუშაობისას გამოვთქვით და დღესაც მასვე ვადასტურებ. ეს მომავალშიც მრავალჯერ გავიმეორებთ. საკანონმდებლო მემკვიდრეობა გვაძლევს ამის მორალურ უფლებას. რაოდენობრივი მხარის დასტურად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტების შედარება გამოდგება. მე-20 საუკუნის მიწურულს, სამართლებრივი კულტურის, აზროვნების, ტექნიკის, მატერიალურ და სხვა თანამედროვე საშუალებათა გამოყენებით, უმაღლესმა საბჭომ ორი წლის განმავლობაში 1989 წლის ივნისიდან სულ 113 კანონი მიიღო, ხოლო დემოკრატიული საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, პარლამენტმა თუ დამფუძნებელმა კრებამ (რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს ასეთი თანმიმდევრობით შეეცვალა სახელი) საუკუნის დამდეგს, პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების პერიოდში, ახალშობილი დემოკრატიული სახელმწიფოს შენების 1918 წლის 26 მაისიდან 1921 წლის თებერვლამდე არასრული სამი წლის პერიოდში კი — 150-მდე საკანონმდებლო აქტი.

რაც შეეხება მიღებული აქტების სამართლებრივი კულტურის, პრობლემატიკის, პოლიტიკური და ეროვნული საკითხების ხედვას, სპეციალისტი მას ადვილად დაინახავს და შეაფასებს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი პარლამენტის ნებისმიერი წევრი ახალ კანონზე იუშობისას, ვიდრე სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო გამოცდილებას გაეცნობა, უთუოდ დაინტერესდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ბანკში შენახული მემკვიდრეობით. ყოველ შემთხვევაში, რიც ახლადმიღებულ კანონში ამ მემკვიდრეობის გავლენა აშკარად იგრძნობა.

ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს გამოთქვით მოსაზრება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალშემოქმედება სპეციალურ მიზნობრივ, მეცნიერულ კვლევას მოითხოვს, ხოლო უკვე არსებული მასალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ხტუდენტებისათვის კი სპეცკურსის, ფაკულტატური წესით სწავლების შემოღების საფუძველს.

ეს საკითხები უფლებამოსილი ორგანიზაციების ყურადღებასა და სპეციალურ გადაწყვეტას მოითხოვს.

ვგვიკრობთ, საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს სამართლის ისტორიული მემკვიდრეობის შესასწავლად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქურონალ „სამართალში“ სპეციალური რუბრიკის შემოღებას.



ახალი ლორია

სამართალდარღვევის ცნება

საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობს მთელი წყება მოვლენებისა, რომლებიც ხელს უშლიან მის ნორმალურ განვითარებას და აფერხებენ მასში მიმდინარე პროგრესულ ტენდენციებს. აღნიშნულ მოვლენათაგან უმნიშვნელოვანესია სამართალდარღვევა. იგი ყველაზე დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, რის გამოც მასთან ბრძოლისათვის საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებთან ერთად საჭირო ხდება სახელმწიფოს ჩარევაც, რაც ხორციელდება სამართალშეფარდებითი საქმიანობით. სამართალდარღვევის საშიში ბუნება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იგი არის შეგნებული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც იწვევს უარყოფით შედეგებს და ამიტომაც მის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა უმთავრესი მიზანია სწორედ ადამიანთა შეგნებაზე შესაბამისი დადებითი გავლენის მოხდენა.

მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა სამართალდარღვევის ცნებას და მასზე მსჯელობა შესაძლებელი ხდება სამართალდარღვევისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ანალიზის საფუძველზე.

როგორც ცნობილია, სამართალდარღვევა მოიცავს სხვადასხვა სახის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებს, როგორიცაა: დანაშაული, სამოქალაქო სამართალდარღვევა, დისციპლინური და ადმინისტრაციული გადაცდომა. მართალია, ყოველი მათგანი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც განსხვავებენ მათ ერთმანეთისაგან, მაგრამ აქვთ ისეთი ნიშნებიც, რომლებიც საერთოა ყველასათვის. სწორედ ეს ნიშნები განსაზღვრავენ სამართალდარღვევას, როგორც ასეთს, ერთ მთლიანობაში (ზოგადად) და ახდენენ მის გამოჩვენას სხვა ისეთი ანტისაზოგადოებრივი ქცევებისაგან, როგორცაა ამორალური საქციელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის შიდადისციპლინური დარღვევა და სხვა.

სამართალდარღვევის ცნების ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მოკლედ განვიხილოთ მისთვის დამახასიათებელი ზოგადი, გარეგანი ნიშან-თვისებები, რომლებსაც იურიდიულ ლიტერატურაში სხვაგვარად აღწერილობით ნიშნებსაც უწოდებენ¹.

სამართალდარღვევის სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ადამიანები ან მათი ორგანიზაცია (იურიდიული პირი). ამასთან, როდესაც პიროვნებაზე ვმსჯელობთ, აუცილებელია იგი სათანადო ასაკს მიღწეული და ქმედუნარიანიც იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ერთი მისი მოქმედება, რაც არ უნდა მიხედ

¹ Самощенко И. С., Понятие правонарушения по советскому законодательству, М., 1963, стр. 7, 19.

შედეგი მოჰყვეს მას, სამართალდარღვევად ვერ ჩაითვლება. პიროვნების ქმედუნარიანობის ქვეშ იგულისხმება მისი უნარი ანგარიშს უწევდეს საკუთარ საქციელს (ქმედობას) და ხელმძღვანელობდეს (მართავდეს) მას. არაქმედუნარიანი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი (ე. ი. შესაბამისი ასაკის არმქონე) და ადამიანი, რომელსაც სულიერი თუ სხვა დაავადების გამო არ შეუძლია ვაითვითცნობიეროს, თუ რას სჩადის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს შეზღუდულ ქმედუნარიანობასაც. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, მართალია, არაქმედუნარიანი პირის მიერ ჩადენილი ქმედება სამართალდარღვევად არ არის მიჩნეული, მაგრამ არამართლოზომიერ მოქმედებად მაინც ითვლება².

ვფიქრობთ, არ შეიძლება დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, რადგან სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ ბრალეული ქმედების საშუალებით, ეს უკანასკნელი კი შეუძლებელია ჩადენილ იქნეს იმ პირის მიერ, ვისაც ამის უნარი არ გააჩნია, ე. ი. არაქმედუნარიანია. ამასთან, უაზრობაა არამართლოზომიერი ქმედება არ მივიჩნიოთ სამართალდარღვევად, ვინაიდან სამართალდარღვევა ბრალეული დარღვევაა.

რაც შეეხება საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათი ქმედუნარიანად აღიარება ხდება ნებისმიერი მათგანის იურიდიულ პირად ცნობის მომენტიდან.

აღიარებულია, რომ სამართალდარღვევა არის მოქმედება ან უმოქმედობა, ე. ი. ქცევა ადამიანებისა და არა მათი აზრი, შეხედულება, ფიზიკური თუ სოციალური მდგომარეობა და ა. შ. ამასთან, არ შეიძლება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად გამოცხადდეს შემთხვევა ან ბუნებრივი მოვლენა (მაგალითად, სტიქიური უბედურება). ესაა ობიექტური შერაცხვის უარყოფა.

აქედან გამომდინარე, პიროვნება არ შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცეს ბიოლოგიური თვისებების, სოციალური მდგომარეობის, რასობრივი თუ რელიგიური კუთვნილების გამო.

ეს პრინციპი საბჭოთა კანონმდებლობაში ყოველთვის როდია დაცული. მხედველობაში გვაქვს სინდისის თავისუფლება (სსრ კავშირის კონსტიტუციის 52-ე და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 50-ე მუხლები); მოქმედი კანონმდებლობა მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ზღუდავს აღნიშნულ თავისუფლებას და დასახელებულ პრინციპებს იგი ერთგვარად ეწინააღმდეგება. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლით ისჯება ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევისაგან თავის არიდება რელიგიური მოტივით; ხომ შეიძლება რელიგიური რწმენა მოქალაქეს უფლებას არ აძლევდეს შეასრულოს სამხედრო პირის მოვალეობანი. ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მცნებაა „არა კაც ჰკლა“. ამ საბაბით პირმა შეიძლება უარი თქვას სამხედრო სამსახურზე, სადაც საყარაულოდ (საგუშაგოზე) ყოფნისას შეიძლება მოუწიოს დაუმორჩილებელი მოქალაქის მოკვლა, ეს კი ეწინააღმდეგება მის რელიგიურ მრწამსს.

სამართალდარღვევის ობიექტად გვევლინება მართლწესრიგი. მართლსაწი-

² Денисов А. И., Основы марксистско-ленинской теории государства и права, курс лекций, прочитанных в ВПШ при ЦК ВКП(б), М., 1948, стр. 416. Случкий И. И., Обстоятельства, исключающие уголовную ответственность, изд. ЛГУ, 1956, стр. 9.



ნააღმდეგო ქმედობა კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში ყოფით ზიანს აყენებს როგორც მთელი ხალხის, ისე ცალკეულ პირთა და ორგანიზაციათა ინტერესებს.

როგორც აღვნიშნეთ, ყველა სამართალდარღვევა არამართლზომიერი (მართლსაწინააღმდეგო) მოქმედება ან უმოქმედობაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი სამართალდარღვევად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად ამისა, არსებობს ქმედებები, რომლებიც გარეგნულად (ობიექტურად) მართლსაწინააღმდეგონი არიან, მაგრამ სამართალდარღვევის შემადგენლობას არ შეიცავენ და შესაბამისად, იურიდიულ პასუხისმგებლობასაც არ იწვევენ, რადგან პასუხისმგებლობა არ შეიძლება არსებობდეს სამართალდარღვევის შემადგენლობის გარეშე, კერძოდ, ბრალის გარეშე.

ამასთან დაკავშირებით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის აუცილებლად ბრალეული პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ. კერძოდ, ი. სამოშჩენკო წერს: „მაგრამ საბჭოთა სამართალი ზოგჯერ უშვებს პასუხისმგებლობას ისეთი ქმედებისათვისაც, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა მხოლოდ გარეგნულად. ასეთ პასუხისმგებლობას (მართალია, არაპერსონალური ხასიათისა) იცნობს ჩვენი სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საპროცესო და საკოლმეურნეო სამართალი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის, კასამართლო ორგანოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი ორგანოების უკანონო აქტებისა და გადაწყვეტილებების გაუქმების სახით“³. ავტორის მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ თურმე უკანონო აქტებისა და გადაწყვეტილებების გაუქმება არაბრალეულ პასუხისმგებლობას მიეკუთვნება, რაც არასწორია. საქმე ისაა, რომ უკანონო აქტების გაუქმება ზემდგომი ორგანოების კომპეტენციაა, მოვალეობაა. ასეთი გაუქმება პასუხისმგებლობას არ იწვევს, რადგან გამოიცილება ქვემდგომი ორგანოს თუ თანამდებობის პირის ბრალი. უკანონო აქტის გაუქმებისას, თუ ადგილი აქვს ქვემდგომი თანამდებობის პირის ბრალს, პასუხისმგებლობა დგება ჩვეულებრივ, როგორც ბრალეული სამართალდარღვევისათვის. ასე რომ არ იყოს, მაშინ ვერც ერთი თანამდებობის პირი მმართველობის აქტს ვერ გამოსცემდა დასჯის შიშით. ცხოვრება იმდენად რთულია, რომ ზოგიერთი საკითხი მეტად ძნელი გადასაწყვეტია; რომლის დროსაც თანამდებობის პირი, მოსამართლე თუ სხვა უშვებს შეცდომას, რაც მისი ცოდნისა და ინტელექტის ფარგლებს სცილდება. ასეთი შეცდომა კი უნდა გაასწოროს ზემდგომმა ინსტანციამ, რომელიც იმიტომაც ზემდგომი, რომ შეუძლია გაერკვეს შეცდომაში და გამოასწოროს იგი. ყოველივე ეს კი არავითარ კავშირში არ არის იურიდიულ პასუხისმგებლობასთან. ამავე დროს, მოცემულ შემთხვევაში იურიდიული იძულება გამოიცილება, რომლის გარეშეც არ არსებობს პასუხისმგებლობა⁴.

გაკრიტიკებული მოსაზრების მომხრენი არაბრალეული პასუხისმგებლობის სხვა მაგალითსაც გვთავაზობენ, კერძოდ, მომეტებული საფრთხის წყაროთი წიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევას (სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 90-ე

³ ი. სამოშჩენკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

⁴ ი. სამოშჩენკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 12-13;

Общая теория советского права, М., 1966, стр. 391—393.



მუხლი და საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 463-ე მუხლი). თავიანთ შეხედულებას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ სამართალდამცველ ევგენს უარყოფითი დამოკიდებულება არა აქვს დამდგარ ზიანთან. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანთა შეგნებულ საქმიანობასთან (ქმედებასთან) და აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქმედება შეიძლება შეფასდეს სამართლის კრიტერიუმებით, ვინაიდან არსებობს უშუალო მიზეზობრივი კავშირი აღნიშნულ საქმიანობასა და დამდგარ შედეგს შორის და ა. შ. ამდენად მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის ბრალი სახეზეა. ყველა არგუმენტის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც მოხსენიებული შეხედულება, ისე მისი არგუმენტაციის გარიანტები არასწორია და მათი გაზიარება არ შეიძლება, რადგან ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი ჩვენი სამართლის (და საერთოდ სამართლის) ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული პრინციპია და ამიტომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია კაცობრიობის ისტორიაში; მისი უარყოფა ან მისგან გადახრა უდიდესი შეცდომა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმისათვის რეალური საფუძველი არც არსებობს.

მართლაც, თუ აღნიშნულ მაგალითს უფრო დაკვირვებით და ღრმად გავანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ამ დროს სულაც არა გვაქვს საქმე, არაბრალეულ პასუხისმგებლობასთან, როგორც თვით ი. სამოშჩენკო შენიშნავს, მომეტებული საფრთხის შემცველი საქმიანობა სავსებით მართლზომიერია და მხოლოდ ამ საქმიანობით მიყენებული ზიანი არის არამართლზომიერი, ე. ი. პასუხისმგებლობის გამომწვევი⁵. ისმის კითხვა, მაშ რაღა იწვევს ზიანის არამართლზომიერებას? თუ ი. სამოშჩენკოს ვენდობით. ამის მიზეზი მიზეზობრივი კავშირის არსებობა და ის გარემოება უნდა იყოს, რომ აქ საქმე გვაქვს ადამიანის შეგნებულ, გათვითცნობიერებულ საქმიანობასთან. მაგრამ, როგორც ვიცით, პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით არ შეიძლება.

მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მაგალითის გაიგივება არ შეიძლება დამზღვევის მიერ (დამზღვეულისათვის) სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების მაგალითთან, როგორც ამას აკეთებს ნ. ალექსანდროვი⁶. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იურიდიულ პასუხისმგებლობასთან, არამედ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან.

როგორც ნათქვამიდან ჩანს, ზემოთ გადმოცემული მოსაზრება მართლაც ვერ პოულობს რეალურ დასაბუთებას. ბუნებრივია დაისვას კითხვა: მაშ რაღაა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი? პასუხისმგებლობა რომ არსებობს, ეს ფაქტია და მას ვერ უარყოფთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბრალის არსებობასთანაც. თავისთავად, საქმიანობის მომეტებული საფრთხის (საშიშროების) შემცველად აღიარება ნიშნავს არასასურველი (საშიში) შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინებასაც, მაგრამ ტექნიკის გამართულობის,

⁵ ი. სამოშჩენკო, დასახ. ზემოთ, გვ. 14.

⁶ Александров Н. Г., Законность и правоотношения в советском обществе, Госюриздат, 1955, стр. 168.

მუშაკთა კვალიფიკაციის მაღალი დონის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით მომეტებული საშიშროების წყაროს მფლობელი ვარაუდობს, რომ შეძლებს აღნიშნული შედეგის თავიდან აცილებას (გაუფრთხილებლობის სახე — თვითიმედოვნება).

ამ მოსაზრების სისწორეზე თვით კანონმდებლობაც მეტყველებს. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 463-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ მომეტებული საშიშროების წყაროს მფლობელი ვერ დაასაბუთებებს, რომ ზიანი დაღვა დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თვით დაზარალებულის განზრახვით, ე. ი. თუ ვერ დაასაბუთებებს საკუთარ არაბრალეულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ამის აღნიშვნა კანონში საჭირო აღარც იქნებოდა, რადგან არაბრალეულობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მაინც დადგებოდა.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდარღვევა არის საზოგადოებრივად საშიში ქმედება და ეს ნიშანიც განასხვავებს მას სხვა ანტისაზოგადოებრივი ქცევებისაგან (მაგ. ამორალური საქციელი). თუმცა, მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი ახასიათებს მხოლოდ დანაშაულს, დანარჩენი სამართალდარღვევები კი საზოგადოებრივად მაგნე ქმედებებია⁷. ვფიქრობთ, არ შეიძლება დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, ვინაიდან მაგნე შედეგი და საზოგადოებრივი საშიშროება ერთიანი იგივეა. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას და უკვე აღძრული უნდა შეწყდეს იმ პირის მიმართ, რომელსაც საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ, კანონის თანახმად, შეიძლება დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. აქედან ვასკვნით, რომ კანონი საზოგადოებრივად საშიშად თვლის ისეთ ქმედებასაც, რომელიც საზოგადოებრივად საშიშია, მაგრამ სამართალდარღვევა არ არის. მაშასადამე, თუ ისეთი ქმედება, რომელიც საერთოდ არ არის სამართალდარღვევა, შეიძლება იყოს საზოგადოებრივად საშიში, ასეთი მით უფრო უნდა იყოს, და არის კიდევ, დამახასიათებელი ყველა სამართალდარღვევისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სამართალდარღვევის ცნება — სამართალდარღვევა არის ფიზიკური ან იურიდიული პირის, ან სხვა ორგანიზაციის საზოგადოებრივად საშიში, არამართლზომიერი, ბრალეული ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს არსებულ მართლწესრიგს და რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია იურიდიული პასუხისმგებლობა.

სამართალდარღვევის ცნება ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენება და მოიცავს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ მოქმედებათა (ან უმოქმედობათა) სხვადასხვა სახეს. იურიდიულ მეცნიერებაში ძირითადად მიღებულია სამართალდარღვევათა ოთხ სახედ დაყოფა: დანაშაული, ადმინისტრაციული გადაცდომა, დისციპლინური გადაცდომა და სამოქალაქო სამართალდარღვევა. კლასიფიკაციის ასეთ სახეს ყველა მეცნიერი არ ეთანხმება და გვთავაზობენ დაყოფის სხვადასხვა ვარიანტს.

⁷ Дурманов Н. Д., Понятие преступления, М., 1948, стр. 135; Общая теория советского права, 1966, М., стр. 408—410.



მაგალითად, მ. კარევა და ს. კეჩეკიანი სამართალდარღვევებს ორ ჯგუფად დასჯი-
 ჰყოფენ: გადაცდომად (როგორც დისციპლინური, ისე ადმინისტრაციული) და დანაშაულად. ასეთი დაყოფის საფუძვლად მათ მიაჩნიათ მართლსაწინააღმდეგო
 ქმედებათა ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი⁸. ასეთი კლასი-
 ფიკაცია საყურადღებოა იმით, რომ ავტორები ხაზს უსვამენ საზოგადოებ-
 რივი საშიშროების ხარისხობრივ თვისებას, რაც უდავოდ დამახასიათებელია ყო-
 ველი სამართალდარღვევისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული და-
 ყოფა, ვფიქრობთ, მთლად უნაკლო არ უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მას-
 ში გათვალისწინებული არ არის სამართალდარღვევის ისეთი სახე, როგორცაა
 სამოქალაქო სამართალდარღვევა.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებისაა რ. შიუსელერი, რო-
 ზელსაც მიაჩნია, რომ სამართალდარღვევათა კლასიფიკაცია უნდა მოხდეს გა-
 რეგული ფორმის მიხედვით, რაც მას სამართლებრივ ფორმად მიაჩნია; სა-
 მართალდარღვევას იგი განმარტავს როგორც სამართლის დარღვევის ნორმათა
 დარღვევის სახეებს⁹.

ამ მსჯელობიდან გამოდის, რომ არსებობს უამრავი სახის სამართალდარ-
 ღვევა, მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სამოქალაქო კანონ-
 მდებლობის, შრომის კანონმდებლობისა და საპროცესო კანონმდებლობათა
 დარღვევები და სხვა.

ამასთან, იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც, რო-
 შლის მიხედვითაც, სამართალდარღვევათა კლასიფიკაციის კრიტერიუმად გამოც-
 ხადებულია გამოყენებული იურიდიული სანქციები, მაგალითად, ი. რებანეს მი-
 აჩნია, რომ სადაო შემთხვევებში გამოყენებული იურიდიული სანქციის მიხედ-
 ვით შეიძლება ვიმჯელოთ ამა თუ იმ სახის სამართალდარღვევათა არსებობაზე¹⁰.

ზემოთ აღნიშნული ორი უკანასკნელი მოსაზრებიდან, ვერც ერთს ვერ
 დავეთანხმები, რადგან პირველ შემთხვევაში დარღვევათა დაყოფა სამართლის
 დარღვევის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, შრომის კანონმდებლო-
 ბის დარღვევა, ისევე როგორც მიწის კანონმდებლობის, ადმინისტრაციული და
 სხვა დარღვევები, შეიძლება იყოს როგორც დანაშაული, ასევე ადმინისტრაცი-
 ული ან დისციპლინური გადაცდომა, ან სამოქალაქო სამართალდარღვევა. ამი-
 ტომ აქ კლასიფიკაციის კრიტერიუმი არ არსებობს.

რაც შეეხება მეორე პოზიციას, მისი არამართებულობა ისედაც ნათლად
 ჩანს, რადგან თვით სამართალდარღვევის არსებობა განაპირობებს იურიდიული
 სანქციის დაწესებას და არა პირიქით—იურიდიული სანქციის დაწესება—სამარ-
 თალდარღვევას. ამასთან, ზოგიერთი სანქცია გამოიყენება როგორც ადმინის-
 ტრაციული, ისე დისციპლინური გადაცდომისათვის (მაგალითად, გაფრთხილე-
 ბა). ასე რომ, აღნიშნული კლასიფიკაცია მიუღებელია, რადგან იგი პრაქტიკაში
 გამოიწვევდა შეცდომებს. ჩვენ დაგვკვირდებოდა არა ყოველი სამართალდარ-
 ღვევისათვის სანქციის შემოღება, არამედ პირიქით — უკვე დაწესებული იუ-

⁸ Карева М. П., Кечекьян С. Ф., Федосеев А. С., Федькин Г. И. Теория
 государства и права, макет учебника, М., 1954, стр. 396—397.

⁹ R. Schüsseler, Die Rechtsverletzungen in sozialistischen Staat und ihre Be-
 kämpfung, s. 106.

¹⁰ Ребане И., О разграничении видов правонарушений и юридических санк-
 ций по советскому праву, — «Ученые записки Тартуского гос. университета»,
 вып. 61, «Труды юридического факультета», Тарту, 1959, стр. 154, 159—160.

რიდიული სანქციისათვის ცალკეულ ქმედებათა მორგება, ასეთ შემთხვევაში კი ვერავითარი პრინციპით ვერ ვიხელმძღვანელებდით და შეიძლება ისეთი ქმედებანიც კი, რომლებიც დღეს სამართალდარღვევებად არ ითვლება (მაგალითად, ამორალური საქციელი), დასჯადად გამოგვეცხადებინა.

სამართალდარღვევათა კლასიფიკაციის განსხვავებულ კრიტერიუმს გვთავაზობს ი. სამოშჩენკოც. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს „სამართალდარღვევათა ძირითადი მატერიალური ნიშანი, მათი სოციალური მნიშვნელობა“¹¹. ავტორის აზრით, სამართალდარღვევანი უნდა დაეყოთ ორ ჯგუფად: დანაშაულად და სხვა სამართალდარღვევებად. თანაც დასძენს, რომ ამ უკანასკნელთ შეიძლება შემოკლებით გადაცდომებიც ვუწოდოთ. თუმცა, იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ იურიდიულ მეცნიერებაში მიღებული არ არის სამოქალაქო სამართალდარღვევების გადაცდომად მოხსენიება. ძაშ, რაღა საჭიროა ვიხმაროთ ერთი ტერმინი სხვადასხვა შინაარსის რამდენიმე მოვლენის გამოსახატავად თუნდაც იმიტომ, რომ სხვა შესაფერისი სიტყვა არ მოიხაზა? ამას გარდა, აღნიშნულ მეთოდს სხვა ხარვეზებიც გააჩნია. მაგალითად, ცოტა ქვემოთ ი. სამოშჩენკო მიუთითებს, რომ „გადაცდომები თავისთავად იყოფა სამართალდარღვევათა ისეთ სახეებად, როგორიცაა: სახელმწიფო ორგანოთა მიერ უკანონო აქტების გამოცემა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მათი ორგანოების მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღება, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და დისციპლინური სამართალდარღვევები“. ამასთან, აღნიშნავს, რომ „ასეთი დაყოფა უკვე აღარ არის განპირობებული მათი განსხვავებული სოციალური მნიშვნელობით“, რომ არაფერი ვთქვათ უკანონო აქტის გამოცემის, როგორც არაკომპეტენტურობის გამოვლენაზე და არასამართალდარღვევაზე. ადმინისტრაციული, დისციპლინური და სამოქალაქო სამართალდარღვევები თუ არ წარმოადგენენ კომპეტენციის დარღვევას, მაშინ რაღა საჭიროა კლასიფიკაცია კლასიფიკაციის შიგნით, თანაც თუ ორთავე სხვადასხვა კრიტერიუმით იქნება განპირობებული?

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, კლასიფიკაციის შედარებით უკეთესი ვარიანტი უნდა დაიყოს სამართალდარღვევათა ოთხ სახედ: სისხლის სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სამოქალაქო სამართალდარღვევად დაყოფა, როგორც ეს დასაწყისშივე იყო აღნიშნული. სამართალდარღვევათა თითოეული სახის შესწავლა კი დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

¹¹ ი. სამოშჩენკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.



წამყვანობის ნორმის მიზანშეწონილობისათვის

საპარტიო წესდების სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მიხედვით დაწესებული პირის პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის ჩაბმისათვის დანაშაულებრივ საქმიანობაში, აგრეთვე მისი დაყოფისათვის ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაში, კერძოდ, ლოთობაში ჩათრევისათვის, მათხვრეობაზე, პრესტიჟის დაზარალებაზე, ანარქულ თამაშებზე და სხვა დაყოფისათვის.

როგორც მუხლის დისპოზიციიდან ჩანს, აღნიშნული დანაშაულის ობიექტურ მხარეში ასახულია დანაშაულის სუბიექტის აშკარად გამოკვეთილი ორი სხვადასხვა მოქმედება: პირველი, არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში და, მეორე, არასრულწლოვანის დაყოფა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებების ჩადენაზე. მაგრამ სუბიექტის ამ ორ ურთიერთგანმასხვავებელ მოქმედებაში გამოიკვეთება ერთი ზოგადი ხასიათის ქმედება, რომელიც საერთოა ორივე შემთხვევისათვის. კერძოდ, დანაშაულის მიერ არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში ან მისი დაყოფა ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე შესაძლებელია არასრულწლოვანის შეგულიანებით, ან მისთვის მათი ჩადენის სურვილის აღძვრით, თუმცა ეს არ გვაძლევდა იმის საფუძველს, რომ აღნიშნული მოქმედებები დისპოზიციურად ერთ ნორმაში გაკვეთილია, არამედ მიზანშეწონილი იყო მათი ერთმანეთისაგან გამოკვეთა.

წინამდებარე წერილში ჩვენი განხილვის საგანს წარმოადგენს დანაშაულებრივ საქმიანობაში წამყვანობის ხასიერა, თუ იგი მისგან განსხვავებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მოქმედებაა. აღნიშნული საკითხის მართებულად გადაწყვეტას უკავშირდება ასეთი ქმედებების კვალიფიკაციის სისწორიც.

უ. კობიაშვილს მიაჩნია, რომ არასრულწლოვანის დანაშაულში ჩაბმა „გამოკვეთილად დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მოქმედებაა, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც დანაშაულის უშუალოდ აღსრულებისაგან ისე წამყვანობისაგან“¹. ჩვენ ვერ დავთანხმებით ავტორის ასეთ მოსაზრებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ წერილში, 238-ე მუხლით გამოხატული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დანაშაულის სუბიექტის მოქმედებაში, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩახადენად არასრულწლოვანის შეგულიანებაში, მისთვის დანაშაულის ჩადენის სურვილის აღძვრაში. ეს კი სხვა არაფერია თუ არა წამყვანობა. არასრულწლოვანის წამყვანობა და არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის უთანაბრებს ერთმანეთს სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმიც: „არასრულწლოვანის წამყვანობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული დანაშაულისათვის განხილულ უნდა იქნეს, როგორც დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმა“².

ამასთან, არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფიზიკური იძულებისა და ფსიქიკური ზემოქმედების ისეთი ხერხები, რომლებიც გვხვდება წამყვანობის მიერ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს. კერძოდ: დარწმუნება, დაშინება, მოხყიდვა, მოტყუება, შურისძიების გრძობის აღძვრა და სხვა.

238-ე მუხლისა და როგორც წამყვანობის დამოუკიდებელი ნორმის არსებობას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ სისხლის სამართლის თეორიაში ამ დანაშაულის ობიექტად საზოგადოებრივ წესრიგსა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან ერთად მიჩნეულია არასრულწლოვანის ნორმალური განვითარება და მისი წინეობრივი აღზრდა, ანუ არასრულწლოვანის პიროვ-

¹ უ. კობიაშვილი, არასრულწლოვანის წამყვანობისათვის ან დანაშაულებრივ საქმიანობაში მათი ჩაბმისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1969, № 5.

² იხ. «Советская юстиция», 1969, № 19, с. 30.

ნება, რომელიც ხელყოფას განიცდის არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის კი სავალსებურია ამ კუთხით განვიხილოთ, გამოდის, რომ პირივეთა ხელყოფის საკითხი, განსაკუთრებით თანამონაწილეობით ჩადენილ ქველა დანაშაულში, კერძოდ, წამქეზების მიერ ამსრულებლის წამქეზების ქველა შემთხვევაში. ასეთი პოზიციის გაწიარებას კი ბუნებრივად მივეყვართ შვეიცარიული ბრალდებითი თანამონაწილეობის მოძღვრებამდე (Schuldteilnahmelehre). ამ მოძღვრების მიხედვით, წამქეზების პასუხისმგებლობა ეფუძნება მის მიერ ამსრულებლის შეცდენას, რის გამოც აქცევს მას ბრალდებულად და სხვაგვარად დაამხატრებინებს. წამქეზებელი ხელყოფის ამსრულებლის პირივეთა, კერძოდ, კლავს მას „ხელიერად“, მოუშლის ხასიათს, განწყობას, ურდევს საყოველთაო სამართლებრივ სიმშვიდეს და ა. შ. დანაშაულის ჩადენისაკენ წამქეზებით ხდება წამქეზების განცალკევება საყოველთაოდ მოწესრიგებული საზოგადოებისაგან. ე. ი. ხდება მისი სოციალური დეზინტეგრაცია. ერთი სიტყვით, შვეიცარიული დოქტრინის მიხედვით, თანამონაწილეობის დროს დანაშაულის ობიექტად გამოდის ამსრულებლის „სოციალური ინტეგრაცია, რომელსაც ხელყოფის თანამონაწილე, კერძოდ კი, წამქეზებელი“³.

ამრიგად, შვეიცარიული ბრალდებითი თანამონაწილეობის მოძღვრება წამქეზებლობას განიხილავს დამოუკიდებელ დანაშაულად. ასეთი რამ კი მიუღებელია თანამონაწილეობისათვის, რომელიც როგორც მოძღვრება უკვე დიდი ხანია, რაც დამკვიდრებულია მრავალი ქვეყნის სისხლის სამართალში.

თანამონაწილეობა მიღებულია ჩვენს სისხლის სამართალშიც. აქედან გამომდინარე, გაუგებარია სისხლის სამართლის კოდექსში 236-ე მუხლის, როგორც წამქეზებლობის მუხლის არსებობა. ამიტომ იგი გაუქმებულ უნდა იქნეს ანდა ნაწილობრივ შეიცვალოს მისი დისპოზიცია, ამოღებულ იქნეს რა სიტყვები: „არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში“. დისპოზიციის შეცვლა გამოიწვევს მუხლის დასათაურების შეცვლასაც და იგი ჩამოყალიბდება შემდეგი სიტყვებით: „არასრულწლოვანის დაყოლიება ანტისაზოგადოებრივი მოქმედებების ჩადენაზე“.

არასრულწლოვანის წამქეზებლობის მუხლის მოსპობა თავისთავად მოხსნის იმ სირთულეებს, რაც ვგვხვდება აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის დროს. თეორიაში დღესაც გაჩაღებულია დავა ამასთან დაკავშირებით. გამოთქმული იყო ორი საპირისპირო მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი (ბ. ა. კურინოვი, ნ. პ. გრადოვსკაია და სხვ.) მოითხოვდა გამოყენებული ყოფილიყო დანაშაულთა კვალიფიკაციის ერთობლივი წესი, ე. ი. სრულწლოვანი დამნაშავე დასჯილიყო დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანის ჩაბმისათვის და იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც ჩადინა არასრულწლოვანმა⁴. დანაშაულთა კვალიფიკაციის ერთობლიობაზე პირდაპირ მიუთითებდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმიც 1968 წ. 8 ივლისის დადგენილებაში: „მოქმედება დანაშაულის სრულწლოვანი მონაწილისა, რომელმაც დანაშაულის ჩადენაში ჩაითრია სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლში (საქართველოს სსრ მე-12 მუხლში — რ. შ.) აღნიშნულ ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი, უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლების ერთობლიობით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთან ერთად კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის და არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრევისათვის“⁵.

სხვა ავტორები გამოდიან დანაშაულის კვალიფიკაციის ერთობლიობის წინააღმდეგ და გვთავაზობენ გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მხოლოდ ერთი მუხლი — ან ის, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვანთან ერთად ჩადენილი დანაშაულისათვის (ე. ი. თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისათვის), ანდა ის, რომელიც უფრო მკაცრია. მ. კოვალიოვი შეცდომად თვლიდა ერთობლიობით კვალიფიკაციას და მიუთითებდა, რომ ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სამართლებრივი ნორმების კონკურენციას, და თავის მხრივ, გვთავაზობდა უფრო მკაცრი მუხლის გამოყენებას

³ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ო. გამყრელიძის ნაშრომი „სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, თბ., 1980, გვ. 9-10.

⁴ Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1985, с. 430; Курс советского уголовного права, Л., 1981, т. 5, с. 55.

⁵ Бюллетень Верховного Суда СССР, 1963, № 4, с. 9.



მოპაექრე მუხლებიდან: 210-ე (საქართველოს სსკ 236-ე — რ. მ.), ან ის, რომელიც მოპაექრის წინააღმდეგ დაწესდა დაწესდა, ჩადენილს არასრულწლოვანის გამოყენებით⁶

არასრულწლოვანის წაქეზებლობის ნორმის მოსპობით საშუალება მოგვეცემა სწორად დავაკვალიფიციროთ იმ პირის მოქმედება, ვინც დაწესდა ჩასაძინად არასრულწლოვანს გამოყენებს. ამ დროს გასაშიშნია ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც არასრულწლოვანის როლში გამოდის პასუხისმგებლობის სახეს მიუღწევადი პირი, და მეორე, როდესაც არასრულწლოვანი პასუხს ატებს გარკვეული დანაშაულების ჩადენის გამო. ეჭვგარეშეა, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის შუალობით ამსრულებლობას, დამნაშავე თავისი დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად „ცოცხალ იარაღად“ იყენებს არასრულწლოვანს. მეორე შემთხვევაში კი, ადგილი აქვს თანამონაწილეობას. თუ დამნაშავემ არასრულწლოვანი ჩააბა, ვთქვათ, უჩალობაში, მაშინ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 19-152 მუხლებით.

მაგრამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირები ერთად მონაწილეობენ კონკრეტული დანაშაულის (მაგალითად, მკვლელობის) განხორციელებაში, ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაული ხდება თანამონაწილეობით და არასრულწლოვანი ყოველთვის წაქეზებული უნდა იყოს სრულწლოვანის მიერ. სრულიად დასაშვებია, რომ ისინი გამოდიოდნენ აღნიშნული დანაშაულის თანამსრულებლებად.

⁶ М. И. Ковалёв, 'Соучастие в преступлении, ч. II, Свердловск, 1962, с. 20.

ალექსანდრე ჯავახიშვილი

თაღლითობა და გამოკლვა

თაღლითობის გამიჯვნა გამოძალვისაგან შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ყველა გარემოების დაწვრილებით შესწავლის შედეგად.

საქართველოს რესპუბლიკის სსკ 153-ე მუხლით თაღლითობა განისაზღვრება როგორც „მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების ან ქონებრივი გამორჩენის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით“.

თაღლითური ხელყოფის ობიექტი არის მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება, რომელსაც ზიანი ადგება მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების შედეგად. ობიექტისაგან უნდა განვასხვავოთ ხელყოფის უშუალო საგნები. ხელყოფის საგნად კი შეიძლება ჩაითვალოს არა ყველაფერი, არამედ მხოლოდ ისეთი რამ, რაც მატერიალურ, კულტურულ, ისტორიულ ან სხვაგვარ ღირებულებას წარმოადგენს. სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თაღლითობის დროს დანაშაულის ყველაზე უფრო გავრცელებული საგნებია: ფული, ძვირფასეულობა, სამეურნეო დანიშნულების დეფიციტური საგნები და ა. შ. თაღლითობის საგანია ქონება, რომელსაც ბოროტმოქმედი ეუფლება მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების შედეგად, თუმ-

ცა დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს ქონებაზე უფლების დამატებითი
წელი დოკუმენტებიც.

თაღლითობის ობიექტური მხარე სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება:
საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (უმოქმედობა), დანაშაულის შედეგი და
მიზეზობრივი კავშირი ამ ქმედებებს შორის.

საზოგადოებრივად საშიში ქმედობა მდგომარეობს მოქმედებას ან უმოქ-
მედობაში, რაც გამოიხატება ქონებას მითვისებაში ან ქონებაზე უფლების ან
ქონებრივი გამორჩენის მიღებაში მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამო-
ყენებით.

როგორც წესი, თაღლითობა აქტიური მოქმედებაა, თუმცა არ არის გა-
მორიცხული უმოქმედობის გზით ჩადენილი თაღლითობაც.

მოტყუებაში იგულისხმება სიცრუე, დაზარალებულის წინასწარგანზრახუ-
ლად შეცდომაში შეყვანა გარკვეული ფაქტების, გარემოებებისა და ხდომი-
ლებების შესახებ, საკუთარი ნებით ქონების თაღლითისათვის გადაცემის წაქე-
ზებით. ასეთი ხერხით თაღლითი ეუფლება ამ ქონებას როგორც საკუთარს, სა-
ბუნდამოდ და უსასყიდლოდ. სწორედ ამიტომ უნდა დადგინდეს ჭეშმარიტების
განზრახ დამახინჯება, წინააღმდეგ შემთხვევაში თაღლითობის შემადგენლობას
ადგილი არ ექნება.

მოტყუებაში უნდა განვასხვაოთ მისი შინაარსი და ფორმა. შინაარსი
არის სხვადასხვა გარემოება, რომლითაც თაღლითს შეჰყავს შეცდომაში და-
ზარალებული. ამ გარემოებებს მეტად მრავალფეროვანი ხასიათი აქვთ. მოტყუ-
ება შეიძლება შეეხოს საგნებს, პიროვნებებს, მოქმედებებს, ხდომილებებს, მათ
ფაქტობრივ და იურიდიულ თვისებებს. მოტყუების შინაარსს შეადგენენ რო-
გორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის გარემოებები (მაგალითად, სუ-
ბიექტის განზრახვა). ხდომილებები, რომელთა შესახებ იქმნება მცდარი წარ-
მოდგენა, შეიძლება განეკუთვნებოდეს აწმყოს, წარსულსა და მომავალს.


ფორმის თვალსაზრისით, ნებისმიერი სიცრუე შეიძლება მიეკუთვნოს ორი-
დან ერთ-ერთ კატეგორიას: „ჭეშმარიტების დამახინჯებას, ანდა ჭეშმარიტების
დამალვას“.

თვით კანონი არ შეიცავს სიცრუის განსაზღვრას, მაგრამ სისხლის სამარ-
თლის თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით, სიცრუედ ითვლება როგორც ჭეშ-
მარიტების დამახინჯება, როდესაც დამნაშავე განზრახ დამახინჯებს და შეჰყავს
დაზარალებული შეცდომაში მათი ჭეშმარიტების შესახებ (სიცრუის აქტიური
ფორმა), ისე ჭეშმარიტების დამალვა, როდესაც დამნაშავე სარგებლობს მისგან
დამოუკიდებლად წარმოქმნილი დაზარალებულის მცდარად ინფორმირებულო-
ბით (სიცრუის პასიური ფორმა)¹.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოტყუების ცნება ზოგადად შეიძლე-
ბა ჩამოვადგინოთ როგორც ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების საშუალება,
თუ კი იგი გამოიხატება სხვა პირის განზრახ შეცდომაში შეყვანაში ანდა მოტ-
ყუებულ მდგომარეობაში ყოფნისათვის ხელშეწყობაში, მისთვის არასწორი
ინფორმაციის მიწოდების ან სხვადასხვა ფაქტის, ნივთის, ხდომილობის, ქმე-
დობის და ა. შ. დამალვის გზით².

¹ Горзениев Г. Н. Ответственность за мошенничество, М., 1975, стр. 30—32.

² Сабитов Р. А. — Обман, как средство совершения преступления, Омск,
1980, стр. 25.



თაღლითობის მეორე ხერხი — ნდობის ბოროტად გამოყენება არის მატერიალური სარგის უკანონოდ მიღების მიზნით დამნაშავესა და დაზარალებულ შორის შექმნილი განსაკუთრებული მიმდობი დამოკიდებულების გამოყენება. ამასთან, დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ბოროტად იყენებს მის მიმართ გამოხატულ ნდობას, რათა ამ გზით კანონსაწინააღმდეგოდ უსასყიდლოდ და სამუდამოდ იგდოს ხელთ სხვისი ქონება.

ნდობის ურთიერთობათა საფუძველს შეიძლება შეადგენდეს ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოებები: დაზარალებულის დამნაშავესთან ნაცნობობა, კონკრეტული გარემო პირობები, დაზარალებულის განსაკუთრებული მიმდობლობა (მაგალითად, ურთიერთობები მეზობლებს ან ნაცნობებს შორის), მიმდობლობის ბოროტად გამოყენებაში უნდა ვიგულისხმოთ მეორე პირის გამოუცდებლობის, მის მიერ დასადები გარიგების გაუცნობიერებლობის გამოყენება³.

თაღლითობის ცნების განხილვისას ზოგი იურისტი მივიდა დასკვნამდე, რომ ნდობის ბოროტად გამოყენების სახესხვაობა არის დაზარალებულის მიმდობლობის ბოროტად გამოყენებაც. მაგრამ ნდობის ბოროტად გამოყენება არ არის მიმდობლობის ბოროტად გამოყენების იდენტური, რადგან ეს ცნებები სხვადასხვა შინაარსს გამოხატავს. ბ. ნიკიფოროვი ხაზს უსვამს განსხვავებას ამ ორ ცნებას შორის: „ნდობა საერთო წესით, გულისხმობს ადამიანებს შორის ურთიერთობების არსებობას, ნდობა ეს ყოველთვის ნდობაა ვინმესა ან რამეს ნიშნით. მიმდობლობა კი ადამიანის ხასიათის ერთი თვისებათაგანია“.

მიმდობლობა, როგორც ადამიანის ხასიათის თვისება შეიძლება იყოს ნდობის ურთიერთობის ერთადერთი საფუძველი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნდობა უნდა გამოიხატოს, გამოვლინდეს რაიმე მოქმედების სახით (ქონების გადაცემა, რწმუნებულობით აღჭურვა), რომ ნდობის ბოროტად გამოყენება გახდეს ქონების ხელყოფის დამოუკიდებელი საშუალება. მიმდობლობის გამოყენება ასევე დამახასიათებელია მოტყუების გზით ჩადენილი თაღლითობისათვის. მეტიც, დაზარალებულთა მიმდობლობით დამნაშავეები ხშირად სარგებლობენ ქურდობისა და სხვა ქონებრივი დანაშაულების ჩადენის დროს⁴.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტყუება და ნდობის ბოროტად გამოყენება, როგორც თაღლითობის ჩადენის ხერხები, მჭიდროდ არიან ერთმანეთში გადახლართულნი და ამიტომ, მათ შორის მკაფიო ზღვარის გატარება ყოველთვის არ ხერხდება. ამასთან, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ზოგიერთი კრიმინალისტის რწმუნება იმის თაობაზე, რომ „ნდობის ბოროტად გამოყენება არის მოტყუების განსაკუთრებული ხერხი — ნდობის გამოყენება და ამიტომ მჭიდროდ უკავშირდება მოტყუებას ამ სიტყვის ვიწრო გაგებით“⁵.

დანაშაულებრივი შედეგი არის თაღლითობის ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშან-თვისება. იბრომელიც ხორციელდება მოქალაქეთა პირადი ქონების ილტყობა მიეძღვნა ინსტრუქციამ მიცემიძღვოთ ინსტრუქციამ

³ Исаев М. М. — Имущественные преступления, М., 1938, стр. 49—50.
⁴ Горзениев Г. Н. — Ответственность за мошенничество, М., 1971, стр. 70—72.
⁵ Владимиров В. А. — Квалификация преступлений против личной собственности, М., 1968, стр. 102.

ხელში ჩაგდების შემთხვევაში ორი ხერხის დახმარებით. დანაშაულებრივ შედეგს ჩვეულებრივ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქონება დაზარალებულის კუთვნილება აღარ არის და ამავე დროს, დამნაშავეს საშუალება ეძლევა დაზარალებულის ამ ქონებით ისევე, როგორც საკუთარი ქონებით.

დამნაშავეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად, საზოგადოებრივად საშიში შედეგის გამო აუცილებელია დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედობასა (უმოქმედობასა) და ამ შედეგს შორის.

მიზეზობრივი კავშირი ხორციელდება მოქმედებით ან უმოქმედობით, რომლის საშუალებით გადადის ქონება დამნაშავეს ხელში დაზარალებულის პირადი კუთვნილებიდან, რაც გამოიწვია ამ უკანასკნელის შეცდომაში შეყვანამ, ამრიგად, ქმედობა, რომელსაც დაზარალებული შეცდომაში შეჰყავს, არის აუცილებელი საშუალო რგოლი მიზეზობრივი კავშირის ჩაჭვში: ერთი მხრივ, შეცდომაში შეყვანა არის ქონების ერთი პირის კუთვნილებაში მეორის კუთვნილების გადასვლის პირობა, ხოლო მეორე მხრივ, არის მოტყუების თავისებური შედეგი. ამ რგოლის ამოვარდნა არღვევს მიზეზობრივი კავშირის მთელ ჩაჭვს. ამიტომ თაღლითობის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ შეცდომაში შეყვანას ადგილი ჰქონდა დამნაშავეს მხრივ მოტყუების შედეგად, ანდა, მართალია, თავდაპირველად იგი დამნაშავეს ქმედობისაგან დამოუკიდებლად (პასიური ფორმისას) წარმოიქმნა, მაგრამ შემდეგ გამოიყენა მან. თუ არა აქვს ადგილი შეცდომაში შეყვანას, იქ თაღლითობაც არ არის, ისევე როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც სუბიექტი ატყუებს დაზარალებულს საქონლის ფასში, რომელიც, მართალია, ხდება ამას, მაგრამ მაინც მზად არის გადაიხადოს გაზრდილი ფასი. თუკი პიროვნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მან ვერ მოახერხა ქონების ხელში ჩაგდება, მაშინ მისი ქმედობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც თაღლითობის მცდელობა⁶.

სუბიექტური მხრივ თაღლითობა ანგარებითი დანაშაულია, ჩადენილი პირდაპირი განზრახვით, ვინაიდან დამნაშავე ითვალისწინებს თავისი ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას და სურს მიაღწიოს დასახულ მიზანს, ე. ი. დაეუფლოს სხვის ქონებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ თაღლითობისას განზრახვა, როგორც წესი, წინასწარაა მოფიქრებული, ვინაიდან დანაშაულის სპეციფიკა ხშირად მოითხოვს გარკვეულ ცოდნასა და ჩვევებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამნაშავეს მომზადებას.

თაღლითობის სუბიექტი შეიძლება იყოს შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 16 წლის ასაკს მიაღწია. სწორია ამ დანაშაულის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომის უფრო მაღალი ასაკობრივი ზღვრის დაწესება, ვიდრე ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობისათვის, რადგან ჯერ ერთი, თაღლითური მეთოდის შედარებითი სირთულით და, მეორეც, გარკვეული გამოცდილების, ადამიანთა ფსიქოლოგიის ცოდნის, ისეთი პროფესიული და ასაკობრივი თვისებების აუცილებლობით, რომლებიც ნდობას აღუძრავენ დაზარალებულს, რაც, ცხადია, ჯერ არ გააჩნიათ მოზარდებს.

⁶ Горзениев Г. Н. — Ответственность за мошенничество, М., 1971. стр. 79.

უკანასკნელი წლების მანძილზე გამოძალვის კრიმინალური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ამის საბაზი ისეთი ეკონომიკური მოვლენების განვითარება გახდა, როგორცაა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა და კოლექტიური მოძრაობა. ამდენად, „რეკეტი“ სულ უფრო სერიოზულ საფრთხედ იქცა.

გამოძალვის ობიექტი არის მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლება, აგრეთვე პიროვნება, ვინაიდან გამოძალვას ხშირად თან ახლავს ძალადობის მუქარა დაზარალებულის პიროვნების ან მისი ახლობლების მიმართ. ობიექტისაგან უნდა განვასხვაოთ ხელყოფის უშუალო საგნები — ესაა დაზარალებულის განკარგულებაში არსებული ქონება ან სხვა რაიმე საგანი. სასამართლო-საგანობრივობა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გამოძალვის ყველაზე უფრო გავრცელებული საგანია ფული.

გამოძალვის ობიექტური მხარე მდგომარეობს ქმედობაში, რომლის საშუალებით გამოძალველი ცდილობს მიიღწიოს თავის მიზანს. გამოძალველის მუქარა შეიძლება გამოიხატებოდეს: ძალადობის გამოყენების მუქარით, სახელის გამტეხი ცნობების განმაურების მუქარით და ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების მუქარით.

ძალადობის გამოყენების მუქარა შეიძლება იყოს მოკვლა, სხეულის დაზიანება, ცემა და ა. შ. იგი შეიძლება მიმართული იყოს როგორც დაზარალებულის, ისე მისი ახლობლების მიმართ. მუქარა რეალური უნდა იყოს და დაზარალებულის მიერ უნდა აღიქმებოდეს როგორც სავსებით შესაძლებელი.

გამოძალვის ძირითადი შემადგენლობის ნიშნების ფარგლებში ძალადობის გამოყენების მუქარის თავისებურება არის ის, რომ იგი მომავლისაკენ უნდა იყოს მიმართული ამასთან, ძალადობის გამოყენების მუქარასთან ერთად, ჩადენილი გამოძალვა უნდა განვასხვაოთ ყაჩაღობისაგან, ვინაიდან, თუკი ყაჩაღობისას დამნაშავე, რომელმაც თავდასხმა მოახდინა, მოითხოვს ქონების დაუყოვნებლივ გადაცემას და წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება ძალადობის მაშინვე გამოყენებით, გამოძალვის შემთხვევაში დამნაშავე მოითხოვს ქონების გადაცემას და ძალადობის გამოყენებით იმუქრება არა დაუყოვნებლივ, არამედ მომავალში. ამას გარდა, ყაჩაღობისაგან განსხვავებით გამოძალვა შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო ქონების, არამედ ქონებაზე უფლების გადაცემის, ანდა ქონებრივი ხასიათის ქმედებათა ჩადენის მოთხოვნაში.

სახელის გამტეხი ცნობების განმაურების მუქარა (შანტაჟი) შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო დაზარალებულის, არამედ მისი ახლობლების მიმართაც. დამნაშავე იმუქრება, რომ სახელის გამტეხი ცნობებს შეატყობინებს სხვა პირებს (საკმარისია ერთი პირიც) ან ხელისუფლების ორგანოებს, მაშინ, როცა ამ ცნობების განმაურება არასასურველია დაზარალებულისათვის და მას სურს მათი საიდუმლოდ შენახვა. თუ რა უნდა ჩაითვალოს სახელის გამტეხი ცნობად, ეს გადაწყდება თვით დაზარალებულის შეხედულებისამებრ. შესაძლებელია, რომ ამგვარი ცნობები, სხვა პირთა თვალსაზრისით, სულაც არ იყოს სახელის გამტეხი. ცნობები შეიძლება ეხებოდეს თვით დაზარალებულის ქცევას, საქციელს. მაგრამ შეიძლება ითვალისწინებდეს, აგრეთვე, დაზარალებულის

მიმართ ჩადენილ ქმედებებსაც. მაგალითად, დამნაშავე იმუქრება, რომ გაამხელს ამბავს მისი გაუპატიურების შესახებ, მას კი სურდა დაეფარა თავისი უბედურება და ამიტომ არ აღძრა საჩივარი მოძალადის მიმართ. ცნობები შეიძლება შეეხებოდეს აგრეთვე დაზარალებულის მდგომარეობას, მაგალითად, გენერულ დაავადებას, შანტაჟის არსებობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, შეესაბამება ეს ცნობები სინამდვილეს თუ იგი გამოგონილია. გადამწყვეტია ის გარემოება, რომ მისი უამხელის მუქარა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაზარალებულს იძულებით გამოესყიდა თავი⁷.

მუქარა შანტაჟის დროს, ისევე როგორც გამოძალვისას, შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი, გამოთქმული პირადად ან სხვა პირის მიერ, გამოხატული პირდაპირ ან ირიბად, მხოლოდ დაზარალებულისათვის გასაგები მინიმუმების ფორმით, ანდა დამნაშავეს მიერ დაზარალებულისათვის იმის შეტყობინების მოთხოვნით, რომ, თუ ეს უკანასკნელი არ გადასცემს დამნაშავეს ქონებას, ანდა არ შეასრულებს მის სასარგებლოდ ქონებრივი ხასიათის სხვა ქმედობას; მაშინ დამნაშავე პირადად ან სხვა პირთა საშუალებით განახორციელებს ძალადობას დაზარალებულის მიმართ, ან გაანადგურებს თუ დაზიანებს მის ქონებას, ან გაამხელს მისი სახელის გამტეხ ცნობებს⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძალვის დამახასიათებელი ნიშანი არის არა თვით ძალადობა, არამედ მოშავალში მისი გამოყენების მუქარა. ამავე დროს, დამნაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, მუქარამ მოახდინა ზემოქმედება დაზარალებულზე, თუ არ იქონია არავითარი ზეგავლენა. აქ მთავარია თვით დაზარალებულის მიმართ მუქარის ფაქტი, რაც, თავის მხრივ, იმას მოწმობს, რომ გამოძალვა დამთავრებულად ითვლება ქონების გადაცემის, ქონებაზე უფლების გადაცემის მოთხოვნის წაყენებისთანავე. აქედან გამომდინარე, გამოძალვა მიეკუთვნება ე. წ. ფორმალურ დანაშაულთა რიცხვს. ექვს გარეშეა, რომ მუქარის რეალიზაცია უკვე სცილდება გამოძალვის შემადგენლობას. ამიტომ გამომძალველის მიერ მუქარის შესრულება ქმნის დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობას და უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით.

ამრიგად, გამოძალვის ობიექტური მხარე მდგომარეობს დაზარალებულის იძულებაში გადასცეს გამომძალველს თავისი ქონება, ხოლო იძულების საშუალება არის დაზარალებულისათვის გარკვეული ზიანის მიყენების მუქარა. ამიტომ დაზარალებული მოქმედებს მის პიროვნებაზე ძალადობის, მისი სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების, ანდა მისი ქონების განადგურების მუქარის ზემოქმედებით. ამის გამო, დანაშაულებრივი აქტი გამოძალვისას რთული ხასიათისაა. იგი შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული დამოუკიდებელი ქმედების უმცირესობისა და მუქარისაგან, რომელთა შინაარსიც განსაზღვრულია

⁷ Исаев М. М. — Преступления против личной собственности. М., 1939, стр. 22—23.

⁸ Никифоров Г. С. — Уголовно-правовая охрана личной собственности в СССР. М., 1954, с. 114—115.

კანონით. გამოძალვის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და ანგარებითი მიზნით, ვინაიდან დამნაშავემ იცის, რომ მის მიერ მოქმედებული მათხოვნები უკანონოა და ამ გზით მას სურს მიიღწიოს სხვისი ქონების, ქონებაზე უფლების არამართლზომიერ გადაცემას მისთვის, ანდა მის სასარგებლოდ ქონებრივი ხასიათის ქმედებათა შესრულებას.

გამოძალვის სუბიექტი შეიძლება იყოს ფიზიკურად შერაცხადი პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის 16 წლის ასაკს მიიღწია. ამრიგად, დანაშაულის ორივე შემადგენლობის განხილვის შედეგად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძირითადი განსხვავება თაღლითობასა და გამოძალვას შორის არის დანაშაულის ობიექტური მხარე, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის ხერხები.

ამასთანავე, განსხვავებულია ამ დანაშაულობათა ობიექტებიც. სახელდობრ, გამოძალვა თავის ობიექტად მიიჩნევს არა მარტო დაზარალებულის პირად საკუთრებას, არამედ დაზარალებულის პიროვნებასაც.

ობიექტური მხრივ, თაღლითობა განსხვავდება გამოძალვისაგან იმით, რომ თაღლითობის დროს მოტყუების ანდა ნდობის ბოროტად გამოყენების შედეგად შეცდომაში შეყვანილი დაზარალებული ნებაყოფლობით გადასცემს ქონებას დამნაშავეს, რადგან თვლის, რომ მისი მოქმედება მართლზომიერია. ისეთ სიტუაციაში, როგორცაა თაღლითური ხელყოფის ხერხი, მოტყუების აღიარება შეიძლება მაშინ, როდესაც მოტყუება პიროვნების შეცდომაში შეყვანით მოტყუებულს უღვიძებს, ანდა უმტკიცებს გადაწყვეტილებას დამნაშავისათვის ქონების (ან მასზე უფლების) გადაცემის შესახებ და წარმოადგენს საფუძველს ამ ქონების დამნაშავისათვის გადაცემისა, ან დატოვებისათვის.

გამოძალვისას კი დამნაშავე მოითხოვს დაზარალებულის პირადი ქონების, ქონებაზე უფლების მისთვის გადაცემას ანდა ქონებრივი ხასიათის რაიმე ქმედების შესრულებას მასზე ან მის ახლობლებზე ძალადობის ან სახელის გამოტეხის ცნობების გავრცელების მუქარით მუქარა, რომელსაც გამოძალველი იყენებს, როგორც დაზარალებულის იძულების საშუალებას მისთვის სასურველი ქმედების შესასრულებლად. წარმოადგენს დამინებას რაიმე არსებითი ხასიათის ზიანის მიყენებით, რაც აიროვნებას ან მის ქონებას ემუქრება. როგორც გ. ნიკიფოროვი აღნიშნავს, „ბოროტება, რომლითაც გამოძალველი ემუქრება დაზარალებულს, ობიექტური უნდა იყოს, ამასთანავე დანაშაულის ჩანაფიქრითა და დაზარალებულის თვალსაზრისით, უნდა აღემატებოდეს იმ განსაცდელს, რომელიც დაზარალებულს მოელის მისთვის გამიზნული ბოროტების თავიდან აცილების მცდელობისას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა იძულებისათვის დამახასიათებელ დაზარალებულის იძულებას შესაბამისი ნების შესასრულებლად დამნაშავის სასარგებლოდ“.

ამასთანავე, გამოძალვა გამოთქმული არ არის მაშინაც, როდესაც დამნაშავეს სინამდვილეში არა აქვს განზრახული მუქარის შესრულება. საკმარისია, რომ მის მიერ გამოთქმული მუქარა დაზარალებულს შესაძლებლად მოეჩვენოს, ხოლო თვით გამოძალველი მიიჩნევდეს მას საშუალებად, რომელიც დაეხმარება იმოქმედოს დაზარალებულზე სასურველი მიზნის მისაღწევად. დაზარალებული, რომელსაც ემინია დამნაშავის მხრივ მუქარის რეალიზაციისა, უფ-

რო ხელსაყრელად თვლის მისთვის წაყენებული ქონებრივი ხასიათის ქმედების შესრულებას და ამ გზით მოსალოდნელი საშიშროებისაგან თავის გამოსცილვას. აქედან გამომდინარე, ვატაცებისაგან განსხვავებით, ქონების გადასვლა დაზარალებულის ხელიდან დამნაშავეის ხელში, ისევე როგორც თაღლითობის შემთხვევაში, ხდება დაზარალებულის შეგნებისა და ნების მონაწილეობით. ეს გადასვლა გარეგნულად გამოიხატება როგორც გარიგება, რომლის შესრულებისას დაზარალებული „ყიდულობს“ დამნაშავეის უმოქმედობას, ხოლო ეს უკანასკნელი, მტერიალური სარგებლის მიღების ფასად კისრულობს მუქარის შესრულებლობას. ამრიგად, დაზარალებულის მამუშამავლებელი მოქმედების გამომწვევი მოტივი არის შიში გამომძალველის მუქარის მოსალოდნელი რეალობაციის წინაშე⁹.

თაღლითობისათვის დამახასიათებელი ისეთი თავისებურება, რომელიც ამ დანაშაულს გამოძალვასთან ახლოებს, უმრავლეს შემთხვევაში არის ის, რომ ამ დროს დამნაშავე აღწევს დანაშაულებრივ შედეგს თვით დაზარალებულის მოქმედების საშუალებით და ეს უკანასკნელი თვითონ, თავისივე ხელით გადასცემს ქონებას დამნაშავეს, ან ნებას რთავს მას მიიღოს მისი ქონება, ან მესამე პირს სთავაზობს თავისი ქონების დამნაშავეისათვის გადაცემას, ანდა წინააღმდეგობას არ უწევს იმას, რომ ეს ქონება დამნაშავემ მიიღოს მესამე პირისაგან. განსხვავება საშიშროების წყაროთა მხრივ განსაზღვრავს შემდგომ განსხვავებებსაც ამ ორ შემადგენლობას შორის და იგი მდგომარეობს იმაში, რომ გამოძალვის შემთხვევაში ქონების გადაცემას „წართმევის“ ხასიათი აქვს, ქონების გადაცემის მოთხოვნას კი — კანონსაწინააღმდეგო, ძალმომრეობითი ხასიათი, რომელსაც დამნაშავე არ ფარავს. ხოლო თაღლითობის შემთხვევაში დაზარალებულს ეჩვენება, რომ ქონების გადაცემით, იგი, ასე ვთქვათ, „მადლობას“ უხდის დამნაშავეს გაწეული სამსახურისათვის.

დატაცების სხვა ფორმებისაგან თაღლითობის გამიჯვნისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ თაღლითობის შემადგენლობაში მოტყუება ასრულებს იმ გარემოებათა როლს, რომელთა ზემოქმედებითაც ამ ქონებას დამნაშავეს გადასცემს თვითონ დაზარალებული, ან ის პირი, რომლის გამგებლობაშიცაა ქონება. ხოლო, როდესაც მოტყუება გამოიყენება მხოლოდ იმისათვის, რათა დატაცების შესრულება გაადვილდეს, ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს იმის მიხედვით, თუ რა ხერხი გამოიყენა დამნაშავემ ქონების დატაცების მიზნით.

⁹ Владимирова В. А. — Квалификация преступлений против личной собственности, 1968, стр. 115—116.



სასამართლო ორგანოები

თუ სასამართლო ხელისუფლება?

თუ გავანალიზებთ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციას დავრწმუნდებით, რომ ხელისუფლებად იგი ცნობს მხოლოდ საკანონმდებლოს (უზენაესი საბჭო) და მმართველობის (პრეზიდენტი და მინისტრთა კაბინეტი — კონსტიტუციის IV და V თავები) სფეროებს, ხოლო დებულებანი სასამართლოს შესახებ ისე, როგორც საბჭოურ კონსტიტუციებში, მოთავსებულია IX განყოფილების XII თავში პროკურატურასა და არბიტრაჟთან ერთად.

ამავე დროს, საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით დებულებანი სასამართლო ხელისუფლების შესახებ მოთავსებული იყო სპეციალურ თავში „სასამართლო“ და განლაგებული იყო უშუალოდ IV თავისა („პარლამენტი“) და V თავის („აღმასრულებელი ხელისუფლება“) შემდეგ. ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით სასამართლო პარლამენტსა და მთავრობასთან ერთად წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელ განშტოებას და არა მხოლოდ ერთ-ერთ სამართალდამცავ ორგანოს (ამას ადასტურებს ისიც, რომ აღნიშნული კონსტიტუციით პროკურატურა, როგორც დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანო, საერთოდ არ იყო გათვალისწინებული და კანონიერების დაცვაზე მეთვალყურეობა სასამართლოს კომპეტენციას შეადგენდა).

თუ გავაგრძელებთ ზემოხსენებულ კონსტიტუციების შედარებით ანალიზს, დავრწმუნდებით სასამართლოსადმი მათ კარდინალურად განსხვავებულ მიდგომაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია ადგენდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის რეალურ გარანტიებს — სასამართლოს წევრის სხვა სამუშაოზე ან სხვა სასამართლოს წევრად გადაყვანის აკრძალვა მისი სურვილის გარეშე (უცვლელობის პრინციპი), მოსამართლის სამსახურიდან დათხოვნა მხოლოდ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე. მოქმედი კონსტიტუციით და მის საფუძველზე მიღებული კანონების მიხედვით (საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ) სასამართლო ორმაგ დაქვემდებარებაშია: ერთი მხრივ, საკანონმდებლო და მეორე მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში. კონსტიტუციის 165-ე მუხლის მე-5 ნაწილით დად-

გენილია, რომ უზენაესი სასამართლოების მოსამართლეები და ყველა სასამართლოს მსახურები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულნი არიან მათი საქმიანობის რჩევი ორგანოების ან ამომრჩეველების წინაშე და შეიძლება მათ მიეჭვინებინენ ვაწვეული კანონით დადგენილი წესით. სხვათა შორის, ამგვარი მიუღებელი დებულება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდანაც კი უკვე ამოღებულია.

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ კანონს საქართველოს სასამართლო წყობილების შესახებ, ფაქტობრივად თავისი არსით და პრინციპებით წარმოადგენს საბჭოური პერსპექტივის „მონაპოვარს“. ამის დამადასტურებლად საკმარისია ამ კანონისა და საბჭოთა კავშირის სასამართლო წყობილების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შედარებითი ანალიზი. მაგალითად ე. წ. „სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა“ (?) (კანონის მე-19 მუხლი) წარმოადგენს საბჭოური იურიდიული მეცნიერების მიერ სასამართლოებზე ადმინისტრაციული პატრონაჟის ვუალირებას (მანამდე გამოიყენებოდა ცნება „სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა“), აღნიშნული კანონის მეშვეობით (19, 30, 32, 33, 37, 41, 54, 22, 23, 26 მუხლები) ადმინისტრაციას საშუალება ეძლევა ძლიერი გავლენა განხორციელოს სასამართლოებზე: მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, სასამართლოს მუშაობის ორგანიზაციის (?) შემოწმების უფლება, სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მოადგილეების დანიშვნა, სასამართლოს პრეზიდიუმების რიცხობრივი შემადგენლობის განსაზღვრა და ა. შ. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი კანონმდებლობით სასამართლო არ არის ცნობილი „მესამე“ ხელისუფლებად და ფაქტიურად ინარჩუნებს იგივე სტატუსს, რაც ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებისას, ეს კი მიუღებელია, ვინაიდან აქცევს სასამართლოს ერთ-ერთ დამსჯელ ორგანოდ ხელისუფლების ხელში.

ამდგავარად, თუ შევინარჩუნებთ მოქმედ სასამართლო სისტემას, მაშინ უნდა ვალიაროთ მინიმუმ ორი რამ, რომ აღმინისტრაცია ატარებს პოლიტიკას და სასამართლო კი ამ პოლიტიკის ერთერთი ინსტრუმენტი.

საქმეც სწორედ ისაა, რომ სასამართლო უნდა იყოს პოლიტიკის გარე, თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა პოლიტიკაზე მალა, ვინაიდან მისი ფუნქცია სულ სხვა უნდა იყოს — **სამართლის განხორციელება და დაცვა.**

სამართალი და კანონი (კანონმდებლობა) სხვადასხვა ცნებებია. სამართალი ობიექტური რეალობაა, რომელსაც არც არავინ ჰქმნის და ვერც ვერავინ შეცვლის, ის არსებობს თავის თავად და გამომდინარეობს ადამიანის ბუნებრივი უფლებებიდან, ე. ი. პირველადი ხასიათისაა. კანონი კი პარლამენტის მიერ მიღებული ქცევის ნორმაა, რომელიც თუმცა კი სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფოს მხრივ სასჯელის რიდით, მაგრამ თავისი წარმოშობით მეორადია. აქედან გამომდინარე, შეიძლება იყოს უსამართლო კანონი ე. ი. ისეთი ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგება სამართალს.

სამართლის ობიექტურ გამოვლინებას და აკანონმდებლო წყაროს (ე. წ. „წერილობითი სამართლის“ ქვეყნებში, რომელსაც ალბათ ისტორიულად საქართველოც უნდა მივაკუთვნოთ) წარმოადგენს კონსტიტუცია. სწორედ კონსტიტუციაში უნდა იყრიდეს თავს სამართლის ძირითადი დებულებანი.

მაშინ დაიცავს სამართალს, აღმასრულებელი ხელისუფლება, პარლამენტი თუ სასამართლო? რა თქმა უნდა პარლამენტიც, მთავრობაც და სასამართლოც



ვალდებულნი არიან დაიცვან სამართალი. მაგრამ მათი განსხვავებული პოზიციები და მათი განხორციელების საშუალებები განსხვავებულ პირობებში წყნებს მათ სამართლის დაცვის თვალსაზრისით. აი რას წერდა ამასთან დაკავშირებით ქართველი იურისტი კონსტანტინე მიქელაძე: „პარლამენტში ერთი პარტიის ანუ პარტიათა კოალიციის ბატონობასთან კავშირი აქვს პარლამენტარული მთავრობის უადრესს გავლენას კანონმდებლობის მოღვაწეობაზე, უფლება შემოქმედებაზე. ეჭვს გარეშეა, რომ ამა თუ ამ კანონის გამოცემაში უაღრესად დაინტერესებულია მთავრობა, რომელიც აწარმოებს შინაგან და საგარეო პოლიტიკას. მთავრობას საკანონმდებლო ინიციატივის საშუალებით შეუძლია შეიტანოს პარლამენტში განსახილველად ისეთი კონსტიტუციის რომელიმე დებულების საწინააღმდეგო კანონპროექტი, რომლის დაცანონება მის პარტიის კლასობრივ ან პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენს, ეს კანონ-პროექტი კანონად იქნება ცნობილი, ვინაიდან მთავრობას უეჭველად მხარს დაუჭერს პარლამენტის უმრავლესობა. ამ პირობებში თუ კონსტიტუციით არ იქნა ცნობილი სასამართლოს ისეთი უფლება, რომელიც მას აძლევს იურიდიულ საშუალებას აღიაროს ასეთი კანონის ძალას მოკლებულად, ადვილი შესაძლოა, რომ გამოცემულნი იქნებიან ისეთი კანონები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს გააბათილებენ თვით კონსტიტუციას“¹.

ვფიქრობ, ეს აზრი მისაღები უნდა იყოს დღევანდელი საქართველოსთვისაც. ამას გარდა, ცნობილია პრაქტიკა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნაწილობრივ საკანონმდებლო ფუნქციებში უშუალო ჩარევისა ე. წ. დელეგირების გზით, როდესაც პარტიული ინტერესებითა და დისციპლინით შებოჭილი საპარლამენტო უმრავლესობა ნაწილობრივ გადასცემს აღმასრულებელ ხელისუფლებას (რის მოწმეებიც ჩვენ დღეს ვართ) საკანონმდებლო ფუნქციებს ამა თუ იმ საკითხებზე, მიანიჭებს მას საგანგებო უფლებებს გარკვეული ვადით და ა. შ. ამიტომ მთავრობაც და პარლამენტიც თავისი ფუნქციებითა და არსით პოლიტიკური ორგანოებია: პარლამენტი შესდგება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისაგან, ფრაქციებისა და პოლიტიკური ბლოკებისაგან, რაც თავად აქცევს მას პოლიტიკური ბატალიების არენად. პრეზიდენტი და მთავრობა თავის მხრივ, ახორციელებენ რა თავის მმართველობით ფუნქციას, იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებას, გაითვალისწინონ ათასი ფაქტორი. ერთი სიტყვით, ისინი ახორციელებენ უშუალოდ იმას, რასაც ეწოდება საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ე. ი. ობიექტურად იძულებულნი არიან იხელმძღვანელონ კომპრომისებით და სხვა პოლიტიკური პრინციპებით. ამიტომ ერთადერთი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელსაც არავითარი სხვა ამოცანა, გარდა სამართლის განხორციელებისა არ აკისრია, ეს არის სასამართლო. სასამართლო განზე დგას პოლიტიკის ცვალებადობისაგან და ემსახურება სამართალს — პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სტაბილურობის გარანტს. სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლო აღნიშნულ ამოცანას გადაჭრის მართლმსაჯულების განხორციელებით და კონსტიტუციური კონტროლის მეშვეო-

¹ კონსტანტინე მიქელაძე, დემოკრატიულ სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, „სამართალი“, 1991, № 3-4, გვ. 76-77.



ბით (თუმცა არსებობენ ქვეყნები, სადაც კონსტიტუციური კონტროლს ახორციელებენ სხვა ორგანოები, მაგალითად, საფრანგეთში კონსტიტუციური საბჭო მოქმედებს, სსრკ-ში კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი). სასამართლოზე კონსტიტუციური კონტროლის დაკისრება განპირობებულია მისი გამორჩეული ნიშნებით და მათ შორის, უპირველესად, სამართალწარმოების მტკიცე კანონით დაწესებული პროცესუალური ფორმით და ამ პროცესის დემოკრატიული და დახვეწილი პრინციპებით, რომელნიც ობიექტურად მიმართულნი არიან ჭეშმარიტების დადგენისაკენ. ესაა: საჯაროობა, შეკიბრებითობა, კოლეგიალობა, საზოგადოების მონაწილეობა, დაცვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, მტკიცებულებათა მოპოვების წესების მტკიცე რეგლამენტაცია, სასამართლო გადაწყვეტილების საყოველთაო აუცილებლობა და სხვ. სასამართლოს სასარგებლოდ მეტყველებს კანონით დაწესებული ძალიან მკაცრი მოთხოვნები მოსამართლის პიროვნების მიმართ როგორც პროფესიული, ასევე პოლიტიკური. მოსამართლე არ უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრი, ეკრძალება ყოველგვარი გამოვლენა პოლიტიკური სიმპატიების და ა. შ.

სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების ცალკე და მწვავე პრობლემაა სასამართლო იურისდიქციის შევიწროება, რაც დამატებით ახასიათებს სასამართლოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას. იმისათვის, რომ გამოირიცხოს მმართველობის ორგანოების მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები, საჭიროა სასამართლოს შეეძლოს ზემოქმედება მოახდინოს მასზე და დაიცვას მოქალაქეთა კანონიერი უფლებები ყოველგვარი უსამართლო შეზღუდვებისაგან. ამიტომ სასამართლო იურისდიქცია საჭიროა ვრცელდებოდეს ხელისუფლებასა და მოქალაქეს შორის ყველა სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაზე: შრომითი, ადმინისტრაციული, მიწის და სხვა. განსაკუთრებით ეს შეეხება სისხლის სამართლის პროცესს. მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაში უნდა იყოს ადამიანის წინასწარ პატიმრობაში აყვანის საკითხის გადაწყვეტა (მითუმეტეს დღეს, როდესაც წინასწარი გამოძიების ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითქმის 2 წლამდე), სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა არამარეაბილიტირებად საფუძვლებზე.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ასეთი დასკვნები უნდა გაკეთდეს:

პირველი, საჭიროა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის კონსტიტუციური დამაგრება და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და სხვა ხელისუფლებასთან თანაბარუფლებიანობის აღიარება, გარანტიების შექმნა.

მეორე, აუცილებელია სასამართლო ხელისუფლებისათვის კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციის მინიჭება (მართალია მოქმედი კონსტიტუციით გათვალისწინებულია კონსტიტუციური კომიტეტის შექმნა სსრკ კონსტიტუციის ანალოგიურად, მაგრამ თუ რამდენად უსუსური აღმოჩნდა ამ კომიტეტის საქმიანობა, აშკარად ცხადყო მისმა პრაქტიკამ, განსაკუთრებით კი, მოსკოვში აგვისტოს პუტჩის დღეებში).

თავს ნებას მივცემ გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება აგრეთვე საქართველოში სასამართლო რეფორმის ძირითად მომენტებზე მიმაჩნია, რომ შეიძლება



ლებოდა აღდგენილიყო 1921 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული უზენაესი სასამართლოს დასახელება — სენატი, როგორც უზენაესი სასამართლო. სენატი იქნებოდა საერთო კომპეტენციის სასამართლო და იმავდროულად კონსტიტუციური კონტროლის ორგანო, ნებისმიერი კანონის ან სხვა ნორმატიული ძალის მქონე აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადების უფლებით, რაც ავტომატურად დაუკარგავდა იურიდიულ ძალას ასეთ აქტს. აუცილებლად მიმაჩნია აგრეთვე ყველა სხვა სასამართლოს ჰქონდეს უფლება მართლმსაჯულების განხორციელებისას უარი თქვას ისეთი კანონისა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოყენებაზე, რომელსაც იგი მიიჩნევს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ და დააყენოს საკითხი სენატის წინაშე მისი არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ. სენატის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს აგრეთვე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთდაცების გადაწყვეტა, პოლიტიკური პარტიების არაკონსტიტუციურობის საკითხის განხილვა, სახელმწიფოს უმადლესი თანამდებობის პირების მიმართ (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი) წაყენებული ბრალდებების განხილვა, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა. სენატის, ისევე, როგორც ნებისმიერი სასამართლოს, სხდომები უნდა ტარდებოდეს ღიად, საჯაროდ და მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდებოდეს.

მაგრამ ყველაფერი რაც ითქვა ვერ გამოიღებს შედეგს, თუ არ იარსებებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის რეალური გარანტიები. ამის მისაღწევად საჭიროა, როგორც მინიმუმში, სასამართლოებისათვის კონსტიტუციური კონტროლის ფუნქციის მინიჭება, მოსამართლეების გაწვევის უფლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით, სასამართლოების ყოველგვარი ანგარიშვადებულების მოხსნა პარლამენტის წინაშე, მატერიალურ-ტექნიკური თუ ორგანიზაციული დამოუკიდებლობა სასამართლოსი ადგილობრივი თუ ცენტრალური მმართველობის ხელისუფლებისაგან (სასამართლოები დაფინანსდებიან ბიუჯეტიდან და სახელმწიფო ბაჟის შემოსავლებიდან და როდესაც ექნებათ თავისი ფული მოახერხებენ საკანცელარიო ნივთების შეძენასაც და შენობის რემონტსაც), ყოველგვარი კვაზისასამართლო ორგანოების (სპეცსასამართლოები, განსაკუთრებული სასამართლოები და ა. შ.) კონსტიტუციურად აკრძალვა, სასამართლოს საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობის გაუქმება, მართლმსაჯულების აუცილებელი განხორციელების პრინციპის ვატარება ანუ ისეთი წესის დადგენა, როდესაც სასამართლო ვალდებულია განიხილოს საქმე, თუნდაც არ არსებობდეს დაცვის მომწესრიგებელი კანონი. სასამართლომ უნდა ინელმძღვანელოს სამართლის ძირითადი პრინციპებით — ეს იქნებოდა სასამართლოს სამართალშემოქმედების უფლების აღიარება. ასეთი უფლების გარეშე სასამართლო რჩება საკანონმდებლო (და თუ გავითვალისწინებთ აღმასრულებელი ხელისუფლების ბუნებრივ ექსპანსიონიზმს, საკანონმდებლო სფეროში) აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების მძევლად.

ზოგს შეიძლება დაებადოს კითხვა თუ რამდენად აქტუალურია დღევანდელ დაძაბულ პოლიტიკურ მდგომარეობაში სამართალზე და სასამართლოზე ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ ცივილიზაციას გამოუმუშავებული აქვს ერთადერთი რეალური მექანიზმი პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესე-

ბის შეჯერებისა — სამართლებრივი რეგულირება. კონსტიტუცია, თუ მასში სამართალია ჩადებული, თუ იგი მიღებულია დემოკრატიული წესით, დანერგულია დემოკრატიული ავტორიტეტის სასამართლო ხელისუფლება, პიროვნების დამოუკიდებლობასთან და პრესის თავისუფლებასთან ერთად წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების ძირითად გარანტიას სახელმწიფოში. ეს იწვევს თავისუფალი სახელმწიფო, თავისუფალი მოქალაქის გარეშე, ვინაიდან ეს პირობაა პარამოცულური შემოქმედებითი შრომისა, ხოლო სამართალი კი, ალბათ, კანონში აყვანილი საყოველთაო ხელშეკრულებაა იმის შესახებ, რომ ყველა ჩვენგანი თმობს იმდენ თავის თავისუფლებას, რაც აუცილებელია ყველას თავისუფლების განსახორციელებლად.

ერი უძლურდება და კვდება არა ბიოლოგიური კანონის ძალით, არამედ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის უვარგისობის გამოც, წერდა არჩილ ჯორჯაძე. ჩვენთვის ეს სიტყვები დამაფიქრებელია.

ვაჟა ჯაფარიძე



© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 880014, თბილისი, ვაჟა-ფშაველას 19

ტელ: 99-02-45, 98-41-60, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 11.10.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.12.91 წ.

ფორმატი 70x108^{1/16}, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეჯვ. № 1865, ტირაჟი 10 000.

საპარტფალოს შერეულ-გაზეთების გამომცემლობა „სამართალი“ სპანბა, 880008, თბილისი, შ. კოსტავას 14



© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 380040, თბილისი, გრიბოედოვის 19
ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 5.08,91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.11.91 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5, შეკვ. № 1526 ტირაჟი 10 000.

საქართველოს შურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამართალი“ სტამბა,
380009, თბილისი, 8 კოსტავას 14

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, Грибоедова, 19, тел.: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло»,
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

შახი 2 მან.
ინდექსი 76185

68 1/2

